ქართული ენა და ლიტერატურა 11

მასწავლებლის წიგნი

Don't copy

Don't copy

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 8

2. სახელმძღვანელოს მეთოდიკური თავისებურებანი 10

3. კომპლექსური დავალებების მატრიცები 12

მატრიცა 1. ანალიტიკური ესე „ლიტერატურული პარალელები“ (ქართველი და უცხოური რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების მიხედვით) 12

მატრიცა N 2. პრეზენტაცია „Power Point“-ის გამოყენებით – „ლიტერატურული პორტრეტები“ 20

მატრიცა N3. სპექტაკლისგან მიღებული შთაბეჭდილების წერილობით გადმოცემა 28

მატრიცა 4. პუბლიცისტური წერილი – „ბედნიერი ერი დღეს“ 35

მატრიცა 5. ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩას“ ერთ-ერთი პერსონაჟის წარმოსახვითი მონოლოგის დაწერა (პერსონაჟის მონოლოგი) 42

მატრიცა 6. ანალიტიკური ესე – „სიყვარული და მოვალეობა – მარადიული დილემა და პერსონაჟთა არჩევანი“ (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩასა“ და კორნელის „ჰორაციუსის“ მაგალითზე) 52

მატრიცა 7. პოდკასტი – „ჩვენი ვაჟა-ფშაველა“ 61

4. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი 69

5. მოსწავლის შეფასების პრინციპები 79

6. შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება დასკვნით ეტაპზე 90

7. სოლოტაქსონომია 105

დანართები 118

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები 121

Don't copy

Don't copy

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელძღვანელო ქართულის სწავლებაში კონსტრუქტივისტული მიდგომის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. სახელმძღვანელოს აგების პრინციპები და მეთოდური აპარატი დაგვარწმუნებს, რომ წიგნი მართლაც ინტერაქტიული და ნოვატორულია. იგი დატვირთულია ახალი მოთხოვნების შესაბამისი მიდგომებით.

სახელძღვანელოში ცოდნის პირდაპირი გადაცემა და თეორიული (ნარატიული) ნაწილი ყველგან ლიტერატურული ძიებით, კვლევებითა და დამოუკიდებელი ლიტერატურული ექსპერიმენტებითაა ჩანაცვლებული. თამაშით ხდება გარკვეული ინფორმაციის მოგროვება და დახარისხება, ხოლო მსგავსი ელემენტების ერთობლიობას მოსწავლე რაღაც ახლის აღმოჩენამდე მიჰყავს.

სახელმძღვანელოს ავტორები იზიარებენ პოზიციას, რომ აქტიური სწავლების მეთოდოლოგია ამ ასაკის მოსწავლეებში ეფექტურია, რადგან ერთი და იგივე ტექსტი მრავალმხრივ, სხვადასხვა ჭრილში განიხილება. სასწავლო მასალის ასე მრავალმხრივი „დატრიალება“ ხელს უწყობს მის წარმატებით ათვისებას, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და მათ აქტიურ ტრანსფერს ხანგრძლივ მეხსიერებაში.

კომპლექსური დავალებების მომზადებას შედარებით ხანგრძლივი დრო სჭირდება, თუმცა იგი, ყოველდღიური რუტინული პროცესისაგან განსხვავებით, მოსწავლისათვის საინტერესო და დამაინტრიგებელია. მოზარდები ერთგვარი ენთუზიაზმითა და აზარტით ეკიდებიან ამ ტიპის დავალებებს. ისინი აქ თავად ქმნიან პროდუქტს, რომლის შესრულებას გარკვეული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, ამიტომ გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკულ საქმიანობაში იქვე, იმავე მასალის ფარგლებში ხდება. მოსწავლე კომპლექსურ დავალებებში ხედავს ცოდნის პრაქტიკულ საჭიროებას და გარდაქმნის მას ცხოვრებისეულ გამოცდილებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც მოზარდს მანამდე პირდაპირი გზით მიეწოდებოდა, ახლა სასწავლო პროცესში დაკვირვების, დახარისხებისა და შედარების გზით თავად აღმოაჩენს.

ცოდნის აგების პროცესი, კონსტრუქტივიზმის პრინციპების თვალსაზრისით, რამდენიმე ეტაპისგან შედგება. სქემატურად ეს პროცესი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ვარაუდების გამოხატვა:

- მიმანიშნებელი აქტივობებით კანონზომიერებების აღმოჩენა;
- საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბება;
- ამ თვალსაზრისის არგუმენტებით დასაბუთება;
- დებატებში საკუთარი თვალსაზრისის დაცვა;
- კონტრარგუმენტების უარყოფისას დამატებითი არგუმენტების მოშველიება;
- დასკვნების გამოტანა, რაც, საბოლოო ჯამში, ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს.

მოსწავლე უკეთესად აღიქვამს, თუ სწავლის პროცესი გაცნობიერებული აქვს, თუ იგი აკვირდება, რა იცის და გეგმავს, როგორ გააუმჯობესოს საკუთარი მიღწევები. თანამედროვე სკოლაში პოზიტიურ სიახლედ ითვლება მეტაკოგნიციის გააქტიურება და მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც იმას ნიშნავს, რომ:

Don't copy

- მოსწავლე ეჩვევა საკუთარი ცოდნის „გაზომვას“;
- იყენებს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემებს;
- გაიაზრებს, რა ნაბიჯები გადადგა კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად;
- აანალიზებს, რამ გაუადვილა კონკრეტული ამოცანების გადაჭრა და, პირიქით – რა სიძნელეები შეხვდა, რით იყო გამოწვეული ეს სიძნელეები;
- როგორ გადაჭრა თითოეული პრობლემა, როგორ გამოიყენებს ამ პრობლემების გადაჭრისას შეძენილ გამოცდილებას მომავალში, მსგავსი ტიპის პრობლემების პირისპირ დარჩენისას.

შევეცადოთ, მოკლე ფორმულებით ჩამოვაყალიბოთ კონსტრუქტივიზმის ძირითადი არსი.

მოკლე ფორმულებით კონსტრუქტივიზმის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ჩვენ წიგნშია რეალიზებული, ასე გადმოიცემა:

- კი არ ვუკარნახოთ – მივაგნებინოთ;
- კი არ მივაწოდოთ – ვაპოვნინოთ;
- კი არ ავუხსნათ – აღმოვაჩენინოთ.

სწორედ ამ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა ჩვენი მე-11 კლასის სახელმძღვანელო.

წინამდებარე მასწავლებლის სახელმძღვანელო არის ერთგვარი გზამკვლევი, რომლის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს მასწავლებელს მოსწავლის წიგნით სარგებლობასა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ნებისმიერი სახელმძღვანელო მაშინ არის კარგი, როცა ის შემოქმედებითი მიდგომის საშუალებას აძლევს მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელო ნამდვილად გამორჩეულია საინტერესო იდეებითა და სიახლეებით, მრავალფეროვანი, ინოვაციური, კრეატიული მეთოდური აპარატით. ერთი შეხედვით, სახელმძღვანელო შეიძლება მოცულობითი მოგვეჩვენოს, თუმცა სასწავლი მასალა მასში სტანდარტთან აბსოლუტურ შესაბამისობაშია, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ მასალის დაძლევისთვის საჭირო საათების რაოდენობა. რაც შეეხება სახელმძღვანელოს დიდ მოცულობას, იგი განპირობებულია ახლებურად მოაზრებული მეთოდური აპარატით, მიმანიშნებელი დავალებებით, რომელთა მეთოდიკური თანამიმდევრობით შეთავაზება ისე, რომ კითხვებმა და დავალებებმა „აღმომჩენის“ ფუნქცია შეასრულოს, ჩვენი სახელმძღვანელოს უმთავრესი პრინციპია (დეკლარაციული ცოდნა მასწავლებელმა უნდა გააცოცხლოს, აამოქმედოს, მოქნილ, ელასტიურ რესურსად აქციოს და, ამავე დროს, დაურთოს თანამიმდევრული მეთოდური აპარატი).

ჩვენ რომ მასწავლებლებს ერთი გზა მაინც ვაჩვენოთ, ისინი 10 ახალ გზას გამოძებნიან საკლასო ოთახებში. მასწავლებლის სახელმძღვანელო და მოსწავლის წიგნის მეთოდური აპარატი სწორედ ეს „ერთი ახალი“ გზაა. ამიტომაც შევცვალეთ პირდაპირი გზით მიწოდებული „ნარატივი“ მიმანიშნებელი კითხვებით, ლიტერატურული კვლევებითა და ექსპერიმენტებით.

უნდა ითქვას, რომ მრავალფეროვან, სახალისო და კვლევითი ტიპის აქტივობებს ერთგვარი შემეცნებითი გატაცება შემოაქვს მეთერთმეტე კლასელთა ცხოვრებაში. ამგვარი მიდგომები მკვეთრად ზრდის შინაგან მოტივაციას და სწავლებას სახალისო „აღმოჩენებით“ დატვირთულ პროცესად აქცევს. მასწავლებელს კი შესაძლებლობა აქვს, უფრო მარტივად განახორციელოს დიფერენცირებული სწავლების ამოცანები. მას შეუძლია, მრავალრიცხოვანი აქტივობები მოარგოს კონკრეტულ სიტუაციასა და კონკრეტული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის

Don't copy

საჭიროებებს. აქტივობათა ტიპის შერჩევისათვის მას შორს არ მოუწევს წასვლა. ამ კუთხით სახელმძღვანელოში დიდი მრავალფეროვნება დახვდება.

შესაძლოა, მოგვეჩვენოს, რომ დიფერენცირებულ სწავლებაზე გათვლილ დავალებათა სიუხვე „ცაიტნოტში“ აგდებს მასწავლებელს და მათი მოსწრება გაკვეთილზე დიდ სირთულეს წარმოადგენს, მაგ.: როგორ ეყოფა „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ დავალებას, რომელსაც ახლავს 40-წუთიანი ვიდეომასალა? ცხადია, ყველაფერ ამას საგაკვეთილო დრო არ ეყოფა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ რუბრიკის პირობითი სათაურია და არ გულისხმობს მათ აუცილებლად გაკვეთილის პროცესში შესრულებას. ამ რუბრიკაში უმეტესწილად ალტერნატიული დავალებებია მოცემული, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. აქ კი შევნიშნავთ, რომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ე. წ. სასწავლო მენიუს, მრავალფეროვან და სხვადასხვა სირთულის დავალებებს, რომელთა შორის მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რომელი დავალების შესრულება სურთ, რას აკეთებენ და რისთვის. ხშირ შემთხვევაში, ოთხი-ხუთი დავალებიდან უნდა შეარჩიონ ერთი.

როგორც აღვნიშნეთ, თითოეული თავი აღჭურვილია მეთოდურად თანამიმდევრული, მრავალფეროვანი სავარჯიშოების პაკეტით, მარტივიდან რთულისკენ პრინციპით. ამიტომ, თუ პედაგოგი თვლის, რომ რაღაც ეტაპი მისი მოსწავლეებისათვის უკვე გავლილია, პირდაპირ ზედა საფეხურიდან შეუძლია დაიწყოს. მას შეუძლია, გამოტოვოს კონკრეტული კითხვები და სავარჯიშოები, რომლებიც მოსწავლეთა აქტუალური განვითარების ზონიდანაა, და უფრო მეტი დატვირთვა მიანიჭოს აქტივობებს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონიდან. ასეთ დროს მასწავლებელმა სწორად უნდა გათვალოს მოსწავლის მზაობა და მისი შესაძლებლობები, რომ ზოგიერთი მოსწავლე მისთვის დაუძლეველი ამოცანის წინაშე არ აღმოჩნდეს და ზოგმა, პირიქით, მექნიკურად არ „ტკეპნოს“ მისთვის უკვე „გაკვალული“ გზა.

მასწავლებლის სახელმძღვანელო შემოგთავაზებთ სარეკომენდაციო რჩევებს, თუმცა ნებისმიერი აქტივობა და სასწავლო რეკომენდაცია იძლევა განვითარებისა და სხვაგვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

მასწავლებლის წიგნის ამოცანაა:

- გაგაცნოთ მოსწავლის წიგნის კონცეფცია;
- გაგაცნოთ თავის სტრუქტურა, რუბრიკების დანიშნულება, სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები;
- მიზნებისა და შინაარსის შესაბამისობის მატრიცა დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ სტანდარტის რომელ ნაწილსა და მიმართულებას ფარავს სახელმძღვანელო, მისი ესა თუ ის სტრუქტურული ერთეული (თავი, პარაგრაფი); რა მიზნებს ისახავს თითოეული თემის (ქვეთემის, ეტაპის) ფარგლებში, რა რესურსებსა და აქტივობებს იყენებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;
- შემოგთავაზებთ იმ მეთოდებს, რომლებიც გაამრავალფეროვნებს თქვენს პედაგოგიურ არსენალს;
- დაგეხმარებათ მოსწავლის შეფასებაში.

Don't copy

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

1. 1. სახელმძღვანელოს კომპლექტაციის შესახებ

მეთერთმეტე კლასის ქართულის სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობაში შედის:

- ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი);
- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სახელმძღვანელო.

ქართულის წლიური პროგრამის სარეკომენდაციო ჩამონათვალის მიხედვით სახელმძღვანელო თავებადაა დაყოფილი.

თითოეულ თავში მოცემულია ძირითადი შესასწავლი ტექსტი ლიტერატურული პარალელებითა და მრავალფეროვანი დამატებითი აქტივობებით.

1. 2. საგნის სწავლა-სწავლების მიზნები და ამოცანები

საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

1. მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
2. მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
3. მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
4. მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის (მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი) ტექსტების შექმნისა და წარდგენა – გაზიარების უნარები;
5. მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;
6. ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების, ფორმირებას;
7. ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ასრულებს სახელმძღვანელო მიზნად დასახულ ამოცანებს.

1. მიზნებში მითითებულია, რომ სახელმძღვანელომ და შემდგომში სწავლა-სწავლების პროცესმა მოსწავლეს უნდა განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;

სახელმძღვანელო კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება და, შესაბამისად, ცოდნის პირდაპირი გადაცემის არაინტერაქტიული სტილი ჩანაცვლებულია „აღმოჩენებითა“ და ფონური ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აგების პრინციპით. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, ავითარებს ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობის, მისი გაგებისა და გაანალიზების უნარ-

Don't copy

ჩვევას. სახელმძღვანელოში მრავლად (თითქმის ყოველი პარაგრაფის ბოლოს) გვხვდება დავალებები ტექსტის გააზრებისა და მისი მრავალმხრივი ინტერპრეტაციისათვის, მაგ., სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან დანახული ერთი და იგივე ამბავი, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები და სხვ.

2. შემდეგი მიზანია, სახელმძღვანელომ მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;

სახელმძღვანელოს ძირითადი სტრუქტურული ერთეული, პარაგრაფი, ისეა აგებული, რომ მოიცავს ახალი ქართული მწერლობის პერიოდიდან (**XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა)** სხვადასხვა ავტორის, ჟანრისა და სტილის ტექტებს.

3. ერთ-ერთი მიზანია, სახელმძღვანელომ მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;

სახელმძღვანელოში შესულია მაღალმხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. გარდა ამისა, დავალებებსა და აქტივობებში სისტემატურად მეორდება და თანდათანობით რთულდება შეფასებითი ელემენტები, რაც აზუსტებს მოსწავლეთა განწყობილებებს ამა თუ იმ ტექსტისადმი და აჩვევს მათ შესასწავლი მასალისადმი შეფასებით მიდგომებს, უვითარებს საკუთარი დამოკიდებულებების დემონსტრირების უნარს.

თავად სასწავლო მასალაში ძირითადი აქცენტი მაღალმხატვრულობაზე კეთდება, რაც სასწავლო პროცესს განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით. ცალკეული აქტივობები გაავარჯიშებენ მოსწავლეებს იმაში, რომ არ მოხდეს ჭეშმარიტი და ფსევდოესთეტიკური ფასეულობების აღრევა. მოსწავლეებს ეძლევათ თანაშემოქმედების საშუალებაც, რაც განსაკუთრებით კონცენტრირებულია რუბრიკებში:

- „ოსტატობის სკოლა“;
- „ფანტაზიის გაკვეთილი“.

მოსწავლეთა გემოვნების სრულყოფისა და მხატვრული ფანტაზიის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა აქტივობები ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქციებით:

- გაიაზრეთ;
- წაკითხვამდე;
- როგორ ვიკითხოთ;
- შეცვალეთ ტექსტი;
- წარმოსახვით გააგრძელეთ ამბავი;
- შემოიყვანეთ დამატებითი პერსონაჟი;
- შექმენით ალტერნატიული ვარიანტი.

4. სახელმძღვანელომ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;

ამ მიზნის მისაღწევად სახელმძღვანელოში სპეციალურად შემოტანილია რამდენიმე რუბრიკა და აქტივობათა ტიპები, რომლებიც სპირალური პრინციპით მეორდება.

Don't copy

დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. სახელმძღვანელოში შესულია რუბრიკა „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“, რომელშიც მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ დავალება, მოისმინონ ან/და ნახონ დამატებითი მასალა (ლექცია, ვიდეორგოლი, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმი), შექმნან და წარმოადგინონ პრეზენტაციები, შექმნან ალტერნატიული ტექსტი, საერთოდ, სახელმძღვანელოში ინტერტექსტუალური მიმართებების გასავარჯიშებლად მრავალი არჩევითი დავალებაა მოცემული.

5. სახელმძღვანელომ მოსწავლეს უნდა გამოუმუშაოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;

შერჩეული ტექსტები ხელს უწყობს ჭეშმარიტი ფასეულობებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას, ფსევდოპატრიოტული და პატრიოტული ემოციების დიფერენცირებას, ყალბ ფასეულობათა უარყოფასა და ეროვნული მახასიათებლების სწორ აღქმას.

6. სახელმძღვანელომ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უმაღლეს ჰუმანურ ღირებულებებს. ტექსტებში ხშირად დგას არჩევანის პრობლემა. ეს არჩევანი კეთდება პირად და საზოგადოებრივ, ასევე ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს შორის. საგანგებოდ მუშავდება ასეთ სიტუაციებში ზნეობრივი არჩევანის პრობლემა.

2. სახელმძღვანელოს მეთოდიკური თავისებურებანი

2. 1. ეს შეურყეველი დედუქციური მეთოდი.

ტრადიციულ სწავლებაში წამყვანი იყო დედუქციური მეთოდი, შესაბამისად, სახელმძღვანელოებიც ასე იყო აგებული. ტექსტის შესწავლამდე მოსწავლეებს ეძლეოდათ მცირე ინფორმაციული სტატიები: მაგ. „ნაწარმოებში აღწერილი ეპოქა“, „ნაწარმოების ავტორი“, ტექსტის მოკლე სიუჟეტური აღწერილობა, ანდა ცალკეული მოკლე მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომლებზეც ტექსტში ვრცლად იყო საუბარი, მიწოდებული იყო ტექსტის კომპოზიციური აგების ძირითადი თავისებურებანი.

ერთი სიტყვით, სწავლა-სწავლებაში გაბატონებული იყო დედუქციური მეთოდი (ზოგადი კანონზომიერებიდან – კერძო შემთხვევებამდე), რომლითაც მოსწავლეს წინასწარ მიეწოდებოდა ზოგადი კანონზომიერებანი, თეორიული დასკვნები იმის შესახებ, რაც დახვდებოდა ტექსტში.

სწავლების ასეთი მოდელის სისტემატური გამოყენების უარყოფითი მახასიათებელი სწორედ ისაა, რომ მოსწავლე პასიურია და სახელმძღვანელოს მოზარდიცა და მასწავლებელიც იმპერატიულად გადაჰყავს ტექსტის მექანიკური დასწავლის რეჟიმში. სწავლების სიმძიმის ცენტრიც არათანაბარზომიერად გადააქვს მასწავლებელზე. მან უნდა გამოასწოროს სახელმძღვანელოს ბევრი ხარვეზი, მოიფიქროს, შექმნას უამრავი ალტერნატიული სავრაჯიშო, რაც თეორიული სტატიებით სავსე სახელმძღვანელოს სასწავლო პროცესს მოარგებს, აქტივობებში ჩაშლის.

Don't copy

ამ დროს კი ხელიდან ვუშვებთ შანსს, მოსწავლე თავად დააკვირდეს ტექსტს, დამოუკი_ დებლად იკვლიოს და თავად ამოკრიბოს ტექსტიდან ის, რასაც ჩვენ წინასწარ მზა თეორიული ნარატივის სახით ვთავაზობთ.

ხელიდან ვუშვებთ შანსს, იმოგზაუროს წარსულში, თავად გაიაზროს ისტორიული პროცესები და გადაწყვიტოს, რა ცოდნა დასჭირდება ამა თუ იმ ეპიზოდის გააზრებისათვის, მისი ეპოქალური სარჩულის გაცოცხლებისთვის, მით უმეტეს, მას უკვე გააზრებული აქვს ისტორიის ის მონაკვეთები, რომლებსაც ჩვენ ინფორმაციულ სტატიებში ვთავაზობთ (და, სხვათა შორის, უფრო ფართოდ).

ხელიდან ვუშვებთ შანსს, მოსწავლემ დამოუკიდებლად დაამუშაოს ტექსტის ისტორიული ფონი, თავად შექმნას და მოგვაწოდოს ბევრი რესურსი, რაც სახელმძღვანელოს მშრალ საინფორმაციო ტექსტში ვერ ჩაეტევა.

ხელიდან ვუშვებთ შანსს მაშინაც, როცა მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებას ვაწვდით და თეორიულ ნაწილში ჩვენ თავად ვაჯამებთ მათ. მეთოდიკურად გამართლებულად მიგვაჩნია, წინასწარ არაფერი ვუთხრათ მოსწავლეებს იმ საკითხებზე, რომლებზეც დაკვირვებაც დამოუკიდებლადაც შეუძლიათ. მაგალითად, დასაშვებად მიგვაჩნია, წინასწარ არ შევთავაზოთ მშრალი ბიოგრაფიული სტატია ავტორის შესახებ, არამედ სხვადასხვა მხატვრული, პუბლიცისტური თუ დოკუმენტური მასალისა და ამონარიდების დახმარებით მივცეთ საშუალება, თავად შექმნას ლიტერატურული პორტრეტი, ამოიცნოს და ისაუბროს პიროვნულ მახასიათებლებზე. ამგვარი ძიება მოსწავლისათვის მაპროვოცირებელი და ბევრად საინტერესოა.

სახელმძღვანელოს ავტორები თვლიან, რომ „მზა“ თეორიული მასალა უკიდურესად იშვიათად უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს. უმჯობესია, მათ თავად იკვლიონ და აღმოაჩინონ საინტერესო კანონზომიერებანი. ამგვარად აგებული მეთოდური აპარატი ააქტიურებს მოსწავლის შინაგან მოტივაციას, ზრდის ჩართულობას და სახელმძღვანელოსაც ბევრად უფრო სახალისოსა და საინტერესოს ხდის. რაც შეხება თეორიულ ცოდნას, ამგვარი ტიპის მასალა სახელმძღვანელოს დანართშია გადატანილი და მოსწავლეებს საშუალება აქვთ, თავიანთი „აღმოჩენილი“ კანონზომიერებანი სხვა ავტორების თეორიულ განმარტებებს შეადარონ. რა მოხდება, მაგალითად, თუ ტექსტის წაკითხვამდე სულაც არ ვეტყვით, ვინ არის ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორი, რომელი ფენის წარმომადგენელია და რა პოზიცია გააჩნია, თავად ეს ხომ კიდევ უფრო გააააქტიურებს მოსწავლეების წარმოსახვისა და კვლევის უნარებს?

ერთი სიტყვით, სახელმძღვანელოს ავტორები ყოველი თავის შესავალ ნაწილში უპირატესობას ანიჭებენ სწავლა/სწავლების ინდუქციურ მეთოდს – კერძო შემთხვევიდან (ტექსტიდან) აღმოვაჩენინებთ ზოგად კანონზომიერებებს, ხოლო შეჯამებისას, როცა ზოგადი მიდგომები მოსწავლეებმა უკვე „აღმოაჩინეს“ და დანართში მოცემული თეორიული მასალით გაამდიდრეს, მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის დედუქციური მეთოდი, ანუ შეჯამებისას იცვლება ვექტორი – ზოგადი კანონზომიერებიდან გამოჰყავთ კონკრეტული მაგალითები, აკვირდებიან, ის ცოდნა, რომელიც სულ ახლახან „ააგეს“, როგორაა წარმოდგენილი უკვე სხვა ტექსტებში. აქ აქტიურდება რუბრიკები „პარალელები“ და „გამოძახილი“.

Don't copy

კომპლექსური დავალებების მატრიცები

მატრიცა 1. ანალიტიკური ესე „ლიტერატურული პარალელები“ (ქართველი და უცხოური რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების მიხედვით)

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (https://9nes.short.gy/b6vWt7) ჩამოტვირთოთ აქ.

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა – სწრაფვა ამაღლებულისაკენ
რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების მიხედვით:

- **ალექსანდრე ჭავჭავაძე;**
- **გრიგოლ ორბელიანი;**
- **ნიკოლოზ ბარათაშვილი;**
- **ადამ მიცკევიჩი;**
- **ედგარ ალან პო;**
- **ჯორჯ გორდონ ბაირონი;**
- **ჯაკომო ლეოპარდი.**

საათების სავარაუდო რაოდენობა 35 საათი

საკითხი – ანალიტიკური ესე „ლიტერატურული პარალელები“ (ქართველი და უცხოური რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების მიხედვით)

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები:

1. სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ. 1, 4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრული ნაწარმოებები (პოეზია), არამხატვრული ნაწარმოებები (ესე, სამეცნიერო - პოპულარული სტატია);

ქვესაკითხები - პოეტური ნაწარმოებების ჟანრული თავისებურებები; ანალიტიკური ესეს ჟანრული თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7)

ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.

ქვესაკითხები - ქართველ და უცხოელ რომანტიკოს მწერალთა შესწავლილი ნაწარმოებების თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, პრობლემატიკა, შეხედულებები, ფასეულობები/დამოკიდებულებები; ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე, განწყობა; ესეს სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), ორგანიზაციული ყალიბი.

3. სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ. საშ. 4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ლექსიკა და სტილი; რიტორიკის ელემენტები; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.

ქვესაკითხები: ქართველ და უცხოელ რომანტიკოს მწერალთა შესწავლილ ნაწარმოებებში გამოყენებული ტროპები (სიმბოლო, მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ალეგორია, გაპიროვნება), არქაიზმი; ანალიტიკურ ესეში: თეზისი, არგუმენტი; მსგავსებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრთა გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები; ფუნქციური სტილი (მწიგნობრული/აკადემიური); ნასწავლი სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

Don't copy

4. სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)

ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტური ფაქტორები.

ქვესაკითხები: ქართველ და უცხოელ რომანტიკოს მწერალთა თანადროული ეპოქის ისტორიული და საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები, ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები ადამიანზე, მსოფლმხედველობრივი, მორალურ-ეთიკური და ესთეტიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობა - რომანტიზმი.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ლიტერატურულ მიმდინარეობა რომანტიზმს, რომლის ძირითადი მოტივებია სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, წარსულის, სიყვარულის, ბუნების გაიდეალება.
2. რომანტიკული ლიტერატურა ფოკუსირებულია სუბიექტურაზე, ინდივიდზე, მის განცდებსა და ემოციებზე, ამიტომაც რომანტიკული გმირის სახე ხშირად გამო-ირჩევა მეამბოხური სულისკვეთებით და ტრაგიკულია: ის მარტოსულად, ეულად გრძნობს თავს, გაუცხოებულია საზოგადოებისგან და მიისწრაფვის იქითკენ, რომ შეიმეცნოს ხილული სამყაროს მიღმა არსებული, იდეალური სამყარო; გააცნობიეროს ადამიანის სულის იდუმალი, ინტუიტური, არაცნობიერი მხარე.

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რატომაა მარადიული თემები აქტუალური ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- რა მსგავსება-განსხვავებაა სხვადასხვა ენაზე შექმნილ ლიტერტურულ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?
- რამდენად ეხმარება ადამიანს უცნობი/უცხო ლიტერატურის გაცნობა ნაცნობის/ მშობლიურის უკეთ გაგებაში ან/და პირიქით?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**I ეტაპი**		**კომპლექსური დავალება**
	საკითხი, ქვეცნება	**ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**	
	თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები** • **მხატვრული ნაწარმოებები (ლექსი), არამხატვრული ნაწარმოებები (ესე, სამეცნიერო - პოპულარული სტატია);** პოეტური ნაწარმოებების ჟანრული თავისებურებები; ანალიტიკური ესეს ჟანრული თავისებურებები.	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? რატომ არის ეს ტექსტი ლექსი, ანდა ანალიტიკური ესე; როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა ტექსტების კითხვის , შედარებებისა და ახალი ტექსტების შედგენის დროს?	

Don't copy

	• **შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.** ქართველ და უცხოელ რომანტიკოს მწერალთა შესწავლილი ნაწარმოებების თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, პრობლემატიკა, შეხედულებები, ფასეულობები/დამოკიდებულებები; ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე, განწყობა; ესეს სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), ორგანიზაციული ყალიბი. • **მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ლექსიკა და სტილი; რიტორიკის ელემენტები; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.** ქართველ და უცხოელ რომანტიკოს მწერალთა შესწავლილ ნაწარმოებებში გამოყენებული ტროპები (სიმბოლო, მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ალეგორია, გაპიროვნება), არქაიზმი; ანალიტიკურ ესეში: თეზისი, არგუმენტი; მსგავსებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრთა გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები; ფუნქციური სტილი (მწიგნობრული/აკადემიური); ნასწავლი სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.	• რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეის გაგება? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის სხვადასხვა ნაწილს ან სხვადასხვა ტექსტს შორის არსებული მიმართებები, ლიტერატურულიმ პარელელები? • რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/ რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?) • როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით? • რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის გაგებაში?/ რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?	

Draft copy

	• **ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტური ფაქტორები.** ქართველ და უცხოელ რომანტიკოს მწერალთა თანადროული ეპოქის ისტორიული და საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები, ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/ პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები ადამიანზე, მსოფლმხედველობრივი, მორალურ-ეთიკური და ესთეტიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობა - რომანტიზმი.		
	ტექსტები/ ავტორები: • ალექსანდრე ჭავჭავაძე; • გრიგოლ ორბელიანი; • ნიკოლოზ ბარათაშვილი; • ადამ მიცკევიჩი; • ედგარ ალან პო; • ჯორჯ გორდონ ბაირონი; • ჯაკომო ლეოპარდი.		

Don't copy

(1) ჟანრი (შედეგები: ქართ. საშ. 1, 4, 6, 7)

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან;
2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.

2) კომპოზიცია
(შედეგები, ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/ შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:
   - ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;

ტექსტი: ალექსანდრე ჭავჭავაძე „გოგჩა“,
გრიგოლ ორბელიანი „საღამო გამოსალმებისა“,
„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“
ნიკოლოზ ბარათაშვილი „მერანი“

ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

საკვანძო შეკითხვები: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

აქტივობა 1.
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს.

აქტივობა 2.
აქტივობები წაკითხვამდე:
ჩვენ ვიცით, რომ ტექსტის კითხვის დროს ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიას, რაც ტექსტის გაგებას გვიადვილებს. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას ისტორიული კონტექსტის, თანამედროვეობის ალეგორიის შემცველი ეპიზოდებისა და ავტორების ბიოგრაფიების შესახებ.

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა

საკვანძო შეკითხვები: რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება? როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის?

აქტივობა 3.
რომანტიზმის, როგორც მიმდინარეობის, გაცნობა და მისი მახასიათებლების გამოკვეთა.

კომპლექსური დავალება 1.
ანალიტიკური ესე
„ლიტერატურული პარალელები“
(ქართველი და უცხოური რომანტიკოსი მწერლების შემოქმედების მიხედვით)

ყურადღებით გადაავლეთ თვალი სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და დაწერეთ ანალიტიკური ესე „ლიტერატურული პარალელები“. ამისათვის შექმენით ლიტერატურულ პარალელებზე დაკვირვების კრიტერიუმები და ჩაატარეთ დამოუკიდებელი კვლევა; შედეგების გათვალისწინებით მოამზადეთ ანალიტიკური ესეს გეგმა და მასზე დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

ნამუშევარში:
ისაუბრეთ, რა აქვთ საერთო შესწავლილ ნაწარმოებებს (მაგ., პრობლემატიკის, შეხედულებების, ფასეულობების თვალსაზრისით), თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილები ნაწარმოებიდან **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);**

Don't copy

➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის; ➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების; ➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით;	**აქტივობა 4.** **ტექსტზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან ნაწარმოებებს, მასწავლებლის დახმარებით ამუშავებენ მათ, როგორც შინაარსობრივი, ასევე უშუალოდ ანალიზის მიმართულებით. ინიშნავენ და ახარისხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. **აქტივობა 5.** **რუბრიკების კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში. ასევე, აკვირდებიან და გამოკვეთენ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ავსებენ ნაწარმოებთა შედარებისათვის შექმნილ გრაფიკულ სქემებს, მსჯელობენ ილუსტრაციებზე დაყრდნობით და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები. **აქტივობა 6.** **ლიტერატურული პარალელები** მასწავლებელი „ლიტერატურული პალალელების“ რუბრიკაში ამჯერად მოსწავლეებს გააცნობს სხვადასხვა ავტორის ლექსებთან დაკავშირებულ უცხოელი თუ ქართველი პოეტების იმ ნიმუშებს, რომლებიც შედარებისათვის უნდა გამოიყენონ. 1) ალექსანდრე ჭავჭავაძე „გოგჩა“ – ადამ მიცკევიჩი „ბაღჩისარაი“; შოთა ჩანტლაძე „აქ ერთ დროს...“ 2) „მუხამბაზი ლათაიური“ „ჰე, მერიქიფევ“, – რობერტ ბერნსი „ლუდი ედუღა, ბიჭებო, ვილის“; 3) გრიგოლ ორბელიანი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ – ჯაკომო ლეოპარდი „იტალიისადმი“; 4) გრიგოლ ორბელიანი „საღამო გამოსალმებისა“ – ალბერტ ფონ შამისო „მშვიდობით“, გალაკტიონ ტაბიძე „უკანასნელი მატარებელი“, სიმონ ჩიქოვანი „მგზავრის სიმღერა“; 5) ნიკოლოზ ბარათაშვილი „მერანი“ – ადამ მიცკევიჩი „ფარისი“, ედგარ ალან პო „ყორანი“, ჰაინე „სად განისვენებს ეული მგზავრი...“	წარმოაჩინეთ, რა როლს ასრულებს თხზულებების შექმნის თანადროული ეპოქის შეხედულებანი, რომლებიც ამ პარალელებს უდევს საფუძვლად (კონტექსტი, კომპოზიცია); გამოიყენეთ მსგავსებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრთა გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები (მაგ., როგორც... ასევე; ერთ შემთხვევაში... მეორეგან კი) (ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები); შეარჩიეთ სათანადო სტილი, გამოკვეთეთ ესეს სტრუქტურული ნაწილები - შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (ჟანრი, კომპოზიცია). **<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის (დავალების წარდგენისას დასასმელი):</u>** • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი არის ანალიტიკური ესე?

Don't Copy

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერ-სპექტივების უფრო ღრმად/ მრავალმხრივად გააზ-რებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის; 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** ***(შედეგები: ქართ. საშ. 4, 6, 7)*** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით;	**აქტივობა 7.** **დისკუსიები მკვლევართა მოსაზრებების გაცნობის შემდგომ** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს პოეტების ლექსებთან დაკავშირებით სხვადასხვა კრიტიკოსისა თუ მკვლევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, მოსწავლეები განიხილავენ და გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს ძირითადი ნაწარმოებებისა და მათთან დასაკავშირებელი პარალელების შესახებ. ისინი ინიშნავენ და ერთმანეთს უზიარებენ მნიშვნელოვან მინიშნებებს, ანალიტიკური ესესთვის საჭირო ინფორმაციას. **აქტივობა 8.** **ანალიტიკური ესეს ფორმატზე მუშაობა** მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს, როგორ უნდა შექმნან ანალიტიკური ესე. მათ უკვე აქვთ ამისი გამოცდილება, თუმცა შედარებითი ანალიზისათვის სასურ-ველია, კიდევ ერთხელ გადახედონ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციასა და ნიმუშებს და ამის გათვალისწინებით იმუშაონ დავალებაზე. **აქტივობა 9.** **ანალიტიკური ესეს შექმნა** მოსწავლეები მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე წერის სტრა-ტეგიების გამოყენებით წერენ ანალიტიკურ ესეს – „ლიტერატურული პარალელები“. **აქტივობა 10.** **კომპლექსური დავალების წარდგენა** მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ წერის პრო-ცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე.	რა ენობრივი საშუალებები გამოიყენეთ ანალიტიკური ესეს წერის დროს (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან); <u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის (დავალების წარდგენისას დასასმელი):</u> • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი არის ანალიტიკური ესე? • ტექსტები მოცემულ რომელ თემებსა და საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება ანალიტიკური ესეს წერის დროს და რატომ? (დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითები ლიტერატურული პარალელებიდან); • ლიტერატურული პარალელების ანალიზისას რამდენად და როგორ შესძელით სხვადასხვა ტექსტის მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა, რა დასკვნები გააკეთეთ მათზე დაკვირვებისას? • რა ენობრივი საშუალებები გამოიყენეთ ანალიტიკური ესეს წერის დროს (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან); • კონკრეტულად, რომელ დეტალში ან დეტალებში იკვეთება ისტორიული კონტექსტი? რით ჰგავს ერთმანეთს და რით განსხვავდება ლიტერატურულ პარალელებში ასახული ისტორიული ეპოქები?

Don't copy

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი; 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **4) კონტექსტი** **(შედეგები: ქართ. საშ 2, 5,)** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები; 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები, ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა; 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	**რესურსები: სახელმძღვანელო;** **დანართში არსებული დამხმარე მასალა:** **1. ლიტერატურული პანორამა „ალექსანდრე ჭავჭავაძე“** **https://www.youtube.com/watch?v=p2M3HMa-HEo&t=71s** **2. საშინაო სკოლის გაკვეთილები – მაია ჯალიაშვილი** **https://www.youtube.com/watch?v=0j7KFbz2t-I** **3. საქართველოს რადიომუზეუმი, გროგოლ ორბელიანი „მუხამბაზი“, კითხულობს ვერიკო ანჯაფარიძე (მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით)** **https://1tv.ge/lang/ab/radiomuseum/grigol-orbeliani-mukhambazi/** **კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)** **კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)** • კიდევ ერთხელ გადაავლე თვალი დავალების შესრულების პროცესს, როგორ დაგეგმე ანალიტიკურ ესეზე მუშაობა? აღწერე რა ეტაპებს გამოყოფდი, რით იყო გამორჩეული თითოეული ეტაპი, როგორ, რა თანმიმდევრობით დაგეგმე და განახორციელე სამუშაო და რა მნიშვნელობა აქვს ამ თამიმდევრობას; რას შეცვლიდი, ამგვარ დავალებას ხელახლა რომ ასრულებდე; • შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით დააკვირდი, რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს, რამ განაპირობა შენი წინსვლა და რამ დაგაბრკოლა; • რა სიძნელეებსა და დაბრკოლებებს წააწყდი ნაშრომზე მუშაობისას? რა დაგეხმარა და რამ შეგიშალა ხელი წამოჭრილი პრობლემების დაძლევაში? როგორ მოახერხე ამ დაბრკოლებებთან გამკლავება; რომელი ხერხები და საშუალებები გამოიყენე წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად და როგორ გამოიყენებ მათ მომავალში; • როგორ გამოიყენე ადრე შესწავლილი მასალა ამ დავალების შესრულების დროს წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად? ადრეც თუ მიგიმართავს მსგავსი ხერხების/სტრატეგიებისათვის.	

Draft copy

მატრიცა N 2. პრეზენტაცია „Power Point“-ის გამოყენებით – „ლიტერატურული პორტრეტები“

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (https://9nes.short.gy/IlbNj4) ჩამოტვირთოთ აქ:

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა: სწრაფვა ამაღლებულისაკენ
ქართველი რომანტიკოსი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების მიხედვით.
ალექსანდრე ჭავჭავაძე
გრიგოლ ორბელიანი
ნიკოლოზ ბარათაშვილი
საათების სავარაუდო რაოდენობა 35 საათი
საკითხი: პრეზენტაცია „ლიტერატურული პორტრეტები“ (მოსწავლის მიერ შერჩეული ქართველი რომანტიკოსი მწერლის ლიტერატურული პორტრეტი)

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები

1. სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ.1, 4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრული (პოეზია), არამხატვრული (პრეზენტაცია);

ქვესაკითხები: პოეტური ნაწარმოებების ჟანრული თავისებურებები; პრეზენტაციის ჟანრული თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ.საშ.1, 3, 4, 6, 7)

ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.

ქვესაკითხები: შერჩეული ავტორის ნაწარმოებების თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, პრობლემატიკა, შეხედულებები, ფასეულობები/დამოკიდებულებები, ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე, განწყობა; პრეზენტაციის სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), ორგანიზაციული ყალიბი.

3. სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ.საშ.4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; რიტორიკის ელემენტები.

ქვესაკითხები: პრეზენტაციაში წარმოჩენილი რიტორიკული შეკითხვები და რიტორიკული მიმართვები; ვიზუალური, ვიდეო- და აკუსტიკური ელემენტები.

4. სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)

ქვეცნებები: ბიოგრაფიული, ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტური ფაქტორები

ქვესაკითხები: შერჩეული ავტორის ბიოგრაფია, ავტორის თანადროული ეპოქისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური ღირებულებები; ლიტერატურული მიმდინარეობა - რომანტიზმი.

Dont copy

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ლიტერატურულ მიმდინარეობა რომანტიზმს, რომლის ძირითადი მოტივებია სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, წარსულის, სიყვარულის, ბუნების გაიდეალება.
2. რომანტიკული ლიტერატურა ფოკუსირებულია სუბიექტურაზე, ინდივიდზე, მის განცდებსა და ემოციებზე, ამიტომაც რომანტიკული გმირის სახე ხშირად გამოირჩევა მეამბოხური სულისკვეთებით და ტრაგიკულია: ის მარტოსულად, ეულად გრძნობს თავს, გაუცხოებულია საზოგადოებისგან და მიისწრაფვის იქითკენ, რომ შეიმეცნოს ხილული სამყაროს მიღმა არსებული, იდეალური სამყარო; გააცნობიეროს ადამიანის სულის იდუმალი, ინტუიტური, არაცნობიერი მხარე.

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რატომაა მარადიული თემები აქტუალური ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- როგორ და რაზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას მწერლის ლიტერატურული პორტრეტი?
- რა გავლენას ახდენს ეპოქა მწერლის მსოფლმხედველობისა და მრწამსის ჩამოყალიბებაზე?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

	I ეტაპი		
სამიზნე ცნებები	**საკითხი, ქვეცნება**	**ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**	**კომპლექსური დავალება**
	თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები** **მხატვრული (პოეზია), არამხატვრული (პრეზენტაცია);** პოეტური ნაწარმოებების ჟანრული თავისებურებები; პრეზენტაციის ჟანრული თავისებურებები. • **შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.** შერჩეული ავტორის ნაწარმოებების თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, პრობლემატიკა, შეხედულებები, ფასეულობები/დამოკიდებულებები, ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე, განწყობა;	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა ტექსტების კითხვისა, შედარებებისა და პრეზენტაციის შედგენის დროს? • რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? • როგორ წარმოვაჩინო ავტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ცოდნა პრეზენტაციაზე მუშაობისას?	

Don't copy

	პრეზენტაციის სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), ორგანიზაციული ყალიბი. • **მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; რიტორიკის ელემენტები.** პრეზენტაციაში წარმოჩენილი რიტორიკული შეკითხვები და რიტორიკული მიმართვები; ვიზუალური, ვიდეო- და აკუსტიკური ელემენტები. • **ბიოგრაფიული, ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტური ფაქტორები** შერჩეული ავტორის ბიოგრაფია, ავტორის თანადროული ეპოქისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური ღირებულებები; ლიტერატურული მიმდინარეობა - რომანტიზმი.	• როგორ წარმოვაჩინო ტექსტის სხვადასხვა ნაწილს ან სხვადასხვა ტექსტს შორის არსებული მიმართებების გაგება? • რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?) • როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით? • /რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?	
	ავტორები: • **ალექსანდრე ჭავჭავაძე** • **გრიგოლ ორბელიანი** • **ნიკოლოზ ბარათაშვილი**		

Don't copy

1) ჟანრი (შედეგები: ქართ. საშ. 1, 4, 6, 7) 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.	**ავტორები: ალექსანდრე ჭავჭავაძე** **გრიგოლ ორბელიანი** **ნიკოლოზ ბარათაშვილი**	
	ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა **საკვანძო შეკითხვები:** რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით? **აქტივობა 1.** **კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს. **აქტივობა 2.** **აქტივობები წაკითხვამდე** ჩვენ ვიცით, რომ ტექსტების კითხვის დროს ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიას, რაც ტექსტების გაგებას გვიადვილებს. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას ისტორიული კონტექსტის, თანამედროვეობის ალეგორიის შემცველი ეპიზოდებისა და პარალელების შესახებ. **ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა** **საკვანძო შეკითხვები:** რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება? როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის? **აქტივობა 3.** რომანტიზმის, როგორც მიმდინარეობის, გაცნობა და მისი მახასიათებლების გამოკვეთა.	**კომპლექსური დავალება 2** **ლიტერატურული პორტრეტები (პრეზენტაცია „Power Point“-ის გამოყენებით)** შეარჩიეთ თქვენ მიერ შესწავლილი რომანტიკოსი ავტორებიდან ერთ-ერთი და მისი ცხოვრების გზისა თუ შემოქმედებითი თავისებურებების გათვალისწინებით შექმენით მწერლის ლიტერატურული პორტრეტი. მასალა წარმოადგინეთ პროგრამა „Power Point“-ის გამოყენებით მომზადებული 4-6 წუთიანი ზეპირი პრეზენტაციის სახით. **შეფასების კრიტერიუმები ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:** • რა თავისებურებებით გამოირჩევა ავტორის თანადროული ეპოქა, როგორია ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება (კონტექსტი);

Don't copy

2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად. **2) კომპოზიცია (შედეგები, ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7)** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/ შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა: ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის; ➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;	**აქტივობა 4** **პირველი შეხვედრა ავტორებთან** მასწავლებელი მოსწავლეებს არ აცნობს მწერლის ბიოგრაფიას პირდაპირ, ავტორებთან პირველი შეხვედრა იქნება განსაკუთრებული და შთამბეჭდავი, რადგან მოზარდებს წარმოდგენა პოეტებზე შეექმნებათ სრულიად განსხვავებული და მრავალფეროვანი აქტივობების შედეგად. მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემთხვევაში ჯერ წინანდლის ჭავჭავაძეთა სახლ-მუზეუმს ეწვევიან ვირტუალურად და გაეცნობიან მათი ცხოვრების წესსა და გარემოს, შემდგომ ილია ჭავჭავაძისა და უფრო გვიანდელი პოეტების ლექსებიდან ჩამოიყალიბებენ წარმოდგენებს ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, როგორც პოეტსა და პიროვნებაზე, საბოლოოდ კი, უკვე მისივე შემოქმედებიდან ამოიღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას პოეტის ლიტერატურული პორტრეტის შესაქმნელად. ასეთივე მიდგომა იქნება გამოყენებული გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევებშიც. მოსწავლეები სხვადასხვა რაკურსით აღიქვამენ პოეტებსა და მათ ცხოვრებას. **აქტივობა 5** **რუბრიკების კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები პარალელურად ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში. ასევე, აკვირდებიან და გამოკვეთენ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ავსებენ გრაფიკულ სქემებს, მსჯელობენ ილუსტრაციებზე დაყრდნობით და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები. **აქტივობა 6.** **დისკუსიები მკვლევართა მოსაზრებების გაცნობის შემდგომ** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს პოეტების ლექსებსა თუ ბიოგრაფიებთან დაკავშირებით სხვადასხვა კრიტიკოსისა თუ მკვლევრის მიერ გმოთქმულ მოსაზრებებს, მოსწავლეები განიხილავენ და გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს. ისინი ინიშნავენ და ერთმანეთს უზიარებენ მნიშვნელოვან მინიშნებებს, პრეზენტაციისათვის საჭირო ინფორმაციას.	• როგორია ავტორის კონკრეტული ნაწარმოებების ურთიერთმიმართება შესაბამისი ეპოქის ლიტერატურულ პროცესებთან (ამ შემთხვევაში, რომანტიზმთან); რა ინდივიდუალური თავისებურებები ახასიათებს მწერალს ამ საერთო ტენდენციების ფონზე **(კონტექსტი, კომპოზიცია);** • რიტორიკული შეკითხვები და რიტორიკული მიმართვები, რომლებსაც გამოიყენებთ აუდიტორიის ყურადღების მობილიზებისათვის **(ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** • მიზნის შესაბამისად შერჩეული ვიზუალური მასალა (ფოტოები, ნახატები); შეეცადეთ ასევე გაამდიდროთ პრეზენტაცია ვიდეო- და აუდიომასალით (მაგ., ფონური მუსიკით, ვიზუალური რიგით) **(ჟანრი, კომპოზიცია);** • რა სახის ინფორმაციის გადმოსაცემად გამოიყენეთ ზეპირი ტექსტი, რა სახის ინფორმაცია ასახეთ ვიზუალურად, რა სახის - აკუსტიკურად; რატომ თვლით, რომ სათქმელის ამგვარი გადანაწილება ეფექტურია **(ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

Draft copy

➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების; ➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით;	**აქტივობა 7** **ინტერვიუ მწერალთან** მოსწავლეები წინასწარ მოამზადებენ კითხვარს და წარმოადგენენ ინტერვიუს მწერალთან. კითხვებსა და პასუხებში აქცენტები იქნება იმდროინდელ მწვავე პრობლემებსა და ავტორთა პოზიციებზე. ალტერნატიულ ვარიანტად მათ აგრეთვე შეუძლიათ თავად ჩაწერონ ვირტუალური ექსკლუზიური ინტერვიუ მწერალსა და მის ახლობლებთან. მოსწავლეებს ვთავაზობთ „ალტერნატიულ დავალებას“, „ექსკლუზიური ინტერვიუ ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, კერძოდ, ტელეფონის აპლიკაცია „CHATER FIX“-ის გამოყენებით ინტერნეტიდან აღებულ სურათებს (მწერლის, მისი ახლობლების ფოტოებს) ვანიჭებთ სპეციალური „საუბრის ეფექტის“ფუნქციას, მოსწავლეები ამზადებენ ტექსტს და ადებენ გამოსახულებას. ასე „ნაწყვეტ-ნაწყვეტ“ იწერენ „პასუხებს“, ასევე ცალკე იწერენ შეკითხვებს. შემდეგ პროგრამა „Movie Maker“-ის გამოყენებით აერთიანებენ სპეციალურად მომზადებულ მასალას – მოსწავლეების შეკითხვებსა და რესპოდენტების (ნიკოლოზ ბარათაშვილის, მისი დის, ბარბარეს, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილისა და სხვათა) პასუხებს. **მომზადებულ ვირტუალურ ინტერვიუს წარადგენენ ალტერნატიულ ვარიანტად. იხილეთ რესპოდენტის „პასუხები“ (ტექნიკური ნიმუშები):** **1. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვა:** https://www.youtube.com/shorts/B7JXjtzZLX0 **2. გრიგოლ ორბელიანის ინტერვიუ;** https://www.youtube.com/shorts/_21mJd46C4s **აქტივობა 8** **ლიტერატურული პორტრეტების ნიმუშების გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს და დაამუშავებინებს ცნობილ მწერალთა, კრიტიკოსთა და მოაზროვნეთა (ი. ჭავჭავაძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ქიქოძე, გ. ასათიანი) მიერ დაწერილ ლიტერატურულ პორტრეტებს.	**<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის (დავალების წარდგენისას დასასმელი):</u>** • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი არის სამნაწილიანი პრეზენტაცია? • რა ვერბალური და არავერბალური საშუალებები გამოიყენეთ აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოსახდენად. თქვენი მეგობრების პრეზენტაციიდან პირადად თქვენზე რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება; • რომელი რიტორიკული ფიგურები განმოიყენეთ აუდიტორიასთან ეფექტური კონტაქტისათვის და რა უკუკავშირი მიიღეთ მათგან (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან); • იმსჯელეთ დავალების ვიზუალურ მხარესა და პრეზენტაციის ტექნიკურ მახასიათებლებზე.

Don't copy

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის; 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** **(შედეგები: *ქართ. საშ. 4, 6, 7*)** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით;	**აქტივობა 9** **„Power Point“-ის გამოყენებით პრეზენტაციის ფორმატზე მუშაობა** მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს, როგორ უნდა შექმნან სლაიდებით აწყობილი პრეზენტაცია, რომელიც გაფორმებული იქნება ფოტო, ვიდეო თუ აუდიო მასალით. მათ უკვე აქვთ ამისი გამოცდილება, თუმცა სასურველია, კიდევ ერთხელ გადახედონ ნიმუშებს და ამის გათვალისწინებით იმუშაონ დავალებაზე. **აქტივობა 10.** **პრეზენტაციის შექმნა** მოსწავლეები მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე პროგრამა „Power Point“-ის გამოყენებით ქმნიან – „ლიტერატურულ პორტრეტებს.“ **აქტივობა 11.** **კომპლექსური დავალების წარდგენა** მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ პრეზენტაციებზე მუშაობის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე. **რესურსები: სახელმძღვანელო;** **დანართში არსებული დამხმარე მასალა:** **1. ვიდეორგოლი „წინანდლის მუზეუმის დღევანდელობა“** https://www. youtube. com/watch?v=MRvatBIUEX0 **2. ლიტერატურული პანორამა „ალექსანდრე ჭავჭავაძე“** https://www. youtube. com/watch?v=p2M3HMa-HEo&t=71s **3. საშინაო სკოლის გაკვეთილები– მაია ჯალიაშვილი** https://www. youtube. com/watch?v=0j7KFbz2t-I **4. საქართველოს რადიომუზეუმი, გროგოლ ორბელიანი „მუხამბაზი“, კითხულობს ვერიკო ანჯაფარიძე (მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით)** https://1tv. ge/lang/ab/radiomuseum/grigol-orbeliani-mukhambazi/ **5. აკა მორჩილაძე „დაკარგული წიგნები“ იონა მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, VII სერია** https://www.youtube.com/watch?v=-7Hja7a5t8g	

Don't copy

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი; 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **4) კონტექსტი** **(შედეგები: *ქართ. საშ 2, 5,*)** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები; 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა; 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	**კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)** • რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ ფორმით პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების გზის შეჯამება? • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, როგორ დაგეგმეთ და განახორციელეთ სამუშაო. აღწერეთ დავალების შესრულების ეტაპები. რით იყო გამორჩეული თითოეული ეტაპი, რას შეცვლიდი, ამგვარ დავალებას ხელახლა რომ ასრულებდე; • შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით დააკვირდი, რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს, რამ განაპირობა შენი წინსვლა და რამ დაგაბრკოლა; • რა სიძნელეებსა და დაბრკოლებებს წააწყდი ნაშრომზე მუშაობისას? რა დაგეხმარა და რამ შეგიშალა ხელი წამოჭრილი პრობლემების დაძლევაში? • როგორ მოახერხე დაბრკოლებებთან გამკლავება; რომელი ხერხები და საშუალებები გამოიყენე წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად და როგორ გამოიყენებ მათ მომავალში;	

Don't copy

მატრიცა N3. სპექტაკლისგან მიღებული შთაბეჭდილების წერილობით გადმოცემა

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (https://9nes.short.gy/EXvJA4) ჩამოტვირთოთ აქ:

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა: ცხოვრება სცენაზე (ადამიანის ცხოვრების გზა)
ტექსტი: გიორგი ერისთავის „გაყრა“
საკითხი: სპექტაკლისგან მიღებული შთაბეჭდილების წერილობით გადმოცემა
საათების სავარაუდო რაოდენობა 10 საათი

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. ქვესაკითხები

1. სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ.1, 4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრული (მულტიმედიური ტექსტი - სპექტაკლი), არამხატვრული (გამოხმაურება/პირადი შთაბეჭდილების ამსახველი ესე);

ქვესაკითხები: სპექტაკლის ჟანრული თავისებურებები; პირადი შთაბეჭდილების ამსახველი ესეს/გამოხმაურების ჟანრული თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ.საშ.1, 3, 4, 6, 7)

ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.

ქვესაკითხები: ნანახი სპექტაკლის თემა, ქვეთემა, პრობლემატიკა; ავტორის მთავარი სათქმელი, ხედვის კუთხე, სიუჟეტი, პერსონაჟები, მხატვრული კონფლიქტი, მოქმედების დრო და ადგილი, დიალოგი, მონოლოგი, ეპიზოდი (/მოქმედება, სცენა); რეჟისორის კონცეფცია/ინტერპრეტაცია; ესეს სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).

3. სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ.საშ.4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ენობრივ-გრამატიკული ფორმები

ქვესაკითხები: თეატრალური პერფორმანსის ენა: მსახიობების ინტერპრეტაცია - ვერბალური და არავერბალური მეტყველება (ჟესტი, მიმიკა, სხეულის პოზა, მოძრაობა, მეტყველების მანერა, ინტონაცია, ხმის დინამიკა), კოსტიუმები, დეკორაცია, მუსიკალური გაფორმება; ესეში გამოყენებული ემოციების გამომხატველი ლექსიკა; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

4. სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)

ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი.

ქვესაკითხები: სპექტაკლში წარმოჩენილი მოვლენების თანადროული ეპოქის მახასიათებლები; თანამედროვე ეპოქის პრობლემატიკა, საჭიროებები, ფასეულობები.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. რა ვიცით თეატრის, როგორც ხელოვნების დარგის შესახებ? რამდენადაა საინტერესო თანამედროვე მაყურებლისათვის ძველი სპექტაკლები და პიესები?
2. რამდენად უნდა ეხმიანებოდეს მწერალი თავის ქვეყანაში არსებულ პრობლემებს? რეჟისორი?
3. როგორ ასახავს ლიტერატურა რეალობა ? შესაძლებელია თუ არა რეალობის გადატანა სცენაზე?
4. რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს სპექტაკლში?
5. რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? სპექტაკლი? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

Don't copy

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რა ვიცით თეატრის, როგორც ხელოვნების დარგის შესახებ? რამდენადაა საინტერესო თანამედროვე მაყურებლისათვის ძველი სპექტაკლები და პიესები?
- რამდენად უნდა ეხმიანებოდეს მწერალი თავის ქვეყანაში არსებულ პრობლემებს? რეჟისორი?
- როგორ ასახავს ლიტერატურა რეალობას? შესაძლებელია თუ არა რეალობის გადატანა სცენაზე?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს სპექტაკლში?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? სპექტაკლი? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

სამიზნე ცნებები	**საკითხი, ქვეცნება**	**ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**	**კომპლექსური დავალება**
(1) ჟანრი (შედეგები: ქართ. საშ. 1, 4, 6, 7) 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან; 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.	**თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:** **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:** მხატვრული (მულტიმედიური ტექსტი – სპექტაკლი), არამხატვრული (გამოხმაურება/პირადი შთაბეჭდილების ამსახველი ესე); სპექტაკლის ჟანრული თავისებურებები; პირადი შთაბეჭდილების ამსახველი ესეს/გამოხმაურების ჟანრული თავისებურებები. შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება. ნანახი სპექტაკლის თემა, ქვეთემა, პრობლემატიკა; ავტორის მთავარი სათქმელი, ხედვის კუთხე, სიუჟეტი, პერსონაჟები, მხატვრული კონფლიქტი, მოქმედების დრო და ადგილი, დიალოგი, მონოლოგი, ეპიზოდი (/ მოქმედება, სცენა); რეჟისორის კონცეფცია/ინტერპრეტაცია; ესეს სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? როგორ წარმოვაჩინო მიმართებები ტექსტსა და სპექტაკლს შორის? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? რატომ არის ეს ტექსტი კომედია? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა ტექსტების კითხვისა და შთაბეჭდილების დაწერის დროს? • რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეის გაგება? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის სხვადასხვა ნაწილს ან სცენაზე განსახიერებულ სპექტაკლს შორის არსებული მიმართებების გაგება?	

Don't copy

2) კომპოზიცია (შედეგები, ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7) 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/ შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა: ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტრულ-ორ-განიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის; ➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზა-ციული ელემენტების – მეტრისა და რითმის; ➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარ-მოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსო-ნაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების;	**მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ენობრივ-გრამატიკული ფორმები** **ქვესაკითხები** - თეატრალური **პერფორმანსის ენა:** მსახიობების **ინტერპრეტაცია** - ვერბალური და არავერბალური მეტყველება (ჟესტი, მიმიკა, სხეულის პოზა, მოძრაობა, მეტყველების მანერა, ინტონაცია, ხმის დინამიკა), კოსტიუმები, დეკორაცია, მუსიკალური გაფორმება; ესეში გამოყენებული ემოციების გამომხატველი ლექსიკა; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები. • **ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი.** სპექტაკლში წარმოჩენილი მოვლენების თანადროული ეპოქის მახასიათებლები; თანამედროვე ეპოქის პრობლემატიკა, საჭიროებები, ფასეულობები.	• რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/ რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?) • როგორ გამოვიყენო მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით? • რამდენად და რითია ეს ტექსტი და სპექტაკლი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის? • რამდენად და როგორ მეხმარება ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის დროს?	

Don't copy

➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით; 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის;	**ტექსტი: გიორგი ერისთავი „გაყრა“** **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვები:** რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით? **აქტივობა 1.** კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს. **აქტივობა 2.** **აქტივობები ტექსტის წაკითხვამდე – შესავალი საუბარი რეალიზმისა და ქართული თეატრის ისტორიის შესახებ** ჩვენ ვიცით, რომ ტექსტების კითხვამდე ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიას, რაც ტექსტების გაგებას გვიადვილებს. მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას რეალიზმის, როგორც მიმდინარეობის შესახებ. ასევე გააცნობს ქართული თეატრის ისტორიას. მოსწავლეები გააცნობიერებენ, რა იდეოლოგიური მემკვიდრეობა ხვდა წილად ჩვენს თეატრს. **ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა** **საკვანძო შეკითხვები:** რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება?როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის? **აქტივობა 3.** **ორიოდე სიტყვა ჟანრის შესახებ** მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება კომედიური ჟანრის შესახებ და აცნობს მის მახასიათებლებს, აგრეთვე, ძირითად მიზანს, რომ კომედიით ავტორებს სურთ დაანახონ საზოგადოებას საკუთარი ნაკლი და გაუჩინონ მათი გამოსწორების სურვილი.	**კომპლექსური დავალება 3. პირადი შთაბეჭდილების დაწერა კონკრეტული სპექტაკლის მიხედვით** შეარჩიეთ ამ პარაგრაფში წარმოდგენილი ნებისმიერი სპექტაკლი, ნახეთ მისი კომპიუტერული ვერსია (ანდა შეარჩიეთ ნებისმიერი თქვენთვის სასურველი სპექტაკლი (თუნდაც ისეთი, რომელიც ამ პარაგრაფში არ არის დასახელებული) და წერილობით გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილება ნანახის შესახებ. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები. **შეფასების კრიტერიუმები ნამუშევარში:** • რა ძირითადი პრობლემაა გამოკვეთილი სპექტაკლში, როგორია პრობლემის გადაჭრის ავტორისეული კონცეფცია **(კომპოზიცია);** • აღნიშნეთ, რა მიმართებაა გამოკვეთილ პრობლემასა და სპექტაკლში წარმოჩენილი მოვლენების თანადროულ ეპოქას შორის **(კომპოზიცია, კონტექსტი);**

Don't copy

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** *(შედეგები:* **ქართ. საშ. 4, 6, 7***)* 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	**აქტივობა 4** ავტორების ნაამბობი თეატრზე მოსწავლეები ეცნობიან აკა მორჩილაძის მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას, კერძოდ, ამონარიდებს „ქართულის რვეულებიდან“, რომელშიც საუბარია ოპერასა და თეატრზე. **აქტივობა 5** **კომედიის ტექსტზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან გიორგი ერისთავის კომედიიდან ეპიზოდებს. მასწავლებლის დახმარებით ამუშავებენ მათ როგორც შინაარსობრივი, ასევე უშუალოდ ანალიზის მიმართულებით. ინიშნავენ და ახარისხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და ახარისხებენ მათ. **აქტივობა 6** **რუბრიკების კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები, ნაწარმოებებზე მუშაობის პარალელურად, ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის, ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში, გამოკვეთონ და გააცნობიერონ ტექსტებში დასმული პრობლემები. **აქტივობა 7.** **ენა და ტქსტი** მოსწავლეები აკვირდებიან პერსონაჟთა მეტყველებას, ამის შემდეგ კი თავად ქმნიან გმირთა ენობრივი სამყაროს კალეიდოსკოპს. ისინი საუბრობენ, რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ნაწარმოების სამეტყველო ენამ.	• გადმოეცით, როგორია თქვენი თვალსაზრისი რეჟისორის ხედვის, მსახიობთა თამაშის, თეატრალური ეფექტების შესახებ; რა მოგეწონათ ყველაზე მეტად, რა – ნაკლებად **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** • ისაუბრეთ, რატომ დაგაინტერესათ ამ სპექტაკლმა, რითია ის საინტერესო თქვენთვის, თანამედროვე მაყურებლისთვის **(კომპოზიცია, კონტექსტი);** • გამოიყენეთ ემოციების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები თქვენი შეფასებებისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად, მკითხველზე ზეგავლენის მოსახდენად **(ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** • გამოკვეთეთ სამი სტრუქტურული ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა **(ჟანრი, კომპოზიცია).**

Don't copy

4) კონტექსტი **(შედეგები: *ქართ. საშ 2, 5,*)** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	**აქტივობა 8.** **რამდენიმე წუთი კომპიუტერთან** ეს ერთ-ერთი ძირითადი აქტივობაა ამ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მოსწავლეები ნახავენ კომედია „გაყრის“ რამდენიმე ვერსიას (დრამატულ თეატრსა და მუსიკალური კომედიის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს)ამასთან, გადმოსცემენ საკუთარ შთაბეჭდილებებსა და პირად დამოკიდებულებას. **აქტივობა 9.** **სტუმრად თეატრში** ამ რუბრიკაში რეჟისორი დავით დოიაშვილი მასპინძლობს მოსწავლეებს მუსიკალური კომედიის თეატრში. რვაწუთიანი ვიდეორგოლი მისი მონაწილეობით აცნობს მოსწავლეებს როგორც თეატრის ინტერიერს, ასევე ისტორიასაც. **აქტივობა 10.** **ძველი სპექტაკლების რეტროსპექტივა** დამატებით აქტივობად მოსწავლეებს მასწავლებელი შესთავაზებს ძველი სპექტაკლების რეტროსპექტივას, კერძოდ, „ძველ ვოდევილებს“. მათ შეუძლიათ, აირჩიონ, რომელ სპექტაკლზე დაწერენ შთაბეჭდილებას. **აქტივობა 11.** **შთაბეჭდილების ფორმატზე მუშაობა** მასწავლებელი ნიმუშად მოსწავლეებს სთავაზობს პირადი შთაბეჭდილების გამომხატველ ტექსტებს (მ. სახურიას „კომედია „გაყრასა“ და ქართულ თეატრზე“ და ქ. კენჭოშვილის „მოხუცი ჯამბაზები“). ამის შემდგომ მოსწავლეები წერენ საკუთარ შთაბეჭდილებებს. **აქტივობა 12.** **კომპლექსური დავალების წარდგენა** მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ წერის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე.	**<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის:</u>** • რა სტრუქტურული ნაწილებისგან შედგება თქვენი ნამუშევარი? (დაასახელეთ); რა კავშირია ამ ნაწილებს შორის?

Don't copy

რესურსები: სახელმძღვანელო;
დანართში არსებული დამხმარე მასალა

1. **გიორგი კალანდიას ვიდეობლოგი. გიორგი ერისთავი (ქართული თეატრის ისტორიიდან)**
   https://www. youtube. com/watch?v=DYG4GJ8cePU
2. **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი „გაყრა“ (მუსიკური მიუზიკლი)**
3. **მესხეთის დრამატული თეატრის სპექტაკლი „გაყრა“,**
   ნაწილი 1. https://www. youtube. com/watch?v=az4pV6pAp60
4. **მესხეთის დრამატული თეატრის სპექტაკლი „გაყრა“,**
   ნაწილი II https://www. youtube. com/watch?v=EBJSez2e1wg
5. **თანამედროვე თეტრის ამოუწურავ შესაძლებლობებზე გვგასაუბრება რეჟისორი დავით დოიაშვილი 8 წუთიან ვიდეორგოლში – „ჩვენ მოვიგონეთ, რომ რეჟისორები გვქვია“**
   https://www. youtube. com/watch?v=QGXE7mRiU-g
6. **ძველი სპექტაკლების რეტროსპექტივა**
   ქართული თეატრის ოქროს ფონდში ინახება სპექტაკლი „ძველი ვოდევილები“, რომლის ავტორებიც არიან – ავქსენტი ცაგარელი, აკაკი წერეთელი და ქაქუცა ბახუტაშვილი https://www.youtube.com/watch?v=blyepqQfXVA

კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)

- კიდევ ერთხელ გადაავლე თვალი დავალების შესრულების პროცესს, როგორ დაგეგმე მუშაობა? აღწერე რა ეტაპებს გამოყოფდი, რით იყო გამორჩეული თითოეული ეტაპი, რა თანმიმდევრობით დაგეგმე და განახორციელე სამუშაო და რა მნიშვნელობა აქვს ამ თამიმდევრობას; რას შეცვლიდი, ამგვარ დავალებას ხელახლა რომ ასრულებდე;
- შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით დააკვირდი, რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს, რამ განაპირობა შენი წინსვლა და რამ დაგაბრკოლა;
- რა სიძნელეებსა და დაბრკოლებებს წააწყდი შთაბეჭდილებაზე მუშაობისას? რა დაგეხმარა და რამ შეგიშალა ხელი წამოჭრილი პრობლემების დაძლევაში? როგორ მოახერხე ამ დაბრკოლებებთან გამკლავება; რომელი ხერხები და საშუალებები გამოიყენე წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად და როგორ გამოიყენებ მათ მომავალში;

Don't copy

მატრიცა 4. პუბლიცისტური წერილი – „ბედნიერი ერი დღეს“

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (ttps://9nes.short.gy/40nPYL) ჩამოტვირთოთ აქ:

თემა:XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა -გზა ხსნისა
ავტორი ილია ჭავჭავაძე
საათების სავარაუდო რაოდენობა 35 საათი
საკითხი: პუბლიცისტური წერილის დაწერა ინტერნეტგამოცემისთვის სათაურით: „ბედნიერი ერი დღეს“

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები:

1. სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ.1, 4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრული (მოთხრობა, ლექსი), არამხატვრული (პუბლიცისტური წერილი).

ქვესაკითხები: მხატვრული ტექსტების (მოთხრობის, ლექსის) ჟანრული თავისებურებები; პუბლიცისტური წერილის ჟანრული თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ.საშ.1, 3, 4, 6, 7)

ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.

ქვესაკითხები: ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოჩენილი თემა, ქვეთემა, პრობლემატიკა; მთავარი იდეა/ძირითადი საკითხი, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი (მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებებში), ლირიკული გმირი, პერსონაჟთა სახეები (მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, მოტივაცია, ქმედებები, შინაგანი სამყარო - განცდები, ფიქრები, ემოციები; შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან); ხედვის კუთხე (ავტორ-მთხრობლის, პერსონაჟის, ლირიკული გმირის); ავტორისეული ჩანართები, ფასეულობები, ღირებულებები/დამოკიდებულებები; ქვეტექსტური ინფორმაცია; მოსწავლის პუბლიცისტური წერილის თემა, პრობლემატიკა; სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).

3. სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ.საშ.4, 6, 7)

ქვეცნებები: ფუნქციური სტილი; რიტორიკის ელემენტები; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.

ქვესაკითხები: მოსწავლის წერილში წარმოჩენილი პუბლიცისტური სტილი; თეზისი, არგუმენტი; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

4. სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)

ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი.

ქვესაკითხები: ილიას თანადროული ეპოქის მახასიათებლები, რეალიები, პრობლემატიკა, ფასეულობები; თანამედროვე ეპოქის მახასიათებლები, რეალიები, პრობლემატიკა, ფასეულობები.

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ადგილს იკავებს რეალიზმი, რომლის საქართველოში დამკვიდრება უკავშირდება ე. წ. „თერგდალეულთა“ მოძრაობას.
2. რეალისტური ლიტერატურის მიზანია სამყაროს შეულამაზებლად, რეალისტურად ასახვა ტიპობრივი მახასიათებლების წარმოჩენით, ხშირად კრიტიკული მიდგომით;
3. რეალისტური ლიტერატურის გმირი ტიპობრივი პერსონაჟია, რომელიც კარგად ნაცნობია მკითხველისთვის, ყურადღება გამახვილებულია ამ პერსონაჟის სოციალურ გარემოზე, ზოგადად, სოციალურ ფონზე, ურთიერთობებზე (ხშირად წინააღმდეგობრივზე) გმირსა და საზოგადოებას შორის.

Don't copy

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რატომაა მარადიული თემები და პრობლემები აქტუალური ყველა დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- რამდენად უნდა ეხმიანებოდეს მწერალი თავის ქვეყანაში არსებულ პრობლემებს?
- როგორ ასახავს ლიტერატურა რეალობას?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

	I ეტაპი		
სამიზნე ცნებები	**საკითხი, ქვეცნება**	**ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**	**კომპლექსური დავალება**
	თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:** მხატვრული (მოთხრობა, ლექსი), არამხატვრული (პუბლიცისტური წერილი). მხატვრული ტექსტების (მოთხრობის, ლექსის) ჟანრული თავისებურებები; პუბლიცისტური წერილის ჟანრული თავისებურებები. • **შინაარსობრივი მხარე, სტრუქტურა-ორგანიზება.** ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოჩენილი თემა, ქვეთემა, პრობლემატიკა; მთავარი იდეა/ძირითადი საკითხი, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი (მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებებში), ლირიკული გმირი, პერსონაჟთა სახეები (მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, მოტივაცია, ქმედებები, შინაგანი სამყარო – განცდები, ფიქრები, ემოციები;	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა? ლექსი? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა ტექსტების კითხვისა,შედარებებისა და პუბლიცისტური წერილის შედგენის დროს? • რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეის გაგება? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის სხვადასხვა ნაწილს ან სხვადასხვა ტექსტს შორის არსებული მიმართებების გაგება? • რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?)	

Don't copy

	შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან); ხედვის კუთხე (ავტორ-მთხრობლის, პერსონაჟის, ლირიკული გმირის); ავტორისეული ჩანართები, ფასეულობები, ღირებულებები/დამოკიდებულებები; ქვეტექსტური ინფორმაცია; მოსწავლის პუბლიცისტური წერილის თემა, პრობლემატიკა; სამი ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). • **ფუნქციური სტილი; რიტორიკის ელემენტები; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.** მოსწავლის წერილში წარმოჩენილი პუბლიცისტური სტილი; თეზისი, არგუმენტი; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები. ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი. ილიას თანადროული ეპოქის მახასიათებლები, რეალიები, პრობლემატიკა, ფასეულობები; თანამედროვე ეპოქის მახასიათებლები, რეალიები, პრობლემატიკა, ფასეულობები.	• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით? • რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალობის ასახვაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის გაგებაში?/რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის? • რამდენად და როგორ მეხმარება ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის დროს?	
	ტექსტები: ილია ჭავჭავაძე „ბედნიერი ერი“ „მგზავრის წერილები“; „კაცია-ადამიანი?!“; „ოთარაანთ ქვრივი“ პუბლიციტური წერილები.		

Draft Copy

(1) ჟანრი (შედეგები: ქართ. საშ. 1, 4, 6, 7) 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან; 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად. **2) კომპოზიცია (შედეგები, ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7)** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა: ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის; ➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელენტების – მეტრისა და რითმის;	**ტექსტი: ილია ჭავჭავაძე** **„ბედნიერი ერი“;** **„მგზავრის წერილები“;** **„კაცია-ადამიანი?!“;** **„ოთარაანთ ქვრივი“.** **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვები:** რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით? **აქტივობა 1.** **კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს. **აქტივობა 2.** **აქტივობები წაკითხვამდე** ჩვენ ვიცით, რომ ტექსტების კითხვის დროს ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიას, რაც ტექსტების გაგებას გვიადვილებს. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას ისტორიული კონტექსტის, თანამედროვეობასთან დასაკავშირებელი ეპიზოდებისა და ავტორის ბიოგრაფიის შესახებ. **ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა** **საკვანძო შეკითხვები:** რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება? როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის?	**პუბლიცისტური წერილი ინტერნეტგამოცემისათვის** • სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში შესწავლილი მხატვრული ტექსტებისა და პუბლიცისტური წერილების მიხედვით ჩამოაყალიბეთ ილიასდროინდელი საზოგადოების მანკიერი მხარეები, შეადარეთ ისინი ჩვენი საზოგადოების პრობლემებს და დაწერეთ პუბლიცისტური წერილი „ბედნიერი ერი დღეს“ ინტერნეტგამოცემისათვის. • წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

Don't copy

➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების; ➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით; 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის;	**აქტივობა 3.** რეალიზმის, **როგორც მიმდინარეობის,** გაცნობა და მისი მახასიათებლების გამოკვეთა **აქტივობა 4** **ტექსტზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან ილიას ნაწარმოებებს, მასწავლებლის დახმარებით ამუშავებენ მათ, როგორც შინაარსობრივი, ასევე უშუალოდ ანალიზის მიმართულებით. ინიშნავენ და ახარისხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და ახარისხებენ მათ. **აქტივობა 5** **რუბრიკების კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები, ნაწარმოებებზე მუშაობის პარალელურად, ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში, გამოკვეთონ და გააცნობიერონ ტექსტებში დასმული პრობლემები. ისინი ავსებენ სხვადსხვა გრაფიკულ სქემას, მსჯელობენ ილუსტრაციებზე დაყრდნობით და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები. **აქტივობა 6** **დისკუსია პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებასთან დაკავშირებით** პრობლემების იდენტიფიცირებისა და გაანალიზება-დახარისხების შემდგომ მოსწავლეები მოაწყობენ დისკუსიას და იმსჯელებენ მათი გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტზე, გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებსა და მოსაზრებებს.	**შეფასების კრიტერიუმები** • **ნამუშევარში წარმოაჩინეთ:** • საზოგადოების რა მანკიერი მხარეები თუ პრობლემებია გამოკვეთილი ილია ჭავ-ჭავაძის შემოქმედებაში, როგორია მწერლის პოზი-ცია მათ მიმართ, რაში ხედავს ის გამოსავალს (თქვენი მოსაზრებების დასა-ბუთებლად დაიმოწმეთ შესა-ბამისი მაგალითები ილიას მხატვრული და პუბლიცისტუ-რი ნაწარმოებებიდან) **(კონ-ტექსტი, კომპოზიცია, ჟანრი);** • რა პრობლემები ანდა მანკიერი მხარეებია დამახასიათებელი თანამედროვე ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის **(კონტექსტი);** • რა მსგავსება-განსხვავებაა ილიას ეპოქისა და თანამედროვე დროის საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებს შორის, რითია ისინი განპირობებული **(კონტექსტი);**

Demo copy

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები
(შედეგები: ქართ. საშ. 4, 6, 7)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით;
2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი;
3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

აქტივობა 7.
ინტერვიუ საზოგადოების წარმომადგენლებთან
მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ კითხვარს, რომელიც მოიცავს ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ილიას მათ მიერ შესწავლილ ნაწარმოებებში გამოიკვეთა (სოციალური უთანასწორება, გაუცხოებისა და გათითოკაცების პრობლემა, ლუარსაბობა, როგორც ეროვნული სენი, განათლების დეფიციტი და სხვა). ამ კითხვარების მეშვეობით ისინი ინტერვიუს აიღებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისაგან თემაზე „ბედნიერი ერი დღეს, ანუ ილიასეული პრობლემები ჩვენს თანამედროვეობაში“.

აქტივობა 8.
კითხვარებიდან ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და ამის შედეგად გამოკვეთილი თანამედროვეობის პრობლემების ანალიზი.

აქტივობა 9.
პუბლიცისტური წერილების ნიმუშებზე დაკვირვება
მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს თავად ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილ და მათთვის უკვე ნაცნობ პუბლიცისტურ წერილებს „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?’ და „ზოგიერთი რამ“...
მოსწავლეები დააკვირდებიან წერილების სტრუქტურასა და სტილს.

აქტივობა 10.
პუბლიცისტური წერილის შექმნა ინტერნეტგამოცემისათვის
მოსწავლეები მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე წერის სტრატეგიების გამოყენებით წერენ ინტერნეტგამოცემისათვის პუბლიცისტურ წერილს, სათაურით „ბედნიერი ერი დღეს“

- რა გზა იქნება ყველაზე ეფექტური თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად და რატომ, რამდენად და როგორ შეიძლება ამისთვის ილიას მემკვიდრეობის გამოყენება **(კონტექსტი);** მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);
- პუბლიცისტური წერილის სტრუქტურული ნაწილები – შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (ჟანრი, კომპოზიცია).

<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის:</u>

- რანტომ თვლით, რომ თქვენი ნაშრომი არის პუბლიცისტურინ წერილი?
- რა სტრუქტურული ნაწილებისგან შედგება თქვენი პუბლიცისტური წერილი? (დაასახელეთ); რა კავშირია მათ შორის?

Don't copy

4) კონტექსტი **(შედეგები: ქართ. საშ 2, 5,)** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები; 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა; 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	**აქტივობა 11.** კომპლექსური დავალების წარდგენა მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ წერის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე. **რესურსები: სახელმძღვანელო; დანართში არსებული დამხმარე მასალა.**	
	კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ) • რამდენად საინტერესო აღმოჩნდა პუბლიცისტური წერილის მომზადება: • როგორ დაგეგმე სამუშაო, რა თანმიმდევრობით გაანაწილე შესასრულებელი სამუშაო? ისაუბრე თითოეულ ეტაპზე; • რა სირთულეებს წააწყდი მუშაობის პროცესში? რამ განაპირობა შენი წინსვლა და რამ შეგიშალა ხელი? • რა ხერხები გამოიყენე სიძნელეების გადალახვისას? • თანაკლასელების მიერ გამოყენებულ რომელ ხერხს გამოიყენებ სამომავლოდ და პირიქით, რას ურჩევდი მათ წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად? • რას გააკეთებდი განსხვავებულად , ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?	

Don't copy

მატრიცა 5. ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩას“ ერთ-ერთი პერსონაჟის წარმოსახვითი მონოლოგის დაწერა (პერსონაჟის მონოლოგი)

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (https://9nes.short.gy/TzSMo3) ჩამოტვირთოთ აქ:

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა: არჩევანი
ალექსანდრე ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“
საკითხი: ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩას“ ერთ-ერთი პერსონაჟის წარმოსახვითი მონოლოგის დაწერა.
საათების სავარაუდო რაოდენობა 25 საათი

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები ქვესაკითხები

1. **სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ.1, 4, 6, 7)**
   ქვეცნებები: **მხატვრული (მოთხრობა).**
   ქვესაკითხები: **მოთხრობისა და მონოლოგის ჟანრული მახასიათებლები.**
2. **სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ.საშ.1, 3, 4, 6, 7)**
   ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე.
   ქვესაკითხები: ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ წარმოჩენილი თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები (მთავარი და არამთავარი, მოტივაცია, ქმედებები, შინაგანი სამყარო - განცდები, ფიქრები, ემოციები; შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, მეტყველება, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან); ხედვის კუთხე (ავტორ-მთხრობლის, პერსონაჟის); ქვეტექსტური ინფორმაცია; მოსწავლის მონოლოგის თემა, შერჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხე, მეტყველების სპეციფიკა.
3. **სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ.საშ.4, 6, 7)**
   ქვეცნებები: რიტორიკის ელემენტები; ლექსიკა, სტილი; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.
   ქვესაკითხები: მოსწავლის მონოლოგში წარმოჩენილი: რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული შეძახილი; ემოციების გამომხატველი ლექსიკა; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.
4. **სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)**
   ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი
   ქვესაკითხები: ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ აღწერილი მოვლენების თანადროული თემური ცხოვრების რეალიები, მმართველობის ფორმა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ფასეულობები.

Don't copy

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ადგილს იკავებს რეალიზმი, რომლის საქართველოში დამკვიდრება უკავშირდება ე. წ. „თერგდალეულთა“ მოძრაობას.
2. რეალისტური ლიტერატურის მიზანია სამყაროს შეულამაზებლად, რეალისტურად ასახვა ტიპობრივი მახასიათებლების წარმოჩენით, ხშირად კრიტიკული მიდგომით;
3. რეალისტური ლიტერატურის გმირი ტიპობრივი პერსონაჟია, რომელიც კარგად ნაცნობია მკითხველისთვის, ყურადღება გამახვილებულია ამ პერსონაჟის სოციალურ გარემოზე, ზოგადად, სოციალურ ფონზე, ურთიერთობებზე (ხშირად წინააღმდეგობრივზე) გმირსა და საზოგადოებას შორის.

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას – მისი პირადი არჩევანი თუ სხვა ფაქტორები, მაგ აღზრდა, გარემო, რწმენა, ისტორიული კონტექსტი და სხვ.
- როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ განსაცდელს/პრობლემებს?
- რატომ და როგორ მოგვითხრობს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა მწერლობაში ასახულ ცხოვრებას, ადამიანებს/პერსონაჟებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?
- ვინ და როგორ ქმნის საზოგადოების წარმოდგენას სამართლიანობაზე, სამართლიან სასჯელზე? რა მიმართებაა სამართლიანობასა და სამართალს შორის?
- რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სამართლიანობასთან დაკავშირებით?
- რა ფაქტორები განსაზღვრავს ავტორის/პერსონაჟების წარმოდგენებს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე, დანაშაულსა და სასჯელზე?
- როგორ შეიძლება კონფლიქტის თავიდან არიდება, მართვა? რა მსგავსება-განსხვავებაა შინაგან კონფლიქტსა და გარეგან კონფლიქტს შორის?

	I ეტაპი		
სამიზნე ცნებები	**საკითხი, ქვეცნება**	**ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**	**კომპლექსური დავალება**
	თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: **სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები** **მხატვრული (მოთხრობა).** **მოთხრობისა და მონოლოგის ჟანრული მახასიათებლები.**	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპისა და ჟანრის განსაზღვრა? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა,მ რომ მოთხრობის პერსონაჟის განცდები მონოლოგით გადმოვცე ? • რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს?	

Don't copy

	• **შინაარსობრივი მხარე** ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ წარმოჩენილი თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები (მთავარი და არამთავარი, მოტივაცია, ქმედებები, შინაგანი სამყარო – განცდები, ფიქრები, ემოციები; შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, მეტყველება, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან); ხედვის კუთხე (ავტორ-მთხრობლის, პერსონაჟის); ქვეტექსტური ინფორმაცია; მოსწავლის მონოლოგის თემა, შერჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხე, მეტყველების სპეციფიკა. • **რიტორიკის ელემენტები; ლექსიკა, სტილი; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.** მოსწავლის მონოლოგში წარმოჩენილი: რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული შეძახილი; ემოციების გამომხატველი ლექსიკა; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები. • **ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი** ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ აღწერილი მოვლენების თანადროული თემური ცხოვრების რეალიები, მმართველობის ფორმა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ფასეულობები.	• როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეა მონოლოგში? • როგორ წარმოვაჩინო სხვადასხვა ტექსტს შორის არსებული მიმართებების გაგება? როგორ ავსახო ორი ტექსტიდან მიღებული გამოცდილება ჩემ მიერ შედგენილ მონოლოგში? • რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს მისი სიტყვები, აზრები, დამოკიდებულებები, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან? რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს სხვა პერსონაჟების მოსაზრებები მის შესახებ, დამოკიდებულებები მის მიმართ? რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს ავტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია; • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის კონტექსტის ცოდნა? /რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?) და ახალი ტექსტის შედგენაში; • როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით? • რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის (წიგნის, ფილმის) გაგებაში?/რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის? • როგორ გამოვიყენო ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნა პერსონაჟის მონოლოგის წერისას?	

Don't copy

(1) ჟანრი (შედეგები: ქართ. საშ. 1, 4, 6, 7)

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან;
2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.

2) კომპოზიცია
(შედეგები, ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:
   - ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;
   - ➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელეენტების – მეტრისა და რითმის;

ტექსტი: ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“
ლიტერატურული პარალელები:
- **სოფოკლე, „ანტიგონე“,**
- **პიერ კორნელი ტრაგედია „ჰორაციუსი“;**
- **დოსტგოევსკი „დანაშაული და სასჯელი“**

ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

საკვანძო შეკითხვები: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

აქტივობა 1.
კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს.

აქტივობა 2.
აქტივობები წაკითხვამდე
ჩვენ ვიცით, რომ ტექსტის კითხვის დროს ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიას, რაც ტექსტის გაგებას გვიადვილებს. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს სახელმძღვანელოში მოცმულ ინფორმაციას ისტორიული კონტექსტის, თანამედროვეობის ალეგორიის შემცველი ეპიზოდების, სპეციფიკური ეთნოკულტურული გარემოს, კუთხის თავისებურებების– ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების, ფოლკლორული პირველწყაროსა და ტექსტის სიუჟეტის ურთიერთმიმართების შესახებ.

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა

საკვანძო შეკითხვები: რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება? როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის?

კომპლექსური დავალება N 5
პერსონაჟის მონოლოგი
მოირგეთ ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ერთ-ერთი პერსონაჟის როლი და დაწერეთ მისი მონოლოგი სამსჯავროზე ან სამსჯავროს გამართვის წინ. ამისათვის შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული მონოლოგები, გამოკვეთეთ მათი ჟანრობრივი თავისებურებანი და შეიმუშავეთ მონოლოგის ჩარჩო-სქემა, შემდეგ შექმენით მონოლოგი. ამისათვის:
- წარმოაჩინეთ პერსონაჟის ფიქრები, ემოციები და დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟების, ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების, თემში მოქმედი კანონების მიმართ;
- გადმოეცით, როგორ აფასებს პერსონაჟი თავის ქმედებებს, როგორ ხსნის მათ;
- შეეცადეთ გადმოსცეთ შერჩეული პერსონაჟის მეტყვლების სპეციფიკა;

Don't copy

➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; ➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით; 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის;	**აქტივობა 3.** **მინიდისკუსია – „აკრძალული, განუხორციელებელი სიყვარული“** ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც არის შემთხვევები, როცა სიყვარული „ჩნდება“ იქ, სადაც მას განვითარება და მომავალი არ უწერია. სიყვარულის უპერსპექტივობა, შესაძლოა, სულ სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ ამგვარი შემთხვევები ლიტერატურიდან (მარიტა), ან ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან და, ნაცნობი ეპიზოდების გათვალისწინებით, იმსჯელონ, როგორ შეიძლება განვითარდეს „განუხორციელებელი სიყვარული“ ტრადიციების მკაცრად დამცველ საზოგადოებაში? მოსწავლეები გაეცნობიან და იმსჯელებენ წიგნში მოყვანილი ამონარიდებისა და მათში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ. **აქტივობა 4** **მოთხრობის ტექსტზე პერმანენტული მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებს, მასწავლებლის დახმარებით ამუშავებენ მათ, როგორც შინაარსობრივი, ისე უშუალოდ ანალიზის მიმართულებით. ინიშნავენ და ახარისხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. **აქტივობა 5** **რუბრიკა „ჩვენ და ტექსტი“** **კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის, ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში. ასევე, აკვირდებიან და გამოკვეთენ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ავსებენ სქემებს, გრაფიკულ მაორგანიზებლებს, მსჯელობენ ილუსტრაციებზე, ვიდეორესურსებზე და ა. შ. მრავალფეროვანი მასალის გათვალისწინებით გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები.	• მონოლოგის რიტმულობისა და ემოციური მუხტის შესაქმნელად გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი საშუალებები (მაგ., ემოციების გამომხატველი ლექსიკა, რიტორიკული შეძახილი, რიტორიკული შეკითხვა). **შეფასების კრიტერიუმები: ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მონოლოგია **(ჟანრი, კომპოზიცია);** • ტექსტში მოცემულ რომელ მინიშნებებს დაეყრდენით მონოლოგის წერისას **(კომპოზიცია);** • რა ახალი დეტალებით გაამდიდრეთ პერსონაჟის სახე **(კომპოზიცია);** • რამდენად და როგორ შეძელით პერსონაჟის მეტყველების თავისებურების წარმოჩენა (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები ალ. ყაზბეგის ნაწარმოებიდან და თქვენი ნამუშევრიდან) **(ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);**

Don't copy

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** **(შედეგები: ქართ. საშ. 4, 6, 7)** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით; 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი; 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	**აქტივობა 6** **ლიტერატურული პარალელები** მასწავლებელი ლიტერატურული პარალელების რუბრიკაში მოსწავლეებს მრავალფეროვან და მდიდარ მასალას სთავაზობს. შესაძლოა, მასწავლებელმა ყველა მათგანი გაკვეთილზე ვერც გამოიყენოს. თუმცა ეს მასალა პედაგოგებს უტოვებს არჩევის შესაძლებლობას. ✓ ლიტერატურულ პარალელებში შესულია ამონარიდები ტექსტებიდან, ანდა რეკომენდირებულია წასაკითხად: სოფოკლეს „ანტიგონე“, ✓ პიერ კორნელის ტრაგედია „ჰორაციუსი“; ✓ დოსტგოევსკის „დანაშაული და სასჯელი“. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ამონარიდებს კლასიცისტი ავტორის, პიერ კორნელის, ტრაგედია „ჰორაციუსიდან“. მოსწავლეები გაიაზრებენ და გააანალიზებენ ტექსტს, დააკავშირებენ „ხევისბერ გოჩაში“ წარმოჩენილ პრობლემებთან. იმსჯელებენ, როგორ შეიძლება ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან დაკავშირება. **აქტივობა 7.** **ფოლკლორული პირველწყარო და მხატვრული ტექსტი** მასწავლებელი მოსწავლეებს აუხსნის, რომ არსებობს „ხევისბერი გოჩას“ ორი, ხევში ჩაწერილი ფოლკლორული ვარიანტი, რომლებიც ზოგიერთ მომენტში არსებითად განსხვავდება ლიტერატურული ნაწარმოებისაგან. მოსწავლეები იმსჯელებენ მსგავსება-განსხვავებებზე და გამოთქვამენ ვარაუდებს. **აქტივობა 8** **დისკუსია: სიყვარული და მოვალეობა** გრძნობა-გონების ჭიდილი ადამიანის მარადიული დილემაა. ამ თემაზე მრავალი შედევრი შექმნილა: მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს „ლიტერატურულ წინაპირობებსა“ და „პარალელებში“ განხილული ნაწარმოებებიდან ეპიზოდებს, სთხოვს, გაიხსენონ მსგავსი მაგალითები ლიტერატურიდან, დაასახელონ ტექსტები, რომლებშიც ადამიანის გრძნობები და მოვალეობები ებრძვის ერთმანეთს. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ნაწარმოებების პერსონაჟთა მონოლოგები სწორედ გრძნობა-გონების ჭიდილის დროს იქმნება.	• რომელი ენობრივი საშუალებები გამოიყენეთ მონოლოგის რიტმულობისა და ემოციური მუხტის შესაქმნელად (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან) **(ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** • კონკრეტულად, რაში და როგორაა მონოლოგში ასახული ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების ისტორიული კონტექსტი **(კონტექსტი).** **<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის (დავალების წარდგენისას დასასმელი):</u>** • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მონოლოგია? • ტექსტში მოცემულ რომელ მინიშნებებს დაეყრდენით მონოლოგის წერისას? (დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითები ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებიდან);

Draft copy

4) კონტექსტი **(შედეგები: ქართ. საშ 2, 5,)** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები; 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა; 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	მოზარდები გააანალიზებენ რუბრიკაში „ლიტერატურული პარალელები“ მოცემულ მასალას, შეადარებენ ნაწარმოებში გადმოცემულ ეპიზოდებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ პერსონაჟთა მონოლოგებს, როგორც შესაძლო ნიმუშებს მონოლოგური ჟანრის ტექსტებზე დასაკვირვებლად. ამის შემდგომ გაიმართება მინიდისკუსია – „თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა ერთმანეთს უპირისპირდება სიყვარული და ვალდებულება, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ამ ტრაგიკული დილემის დროს, თუ ეს ადამიანის ინდივიდუალური არჩევანია და განსჯას არ ექვემდებარება?“ **აქტივობა 9** **მინიდისკუსია -დანაშაული და სასჯელი** მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს სადისკუსიო თემას„დანაშაული და სასჯელი“ და სთხოვს, უპასუხონ კითხვებს: არსებობს თუ არა „გაუხმაურებელი“, „დაფარული“ დანაშაული, რომლის შესახებ არავინ იცის და, ბუნებრივია, მას სასჯელიც არ მოჰყვება? ივარაუდეთ, რა განცდა ეუფლება ადამიანს, როცა ასეთ „გაუხმაურებელ დანაშაულს“ დაატარებს მთელი ცხოვრება? შესაძლებელია თუ არა, დანაშაულის შესაბამისმა სასჯელმა ადამიანი სინდისის ქენჯნისგან გაათავისუფლოს, ანუ სასჯელით სულიერი სიმშვიდე მოიპოვოს? ყაზბეგის ნაწარმოებზე მუშაობის პარალელურად, მოსწავლეები გაიხსენებენ ტექსტებსა და ბიბლიურ ეპიზოდებს, რომლებშიც დაფარულ თუ აშკარა დანაშაულსა და შესაბამის სასჯელზეა საუბარი, დაამუშავებენ რუბრიკა „პარალელებში“ მოცემულ მასალას, გაეცნობიან დოსტოევსკის ცნობილი რომანის „დანაშაული და სასჯელი“, ფაბულას და გამოთქვამენ ვარაუდებს მოცემულ თემასთან დაკავშირებით.	• რა ახალი დეტალებით გაამდიდრეთ პერსონაჟის სახე? (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან) • რამდენად და როგორ შეძელით პერსონაჟის მეტყველების თავისებურების წარმოჩენა? (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები ალ. ყაზბეგის ნაწარმოებიდან და თქვენი ნამუშევრიდან); • რა ენობრივი საშუალებები გამოიყენეთ მონოლოგის რიტმულობისა და ემოციური მუხტის შესაქმნელად? (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან); • კონკრეტულად, რომელ დეტალში ან დეტალებში იკვეთება ისტორიული კონტექსტი?

Don't copy

აქტივობა 10.

მწერლის ენაზე დაკვრვება

მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს ტექსტის კონკრეტულ ეპიზოდებში ავტორის მიერ გამოყენებულ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე, განსაკუთრებით კი დიალექტზე, რიტორიკულ მიმართვებსა და კითხვებზე. გააცნობს სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებებს. მოსწავლეები თვალნათლივ დაინახავენ, თუ რა ენობრივი და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით აღწევენ ავტორები დასახულ მიზანს და რამდენად ეხმარება მათ ეს სათქმელის მკითხველამდე ეფექტურად მიტანაში.

აქტივობაა 11.

მინიდისკუსია თემაზე: რატომ მოკლა ხევისბერმა შვილი?“

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მოაწყობს საკლასო მინიდისკუსიას. მოზარდები შეაჯამებენ ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს რუბრიკა „პარალელებში“ მოცემული მხატვრული ტექსტებიდან ამონარიდებისა და „სადისკუსიო კლუბის სტუმრების“ პოზიციების გათვალისწინებით.
სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან ლიტერატურათმცოდნეები: გრიგოლ კიკნაძე, აკაკი ბაქრაძე და მაია ჯალიაშვილი. მათი მოსაზრებების გაცნობის შემდგომ მოსწვლეები შეეცდებიან, უპასუხონ მთავარ სადისკუსიო კითხვას – რატომ მოკლა ხევისბერმა შვილი?
ეს დისკუსია დაეხმარება იმ მოსწავლეებს, რომლებიც მონოლოგის თემად ხევსიბერის მიერ შვილის მკვლელობის საკითხს აირჩევენ;

აქტივობა 12.

მონოლოგის ფორმატზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს, როგორ უნდა შექმნან მონოლოგი, გაეცნობიან მონოლოგის ნიმუშებს ტექსტებიდან.

იხ, მონოლოგის ნიმუში:

- ჩარლი ჩაპლინი– მონოლოგი დიდი დიქტატორიდან
- გურამ საღარაძე კითხულოობს ედმუნდის მონოლოგს ტრაგედიიდან „მეფე ლირი“

Don't copy

	აქტივობა 13. **მონოლოგის შექმნა** მოსწავლეები მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, წერის სტრატეგიების გამოყენებით, წერენ მონოლოგს. **აქტივობა 14.** **კომპლექსური დავალების წარდგენა** მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ წერის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე. **რესურსები: სახელმძღვანელო;** **დანართში არსებული დამხმარე მასალა** **1. . მაია ჯალიაშვილი – ხევისბერის სახე** https://www.youtube.com/watch?v=Da55iBv5X8A **2. მაია ჯალიაშვილი – ონისეს სახე** https://www.youtube.com/watch?v=SFeVhNXGBWE **3. გია მურღულია – ტელსესკოლის გაკვეთილი „ხევისბერი გოჩა“** https://www.youtube.com/watch?v=askPv9JUutc **4. ნახეთ მხატვრული ფილმი ხევისბერი გოჩა.** https://www. youtube. com/watch?v=20yB73fmD0Y **5. ინტერპრეტაცია „ხევისბრი გოჩა“ სტუდიის სტუმრები არიან პროფესორები გია ალიბეგაშვილი, გია არგანაშვილი.** https://www. youtube. com/watch?v=ae4-4glhr1M **6. ნახეთ მხატვრული ფილმი „ხევისბერი გოჩა“.** https://www. youtube. com/watch?v=20yB73fmD0Y	1

Don't copy

	კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ) • აღწერე დავალების შესრულების პროცესი– რა ეტაპებად დაყავი სამუშაო და რა თანმიმდევრობით განახორციელე დაგეგმილი? გადმოეცი თითოეული ეტაპის მიმდინარეობის პროცესი; • რა სირთულეებს წააწყდი დავალებაზე მუშაობისას და როგორ გადაჭერი წამოჭრილი პრობლემები? რა დაგეხმარა და რამ შეგიშალა ხელი წინსვლაში? • მსგავსი დავალება ადრე თუ შეგისრულებია და რა გამოიყენე მაშინდელი გამოცდილებიდან? • დავალებაზე მუშაობის პროცესში რა გამოცდილება შეიძინე, რომელიც შესაძლოა განაზოგადო და მომავალშიც გამოგადგეს? რატომ ფიქრობ ასე? • შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში რა ძლიერი და სუსტი მხარეები გამოიკვეთა? როგორ გააძლიერებ საკუთარ მიღწევებს და აღმოფხვრი ხარვეზებს? • მსგავსი ტიპის სამუშაოს შესრულებამ მომავალშიც რომ მოგიწიოს, რას გააკეთებდი სხვაგვარად? • რას ურჩევდი თანაკლასელებს და რა ტიპის რჩევებს მიიღებდი მათგან? რაში დაგეხმარა თანაკლასელის ნაშრომზე დაკვირვება?	

Don't Copy

მატრიცა 6. ანალიტიკური ესე – „სიყვარული და მოვალეობა – მარადიული დილემა და პერსონაჟთა არჩევანი“ (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩასა“ და კორნელის „ჰორაციუსის“ მაგალითზე)

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (https://9nes.short.gy/hNg2Of) მატრიცა ჩამოტვირთოთ აქ:

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა: არჩევანი
ტექსტი: ალექსანდრე ყაზბეგი „ხევისბერი გოჩა“
საკითხი: ანალიტიკური ესე „სიყვარული და მოვალეობა - მარადიული დილემა და პერსონაჟთა არჩევანი“ (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩასა“ და პიერ კორნელის „ჰორაციუსის“ მიხედვით).
საათების სავარაუდო რაოდენობა 25 საათი

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:

1. სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ.1, 4, 6, 7)
ქვეცნებები: მხატვრული (მოთხრობა, პიესა), არამხატვრული (ანალიტიკური ესე).
ქვესაკითხები: მოთხრობისა და პიესის (ტრაგედიის) ჟანრული მახასიათებლები, ანალიტიკური ესეს ჟანრული მახასიათებლები.

2. სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ.საშ.1, 3, 4, 6, 7)
ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე; სტრუქტურა-ორგანიზება
ქვესაკითხები: ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ და პიერ კორნელის ტრაგედიაში „ჰორაციუსი“ წარმოჩენილი თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები (მთავარი და არამთავარი, მოტივაცია, ქცევა, შინაგანი სამყარო - განცდები, ფიქრები, ემოციები; შეხედულებები, ფასეულობები/დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები), ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის); ქვეტექსტური ინფორმაცია; ანალიტიკური ესეს სამი ნაწილი, ორგანიზაციული ყალიბი.

3. სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ.საშ.4, 6, 7)
ქვეცნებები: რიტორიკის ელემენტები; ფუნქციური სტილი; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.
ქვესაკითხები - მოსწავლის ესეში წარმოჩენილი - თეზისი, არგუმენტი; მწიგნობრული / აკადემიური სტილი; მსგავსი და საპირისპირო აზრის გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

4. სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)
ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი
ქვესაკითხები: ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ აღწერილი მოვლენების თანადროული ეპოქის თემური ცხოვრების რეალიები, ტრადიციები, ფასეულობები, წეს-ჩვეულებები; პიერ კორნელის ტრაგედიაში აღწერილი მოვლენების თანადროული ეპოქის რეალიები, ტრადიციები; ალ. ყაზბეგისა და პიერ კორნელის ნაწარმოებების ორი განსხვავებული კულტურული არეალი.

Dont copy

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ადგილს იკავებს რეალიზმი, რომლის საქართველოში დამკვიდრება უკავშირდება ე. წ. „თერგდალეულთა“ მოძრაობას.
2. რეალისტური ლიტერატურის მიზანია სამყაროს შეულამაზებლად, რეალისტურად ასახვა ტიპობრივი მახასიათებლების წარმოჩენით, ხშირად -კრიტიკული მიდგომით;
3. რეალისტური ლიტერატურის გმირი ტიპობრივი პერსონაჟია, რომელიც კარგად ნაცნობია მკითხველისთვის, ყურადღება გამახვილებულია ამ პერსონაჟის სოციალურ გარემოზე, ზოგადად, სოციალურ ფონზე, ურთიერთობებზე (ხშირად – წინააღმდეგობრივზე) გმირსა და საზოგადოებას შორის

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ განსაცდელს/პრობლემებს? რამდენად ცვლის/არ ცვლის ადამიანს სიყვარული და რატომ?
- როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს? როგორ შეიძლება ამოვიცნოთ ნამდვილი სიყვარული?
- რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?
- რატომ და როგორ მოგვითხრობს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა მწერლობაში ასახულ ცხოვრებას, ადამიანებს/პერსონაჟებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?
- რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სიყვარულთან დაკავშირებით?
- რატომ წერენ მწერლები სიყვარულზე? / რატომაა სიყვარული ერთ-ერთი უმთავრესი თემა ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- რა მსგავსება-განსხვავებაა სიყვარულზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?
- რა მიმართებაა ცალკეული ადამიანის პირად ცხოვრებას/კეთილდღეობასა და საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრებას/კეთილდღეობას შორის?

Don't copy

სამიზნე ცნებები	I ეტაპი		კომპლექსური დავალება
	საკითხი, ქვეცნება	ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	
	თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: • **მხატვრული (მოთხრობა, პიესა), არამხატვრული (ანალიტიკური ესე).** მოთხრობისა და პიესის (ტრაგედიის) ჟანრული მახასიათებლები, ანალიტიკური ესეს ჟანრული მახასიათებლები. • **შინაარსობრივი მხარე; სტრუქტურა-ორგანიზება** ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ და პიერ კორნელის ტრაგედიაში „ჰორაციუსი“ წარმოჩენილი თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები (მთავარი და არამთავარი, მოტივაცია, ქცევა, შინაგანი სამყარო - განცდები, ფიქრები, ემოციები; შეხედულებები, ფასეულობები/დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები), ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის); ქვეტექსტური ინფორმაცია; ანალიტიკური ესეს სამი ნაწილი, ორგანიზაციული ყალიბი.	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა? ტრაგედია? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა ტექსტების კითხვისა და შედგენის დროს? • რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? • როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეის გაგება? • რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს მისი სიტყვები, აზრები, დამოკიდებულებები, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან? რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს სხვა პერსონაჟების მოსაზრებები მის შესახებ, დამოკიდებულებები მის მიმართ? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის კონტექსტის ცოდნა? /რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?)	

Don't copy

	• **რიტორიკის ელემენტები; ფუნქციური სტილი; ენობრივ-გრამატიკული ფორმები.** მოსწავლის ესეში წარმოჩენილი - თეზისი, არგუმენტი; მწიგნობრული / აკადემიური სტილი; მსგავსი და საპირისპირო აზრის გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები; სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები. • **ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი** ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ აღწერილი მოვლენების თანადროული ეპოქის თემური ცხოვრების რეალიები, ტრადიციები, ფასეულობები, წეს-ჩვეულებები; პიერ კორნელის ტრაგედიაში აღწერილი მოვლენების თანადროული ეპოქის რეალიები, ტრადიციები; ალ. ყაზბეგისა და პიერ კორნელის ნაწარმოებების ორი განსხვავებული კულტურული არეალი.	• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით? • რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის? • რამდენად და როგორ მეხმარება ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის დროს?	

Don't copy

(1) ჟანრი

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან;
2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.

2) კომპოზიცია

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:

- ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;
- ➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;

ტექსტი: ალექსანდრე ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“;
პიერ კორნელი, „ჰორაციუსი“

ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

საკვანძო შეკითხვები: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

აქტივობა 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს.

აქტივობა 2.

აქტივობები წაკითხვამდე

ჩვენ ვიცით, რომ ტექსტის კითხვის დროს ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიას, რაც ტექსტის გაგებას გვიადვილებს. მასწავლებელი მოსწვლეებს გააცნობს სახელმძღვანელოში მოცმულ ინფორმაციას ისტორიული კონტექსტის, თანამედროვეობის ალეგორიის შემცველი ეპიზოდების, სპეციფიკური ეთნოკულტურული გარემოს, კუთხის თავისებურებების – ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების, ფოლკლორული პირველწყაროსა და ტექსტის სიუჟეტის ურთიერთმიმართების შესახებ.

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა

საკვანძო შეკითხვები: რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება? როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის?

კომპლექსური დავალება 6. ანალიტიკური ესე

სათაურში გამოტანილი პრობლემის – სიყვარული და მოვალეობა – მიხედვით ჩაატარეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩასა“ და პიერ კორნელის „ჰორაციუსის“ ტექსტების შედარებითი კვლევა, შემდეგ მიღებული დასკვნების საფუძველზე დაწერეთ ანალიტიკური ესე- „სიყვარული და მოვალეობა – მარადიული დილემა და პერსონაჟთა არჩევანი“

შეფასების კრიტერიუმები ნამუშევარში:

- გააანალიზეთ გამოკვეთილი დილემის ფონზე პერსონაჟთა ქცევა და მოტივაცია (ნაწარმოებებიდან სათანადო ადგილების დამოწმებით) (კომპოზიცია);
- წარმოაჩინეთ, რა გავლენას ახდენს ეპოქის თავისებურებები მხატვრულ ნაწარმოებში მოვლენათა განვითარებასა და პერსონაჟთა ქცევის მოტივზე **(კონტექსტი);**

Don't copy

➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების; ➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.	**აქტივობა 3.** **მინიდისკუსია – „შეუძლებელი, განუხორციელებელი სიყვარული“** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ განუხორციელებელი ურთიერთობების კონკრეტული მაგალითები ლიტერატურიდან და ცხოვრებიდან. (მაგ. მარიტასა და გედიას, გიორგისა და კესოს, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის, ურთიერთობა) და ნაცნობი ეპიზოდების გათვალისწინებით იმსჯელონ, როგორ შეიძლება განვითარდეს „განუხორციელებელი სიყვარული“ ტრადიციების მკაცრად დამცველ საზოგადოებაში? მოსწავლეები გაეცნობიან და იმსჯელებენ წიგნში მოყვანილ ამონარიდებსა და მათში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ. **აქტივობა 4** **მოთხრობის ტექსტზე პერმანენტული მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებს, მასწავლებლის დახმარებით ამუშავებენ მათ, როგორც შინაარსობრივი, ისე უშუალოდ ანალიზის მიმართულებით. ინიშნავენ და ახარისხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. ესეზე მუშაობის დროს მოსწავლეები რამდენჯერმე უბრუნდებიან ტექსტს, იყენებენ ჩაღრმავებისა და მხატვრულ დეტალებზე დაკვირვების სტრატეგიას. **აქტივობა 5** **რუბრიკების კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში. ასევე, აკვირდებიან და გამოკვეთენ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ავსებენ სქემებს, მსჯელობენ ილუსტრაციებზე დაყრდნობით და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები.	• გამოიყენეთ მსგავსებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრის გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები (მაგ., „როგორც... ასევე“; „ერთ შემთხვევაში... მეორეგან კი“; „ამისგან განსხვავებით“) **(ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** • გამოკვეთეთ ესეს შემადგენელი სტრუქტურული ნაწილები (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა) **(კომპოზიცია);** • შეარჩიეთ სათანადო სტილი, დაიცავით ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები **(ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

Don't copy

4) კონტექსტი 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	**აქტივობა 6** **ლიტერატურული პარალელები** მასწავლებელი ლიტერატურული პალალელების რუბრიკაში ამჯერად მოსწავლეებს გააცნობს ამონარიდებს კლასიცისტი ავტორის, პიერ კორნელის, ტრაგედია „ჰორაციუსიდან“. მოსწავლეები გაიაზრებენ და გააანალიზებენ ტექსტს, დააკავშირებენ „ხევისბერ გოჩაში“ წარმოჩენილ საკითხებთან, იმსჯელებენ, როგორ შეიძლება ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან დაკავშირება, გამოკვეთენ მსგავს პერსონაჟებსა და მსგავს სიტუაციებს. **აქტივობა 7.** **ფოლკლორული პირველწყარო და მხატვრული ტექსტი** მასწავლებელი მოსწავლეებს აუხსნის, რომ არსებობს „ხევისბერი გოჩას“ ორი, ხევში ჩაწერილი, ფოლკლორული ვარიანტი, რომლებიც ზოგიერთ მომენტში არსებითად განსხვავდება ლიტერატურული ნაწარმოებისაგან. მოსწავლეები იმსჯელებენ მსგავსება-განსხვავებებზე და გამოთქვამენ ვარაუდებს. ამ დეტალს (იმას, რომ ფოლკლორული ვარიანტი შეცვლილია) აკავშირებენ ესეს უმთავრეს პრობლემასთან – სიყვარულისა და მოვალეობის ჭიდილთან, გამოკვეთენ, რომ ამ დეტალების შემოტანით ტექსტი უფრო დრამატული, პერსონაჟები კი უფრო ტრაგიკულნი გახდნენ. **აქტივობა 8** **დისკუსია: სიყვარული და მოვალეობა** გრძნობა-გონების ჭიდილი ადამიანის მარადიული დილემაა. ამ თემაზე მრავალი შედევრი შექმნილა: მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს „ლიტერატურულ წინაპირობებსა“ და „პარალელებში“ განხილული ნაწარმოებებიდან ეპიზოდებს, სთხოვს, გაიხსენონ მსგავსი მაგალითები ლიტერატურიდან, დაასახელონ ტექსტები, რომლებშიც ადამიანის გრძნობები და მოვალეობები ებრძვის ერთმანეთს. მოზარდები გააანალიზებენ რუბრიკაში „ლიტერატურული პარალელები“ მოცემულ მასალას, შეადარებენ ნაწარმოებში გადმოცემულ ეპიზოდებს.	**<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის (დავალების წარდგენისას დასასმელი):</u>** • რა სტრუქტურული ნაწილებისგან შედგება თქვენი ესე? (დაასახელეთ); რა კავშირია მათ შორის? • რამდენად მოახერხეთ სათანადო სტილის შერჩევა? (თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ მაგალითები ნამუშევრიდან).

Don't copy

ამის შემდგომ გაიმართება დისკუსია – „თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა ერთმანეთს უპირისპირდება სიყვარული და ვალდებულება, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ამ ტრაგიკული დილემის დროს, თუ ეს ადამიანის ინდივიდუალური არჩევანია და განსჯას არ ექვემდებარება?“

აქტივობა 9.
მწერლის ენაზე დაკვირვება
მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს ტექსტის კონკრეტულ ეპიზოდებში ავტორის მიერ გამოყენებულ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე, განსაკუთრებით კი დიალექტზე. გააცნობს სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებებს. მოსწავლეები თვალნათლივ დაინახავენ, თუ რა ენობრივი და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით აღწევენ ავტორები დასახულ მიზანს და რამდენად ეხმარებათ მათ ეს სათქმელის მკითხველამდე ეფექტურად მიტანაში.

აქტივობა 10.
ანალიტიკური ესეს ფორმატზე მუშაობა
მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს, როგორ უნდა შექმნან სამნაწილიანი ანალიტიკური ესე. მათ უკვე აქვთ ამისი გამოცდილება, თუმცა მაინც სასურველია კიდევ ერთხელ გადახედონ ნიმუშებს.

აქტივობა 11.
ანალიტიკური ესეს შექმნა
მოსწავლეები, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, წერის სტრატეგიების გამოყენებით, წერენ ანალიტიკური ესეს – „სიყვარული და მოვალეობა – მარადიული დილემა და პერსონაჟთა არჩევანი“;
თავდაპირველად ამზადებენ შავ მონახაზს;
ნაშრომს აკითხებენ მეწყვილეს და მისი შენიშვნების საფუძველზე გადაამუშავებენ.

აქტივობა 12.
კომპლექსური დავალების წარდგენა
მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ წერის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე.

Don't copy

	რესურსები: სახელმძღვანელო; **დანართში არსებული დამხმარე მასალა** **1. მაია ჯალიაშვილი – ხევისბერის სახე** https://www.youtube.com/watch?v=Da55iBv5X8A **2. მაია ჯალიაშვილი – ონისეს სახე** https://www.youtube.com/watch?v=SFeVhNXGBWE **3. გია მურღულია – ტელსესკოლის გაკვეთილი „ხევისბერი გოჩა“** https://www.youtube.com/watch?v=askPv9JUutc **4. ნახეთ მხატვრული ფილმი ხევისბერი გოჩა.** https://www. youtube. com/watch?v=20yB73fmD0Y	
	კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ) • აღწერე, დავალების შესრულების ეტაპები. როგორ დაგეგმე სამუშაო, რა ნაბიჯები გადადგი, რა და რა თანმიმდევრობით? რატომ აირჩიე დავალების შესრულების ეს კონკრეტული გზა? • რა სირთულეები შეგხვდა დავალებაზე მუშაობის დროს? რამ შეგიშალა ხელი და პირიქით, რა დაგეხმარა სირთულეების დაძლევაში? რა გამოცდილება შეიძინე, რომელიც შემდგომში დაგეხმარება მსგავსი ტიპის სირთულეების დაძლევაში? • სხვა დროს თუ შეგისრულებია მსგავსი ტიპის დავალება და რამდენად დაგეხმარა მაშინ მიღებული გამოცდილება სიძნელეების გადალახვაში? • რა გამოცდილებას გაუზიარებდი მეგობრებს, რაც მათ მსგავსი დავალების შესრულებას გაუადვილებდა? თავად რას გაიზიარებდი მეგობართა გამოცდილებიდან? • რა ხერხები (სტრატეგიები) გამოიყენე დავალებაზე მუშაობისას? • მსგავსი ტიპის დავალებაზე მუშაობამ კვლავ რომ მოგიწიოთ, რას გააკეთებდი სხვაგვარად? რატომ?	

Do not copy

მატრიცა 7. პოდკასტი – „ჩვენი ვაჟა-ფშაველა“

Word-ის ფაილი შეგიძლიათ (https://9nes.short.gy/jvXilX) მატრიცა ჩამოტვირთეთ აქ

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
ქვეთემა: თვითშემეცნების გზები
ტექსტები: ვაჟა -ფშაველა

- **„ალუდა ქეთელაური“**
- **„სტუმარ-მასპინძელი''**

საკითხი: პოდკასტის „ჩემი ვაჟა-ფშაველა“ მომზადება.
საათების სავარაუდო რაოდენობა – 35 საათი

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

1. სამიზნე ცნება: ჟანრი (შედეგები: ქართ.საშ.1, 4, 6, 7)

ქვეცნებები: მხატვრული (მოთხრობა, ლექსი, პოემა), არამხატვრული (პოდკასტი)

ქვესაკითხები: პოდკასტის ჟანრული მახასიათებლები.

2. სამიზნე ცნება: კომპოზიცია (შედეგები: ქართ.საშ.1, 3, 4, 6, 7)

ქვეცნებები: შინაარსობრივი მხარე.

ქვესაკითხები: ვაჟა-ფშაველას პოემებში: „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოჩენილი თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები (მთავარი და არამთავარი, მოტივაცია, ქმედებები, შინაგანი სამყარო - განცდები, ფიქრები, ემოციები; შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან); ხედვის კუთხე (ავტორ-მთხრობლის, პერსონაჟის); ავტორისეული ფასეულობები, ღირებულებები/დამოკიდებულებები; ქვეტექსტური ინფორმაცია; პოდკასტში წარმოჩენილი კონცეფცია/ხედვა, მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, დეტალები.

3. სამიზნე ცნება: ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: ქართ.საშ.4, 6, 7)

ქვეცნებები: რიტორიკის ელემენტები; ლექსიკა, სტილი.

ქვესაკითხები: პოდკასტში - თეზისი, არგუმენტი, სანდოობა, ლაკონიურობა.

4. სამიზნე ცნება: კონტექსტი (შედეგები: ქართ.საშ. 2, 5)

ქვეცნებები: ბიოგრაფიული კონტექსტი, ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი

ქვესაკითხები: ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია/ცხოვრებისეული გამოცდილება; მწერლის თანადროული ეპოქის თავისებურებები, რეალიები; შეხედულებები, ფასეულობები; თანამედროვე ეპოქის პრობლემატიკა, რეალიები; ფასეულობები.

Don't copy

თემატური მკვიდრი წარმოდგენები:

1. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ადგილს იკავებს რეალიზმი, რომლის საქართველოში დამკვიდრება უკავშირდება ე. წ. „თერგდალეულთა“ მოძრაობას.
2. რეალისტური ლიტერატურის მიზანია სამყაროს შეულამაზებლად, რეალისტურად ასახვა ტიპობრივი მახასიათებლების წარმოჩენით, ხშირად კრიტიკული მიდგომით;
3. რეალისტური ლიტერატურის გმირი ტიპობრივი პერსონაჟია, რომელიც კარგად ნაცნობია მკითხველისთვის, ყურადღება გამახვილებულია ამ პერსონაჟის სოციალურ გარემოზე, ზოგადად, სოციალურ ფონზე, ურთიერთობებზე (ხშირად – წინააღმდეგობრივზე) გმირსა და საზოგადოებას შორის.

თემატური საკვანძო შეკითხვები:

- რატომაა მარადიული თემები და პრობლემები აქტუალური ყველა დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- რამდენად შეიძლება, მწერლობამ გადმოსცეს პიროვნების სულიერი განვითარების პროცესი? კონფლიქტი არსებულ რელობასთან?
- როგორ ასახავს ლიტერატურა ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის თემას?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

სამიზნე ცნებები	**I ეტაპი**		**კომპლექსური დავალება**
	საკითხი, ქვეცნება	**ცნების საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**	

Don't copy

	თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: **ქვეცნებები, ქვესაკითხები** **მხატვრული (მოთხრობა, ლექსი, პოემა), არამხატვრული (პოდკასტი)** **პოდკასტის ჟანრული მახასიათებლები.** • **შინაარსობრივი მხარე.** ვაჟა-ფშაველას პოემებში: „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოჩენილი თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი; მოქმედების დრო და ადგილი, პერსონაჟები (მთავარი და არამთავარი, მოტივაცია, ქმედებები, შინაგანი სამყარო - განცდები, ფიქრები, ემოციები;	• რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? • რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა პოდკასტზე მუშაობის დროს? • რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? როგორ ავსახო ეს პოდკასტში?	**კომპლექსური დავალება 7** **პოდკასტი ჩემი ვაჟა-ფშაველა** მწერლის შემოქმედების შესწავლის შემდეგ, ალბათ, ყოველ თქვენგანს წარმოდგენაში რჩება ინდივიდუალური, ყველასაგან განსხვავებული, მხოლოდ თქვენეული მწერლის სახე. გთავაზობთ, შექმნათ პოდკასტი, რომელშიც წარმოაჩენთ მწერლის პიროვნებასა და შემოქმედებას ისე, როგორც თქვენ ხედავთ. ამისათვის შეარჩიეთ პოდკასტის კონცეფცია, რომელიც თქვენეული ხედვის გამოკვეთაში დაგეხმარებათ. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, დაინაწილეთ ფუნქციები, მოამზადეთ პოდკასტის მასალები და შექმენით 10-15-წუთიანი აუდიო- ან ვიდეოპოდკასტი.

Don't copy

	შეხედულებები, ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან); ხედვის კუთხე (ავტორ-მთხრობლის, პერსონაჟის); ავტორისეული ფასეულობები, ღირებულებები/ დამოკიდებულებები; ქვეტექსტური ინფორმაცია; პოდკასტში წარმოჩენილი კონცეფცია/ხედვა, მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, დეტალები. • **რიტორიკის ელემენტები; ლექსიკა, სტილი.** პოდკასტში - თეზისი, არგუმენტი, სანდოობა, ლაკონიურობა. • **ბიოგრაფიული კონტექსტი, ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი** ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია/ ცხოვრებისეული გამოცდილება; მწერლის თანადროული ეპოქის თავისებურებები, რეალიები; შეხედულებები, ფასეულობები; თანამედროვე ეპოქის პრობლემატიკა, რეალიები; ფასეულობები.	• როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეის გაგება? • რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში (/ რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე?) • რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის? • რამდენად და როგორ მეხმარება ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის დროს?	**შეფასების კრიტერიუმები ნამუშევარში:** • ისაუბრეთ ვაჟას შემოქმედების უმთავრეს მოტივებზე - ადამიანი და საზოგადოება, ადამიანი და ბუნება, მორალური პრინციპების უზენაესობა **(კომპოზიცია);** • აღნიშნეთ, რა გავლენა იქონია მწერლის ცხოვ-რებისეულმა გამოც-დილებამ და თანადრო-ულმა ეპოქამ მის შემოქმედებაზე; ვაჟა-ფშავ-ელას, როგორც ხელოვანის ჩამოყალიბებაზე **(კომპოზიცია, კონტექსტი);** • წარმოაჩინეთ, რითია ფასეული ვაჟა-ფშაველას შემოქმედება თქვენთვის ანდა თანამედროვე ეპოქის მკითხველისთვის **(კონტექსტი);** • თქვენი მოსაზრებების დასადასტურებლად მოიყვანეთ მაგალითები ვაჟა-ფშაველას პოემე-ბიდან „ალუდა ქეთელაუ-რი“ და „სტუმარ-მასპინძე-ლი“, ასევე მწერლის სხვა თქვენთვის ნაცნობი ნაწარ-მოებებიდან; საჭიროე-ბისამებრ, დაიმოწმეთ კონკრეტული ფაქტები ვაჟას ბიოგრაფიიდან **(კომპოზიცია, კონტექსტი);**

Don't copy

(1) ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან; 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.	**ტექსტი: ვაჟა-ფშაველა „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“** **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** **საკვანძო შეკითხვები:** რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით? **აქტივობა 1.** **კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას და მისცემს რეკომენდაციებს. **აქტივობა 2.** **აქტივობები წაკითხვამდე** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორ-მაციას მთის ტრადიციების, ისტორიული კონტექსტის, წარსულსა და თანამედ-როვეობასთან დასაკავშირებელი ეპიზოდებისა და ავტორის ბიოგრაფიის შესახებ. **ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა** **საკვანძო შეკითხვები:** რა უნდა ვისწავლო/გავაცნობიერო იმისთვის, რომ შევძლო მოცემული კომპლექსური დავალების შესრულება? როგორ ვიმუშაო კომპლექსურ დავალებაზე? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის? **აქტივობა 3.** რეალიზმის, როგორც მიმდინარეობის, გაცნობა და მისი მახასიათებლების გამოკვეთა.	• წარმოაჩინეთ პოდკასტისთვის დამახასიათებელი ჟანრული თავისებურებები (ლაკონიურობა, ინფორმაციულობა, დოკუმენტურობა, სანდოობა, არგუმენტირებული მსჯელობა, ემოციურობა, ორიგინალურობა) **(ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).** **<u>შეკითხვები დავალებაზე რეფლექსიისთვისა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის (დავალების წარდგენისას დასასმელი):</u>** • კონკრეტულად, პოდკასტის რომელი ჟანრული თავისებურებებია წარმოჩენილი თქვენს ნამუშევარში? (პასუხის გაცემისას დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან).

Don't copy

2) კომპოზიცია **(შედეგები, ქართ. საშ. 1, 3, 4, 6, 7)** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა: ➢ ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის; ➢ პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის; ➢ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტრულ-ორგანიზაციული ელემენტების; ➢ არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;	**აქტივობა 4** **ტექსტზე მუშაობა** მოსწავლეები ეცნობიან ვაჟა ფშაველას ნაწარმოებებს, მასწავლებლის დახმარებით ამუშავებენ მათ, როგორც შინაარსობრივი, ასევე უშუალოდ ანალიზის მიმართულებით. ინიშნავენ და ახარისხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და ახარისხებენ მათ. **აქტივობა 5** **რუბრიკების კითხვებსა და დავალებებზე მუშაობა** მოსწავლეები ნაწარმოებებზე მუშაობის პარალელურად ეცნობიან და ამუშავებენ გასააზრებელ კითხვებსა და სხვადასხვა რუბრიკაში მოცემულ მრავალფეროვან დავალებებს. ეს ეხმარება მათ, შეძლონ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათ შორის, ეპოქალურ თუ ჟანრობრივ კონტექსტში, გამოკვეთონ და გააცნობიერონ ტექსტებში დასმული პრობლემები. ისინი ავსებენ სხვადსხვა გრაფიკულ სქემას, მსჯელობენ ილუსტრაციებზე დაყრდნობით და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები. **აქტივობა 6** **პოდკასტის ფორმატის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება პოდკასტის ფორმატზე და რუბრიკაში – „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ – გააცნობს წარმოდგენილ ნიმუშებს. **აქტივობა 7.** **ჯგუფების ორგანიზება** მოსწავლეები დაიყოფიან პოდკასტზე მომუშავე ჯგუფებად, რომელთა შემადგენლობაში იქნებიან წამყვანები, მოწვეული „ექსპერტები,“ სხვადასხვა თაობის რესპოდენტებთან ინტერვიუზე მომუშავე „ჟურნალისტები“ და „ვიდეოგაფორმების სპეციალისტები“. თითოეული ჯგუფის წევრი მოირგებს საკუთარ როლს.	

Don't copy

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შემიძლია, წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით; 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის; 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია, დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** **(შედეგები: ქართ. საშ. 4, 6, 7)** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით;	**აქტივობა 8.** **ინტერვიუ საზოგადოების წარმომადგენლებთან** მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ კითხვარს, რომელიც მოიცავს ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ვაჟას მათ მიერ შესწავლილ ნაწარმოებებში გამოიკვეთა. ამ კითხვარების მეშვეობით ისინი ინტერვიუს აიღებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისაგან. შემდგომ ამ ინტერვიუებს გმოიყენებენ მათ მიერ მომზადებულ პოდკასტებში. **აქტივობა 9.** **პოდკასტის მოზადება** მოსწავლეები მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, მოამზადებენ პოდკასტს თემაზე „ჩვენი ვაჟა ფშაველა.“ **აქტივობა 10.** **კომპლექსური დავალების წარდგენა** მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საუბრობენ წერის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და აღმოჩენებზე.	

Don't copy

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	**რესურსები: სახელმძღვანელო;** **დანართში არსებული დამხმარე მასალა: ვიდეომასალა და პოდკასტის ნიმუშები:** **1. ვაჟა ფშაველა „ოთხი ანიმაცია“** https://www. youtube. com/watch?v=ITBAZT6mwvM **2. ლევან გიგინეიშვილი – „ვაჟა ფშაველა“** https://www.youtube.com/watch?v=L91Z6cVcj1k	
4) კონტექსტი **(შედეგები: *ქართ. საშ 2, 5,*)** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები; 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.	**კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)** • კიდევ ერთხელ გადაავლე თვალი დავალების შესრულების პროცესს, როგორ დაგეგმე პოდკასტზე მუშაობა? აღწერე რა ეტაპებს გამოყოფდი, რით იყო გამორჩეული თითოეული ეტაპი, რა თანმიმდევრობით დაგეგმე და განახორციელე სამუშაო და რა მნიშვნელობა აქვს ამ თამიმდევრობას; რას შეცვლიდი, ამგვარ დავალებას ხელახლა რომ ასრულებდე; • შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით დააკვირდი, რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს, რამ განაპირობა შენი წინსვლა და რამ დაგაბრკოლა; • რა სიძნელეებსა და დაბრკოლებებს წააწყდი ნაშრომზე მუშაობისას? რა დაგეხმარა და რამ შეგიშალა ხელი წამოჭრილი პრობლემების დაძლევაში? როგორ მოახერხე ამ დაბრკოლებებთან გამკლავება; რომელი ხერხები და საშუალებები გამოიყენე წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად და როგორ გამოიყენებ მათ მომავალში; • როგორ გამოიყენე ადრე შესწავლილი მასალა ამ დავალების შესრულების დროს წამოჭრილი სიძნელეების დასაძლევად? ადრეც თუ მიგიმართავს მსგავსი ხერხების/სტრატეგიებისათვის.	

Do not copy

4. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

4. 1. გაკვეთილის დაგეგმვის პრინციპები, ანუ კონსტრუქტივისტული გაკვეთილები შემეცნებითი კვლევებისა და „აღმოჩენების“ გარემოცვაში

1. პარაგრაფი იწყება რუბრიკით **„წაკითხვამდე“,** რომელშიც მოცემულია მაპროვოცირებელი კითხვები/დავალებები მოსწავლის სუბიექტური გამოცდილებისა და ე. წ. „ფონური“ ცოდნის გასააქტიურებლად, კონსტრუქტივიზმში განსაკუთრებული როლი ენიჭება ფონური ცოდნის სწორ მობილიზებას, რადგან ესაა საწყისი რესურსი, რომლითაც მოსწავლემ ახალი ცოდნა უნდა ააგოს, ან უნდა „მოიმარჯვოს“ ადრე შესწავლილი ცნებები და დაგროვილი გამოცდილება შემდგომი ოპერირებისათვის. ამ მზაობით მოსწავლე ემზადება ახალი მასალის ასაგებად (გასაცნობად), ტექსტის გააზრებული კითხვისათვის.
2. რუბრიკა „წაკითხვამდე“ საკმაოდ დატვირთულია დავალებებით და ეს ბუნებრივიცაა. მოსწავლე უკეთ სწავლობს, თუ იგი შესასწავლ მასალასთან გარკვეული ამოცანით მიდის. ამიტომაც ყოველთვის ტექსტზე მუშაობას წინ უძღვის მაპროვოცირებელი აქტივობები. წარმოგიდგენთ ამ დავალებათა სპექტრს:
   - ტექსტის შესახებ ვარაუდების გამოთქმა სათაურის, ილუსტრაციებისა და საყრდენი სიტყვების მეშვეობით აპრობირებული მეთოდია. მართალია, იგი არ არის ისეთი დაძაბული და აქტიური, როგორც მინიდისკუსია, მაგრამ ერთგვარ აზარტს („აბა, სწორად თუ მივხვდები, თუ ამოვიცნობ“) მაინც შეიცავს. ვარაუდების გამოხატვა, ტექსტის წინასწარ ამოცნობის სურვილი ერთგვარი თანაშემოქმედებითობაა და ტექსტისადმი აქტიური დამოკიდებულების მაჩვენებელი;
   - სიმულაციური სიტუაციის შექმნა, რომლის გასაღებიც ტექსტშია. ამ დროს გვაქვს ინსტრუქციები „თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ“;
   - **მინიდისდკუსია**. სანამ ტექსტთან მივიდოდეს, მოსწავლე მინიდისკუსიაში წინასწარ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ტექსტში დასმული პრობლემების მიმართ.
   - ამ რუბრიკის კითხვარში ხშირად გამოტანილია საკვანძო პრობლემები, რომელთა შესახებ მოსწავლე თავის პოზიციას გამოხატავს და ტექსტთან უკვე გარკვეული შინაგანი დამოკიდებულებით მიდის. ტექსტი უკვე ნეიტრალური კატეგორია აღარაა, ის ეხმიანება ან უპირისპირდება მოზარდის მსოფლაღქმას. ორივე შემთხვევაში მოსწავლის პოზიცია და დამოკიდებულება შესასწავლი მასალისადმი აქტიურია.
   - პოზიციური თანხვედრა, ან დაპირისპირება ხელს უწყობს ტექსტში მკითხველის „ჩაწერას“, თანაშემოქმედებითობის პროცესს.
   - დასაწყისში ჩატარებული მინიდისკუსია ხშირად დასკვნითი დისკუსიით მთავრდება ხოლმე.
3. **დისკუსია** – თემის შესწავლის დასკვნით ეტაპზე ტარდება და ხშირად აგრძელებს ნაწარმოების დასაწყისში ჩატარებულ მინიდისკუსიას. ამ შემთხვევაში ამგვარი გრადაცია გვაქვს: თავდაპირველად მოსწავლე გამოხატავს პოზიციას (მინიდისკუსია), შემდეგ აკვირდება პერსონაჟის ქმედებას, მხატვრული ნაწარმოების დინამიკას და... შესაძლოა, პოზიციაც კი შეიცვალოს.

Don't copy

4. **სიტუაციური ამოცანები** – ხშირია შემთხვევა, როცა ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეს ვთავაზობთ ტექსტში აღწერილის მსგავს სიმულაციურ სიტუაციას და ვეკითხებით, როგორ მოიქცეოდა იგი ამა თუ იმ სიტუაციაში. ეს აქტივობაც მოსწავლის ტექსტში „შესატყუებელ“ აქტივობათა რიგს განეკუთვნება. მოზარდი, გამოხატავს რა საკუთარ პოზიციას, ბუნებრივია, ინტერესდება, როგორ იქცევა ანალოგიურ სიტუაციაში უკვე ტექსტის პერსონაჟი.
5. რაც შეეხება ახალი მასალის ახსნას, ტექსტის გაცნობას, აქაც ნაირგვარ სტრატეგიას ვიყენებთ.
6. **როგორ ვიკითხოთ** – რუბრიკაში მოცემულია კითხვის სტრატეგიები.

კითხვის სტრატეგიები

რუბრიკაში „როგორ ვიკითხოთ“, შეხვდებით კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში განმარტებულია, რა იგულისხმება და როგორ უნდა გამოვიყენოთ კითხვის ესა თუ ის სტრატეგია. ჩამოვთვლით კითხვის იმ სტრატეგიებს, რომლებიც გამოყენებულია მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოში. ბევრი მათგანი მასწავლებლებისთვის კარგადაა ცნობილი და წარმატებით იყენებენ კიდევაც, ზოგიერთს კი, რომლებიც, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად უცნობი იყოს, განგიმარტავთ და გთავაზობთ მოკლე ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ კითხვის ეს სტრატეგიები საკლასო ოთახში:

- ვარაუდების გამოხატვა სათაურისა და ილუსტრაციის მიხედვით;
- პაუზებით კითხვა;
- კომენტირებული კითხვა;
- დაჭრილი ტექსტის აწყობა;
- კითხვა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით;
- კითხვა ქვეტექსტების გათვალისწინებით;
- კითხვა ლოგიკური აღმოჩენებით (მოსწავლეებმა ამ დროს ტექსტის გარკვეული ნაწილი იციან, ან მასწავლებელი ჰყვება ტექსტს, რომელსაც სიტუაციური ამოცანის სახე აქვს, და მოსწავლეებმა ჟანრის სპეციფიკითა და ტექსტის ლოგიკური განვითარებით უნდა ამოიცნონ სავარაუდო გაგრძელება, უნდა განსაზღვრონ, პერსონაჟის რომელი ქცევა იქნება ლოგიკურად სწორი, როგორ მოიქცევა პერსონაჟი ამა თუ იმ სიტუაციაში;
- მიზანმიმართული ძიებითი კითხვა (ისმება კიხვები და პასუხებს ვეძებთ ტექსტში);
- კითხვა გამოტოვებული ადგილების აღდგენით;
- კითხვა ქვეტექსტების აღდგენით.
- დამაზუსტებელი კითხვა – ტექსტთან დაბრუნება და ხელახლა გადაკითხვა რაიმე კონკრეტული საკითხის დასაზუსტებლად ან რაიმე პრობლემაზე უფრო ღრმად დასაკვირვებლად;
- კითხვა ეპიზოდების მარკირებით;
- შესწავლითი კითხვა;
- გაცნობითი კითხვა;
- სწრაფი კითხვა.
- კითხვა ეპიზოდთა განვრცობით (თანაშემოქმედებითობა);
- კითხვა ეპიზოდთა გადაწყობით (თანაშემოქმედებითობა);
- ეპიზოდის (ნაწილის) კითხვა მთლიანი კონტექსტის (მთელის) გათვალისწინებით და ა. შ.

Don't copy

ყველა პარაგრაფის დასაწყისში, კითხვის დაწყებამდე, მითითებულია რეკომენდებული კითხვის სტრატეგია, თუმცა მასწავლებელს შეუძლია, შეცვალოს ეს რეკომენდაცია და თავისი შეხედულების შესაბამისი კითხვის სხვა სტრატეგია გამოიყენოს.

7. **სიღრმისეული წვდომა და გააზრება.** მოსწავლეებმა, ფონური ცოდნიდან გამომდინარე, ბევრი რამ თავად უნდა „აღმოაჩინონ“ ახალ მასალაში. ტექსტზე მუშაობისას გამოყენებულია რამდენიმე სტრატეგია:

პაუზებით კითხვა – როცა თხრობა წყდება და მოსწავლეებმა, მათ ხელთ არსებული მინიშნებების საფუძველზე, უნდა ივარაუდონ, როგორ გაგრძელდება ტექსტი;

ფრაგმენტებად მიწოდებული ტექსტის აწყობა – როცა მთელი ტექსტი დაჭრილია ცალკეულ ფრაგმენტებად და არეულადაა მიცემული; მოსწავლეს მოეთხოვება, ააწყოს იგი;

ვარაუდების გამოხატვა და ტექსტის ვარაუდებთან შედარება – როდესაც მოსწავლე წინასწარ გამოხატავს ვარაუდს ტექსტზე ან მასში დასმულ რაიმე პრობლემაზე და, ტექსტის გაცნობასთან ერთად, ადარებს მას საკუთარ ვარაუდთან და ა. შ. მუშაობის პროცესში მოსწავლეები ნელ-ნელა აღმოაჩენენ, რომ მათი პროგნოზები მით უფრო ხშირად მართლდება, რაც უფრო დაკვირვებით წაიკითხავენ ნაწარმოებს.

ცოდნის აგების კონსტრუქტივისტული მიდგომა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება რუბრიკა **„ლიტერატურული ძიებანი“,** რომელშიც მოსწავლეები ლიტმცოდნეობით საკითხებში პირველდაწყებით ცოდნას იძენენ.

სახელმძღვანელოს ორიგინალურ სიახლედ უნდა ჩაითვალოს ამ რუბრიკის ინტერაქტიულობა და კონსტრუქტივისტული მიდგომა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ სახელმძღვანელოებში აქამდე დამკვიდრებული იყო ე. წ. ნარატიული მასალის პირდაპირი მეთოდით მიწოდება; მოსწავლეებს განემარტებოდათ ახალი ტერმინები და ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის შესახებ მიეწოდებოდათ საჭირო თეორიული ინფორმაცია.

სახელმძღვანელოში შესასწავლ ტექსტს მოსდევს რამდენიმე რუბრიკა, რომლებიც ქართულის, როგორც სასწავლო საგნის, სპეციფიკური უნარების მიხედვითაა შერჩეული. რუბრიკებში აქცენტირებულია სტანდარტის ძირითადი მოთხოვნები და მიმართულებები, ესენია:

- ტექსტის გაგება-გაანალიზება (*რუბრიკა* „გავიაზროთ“, ასევე, ტექსტის გაცნობის შემდგომი აქტივობები და ა. შ.);
- ცოდნისა და იდეების გაზიარება (ტექსტის შემდგომი აქტივობები და რუბრიკები „ოსტატობის სკოლა“ და „ფანტაზიის გაკვეთილები“;
- ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება (ამ მიმართულებას ვერც ერთი თემა და პარაგრაფი გვერდს ვერ აუვლის, განსაკუთრებით აქცენტირებულია ამ მიმართულების საკითხები რუბრიკაში „ოსტატობის სკოლა“, „ფანტაზიის გაკვეთილები“ და საპროექტო მუშაობის დიდი ნაწილი);
- სტრატეგიების გამოყენება (სტრატეგიებს კვლავ დამოუკიდებელი რუბრიკები ეძღვნება, კერძოდ: ზეპირმეტყველებას – „გავიაზროთ წაკითხული და ვიმსჯელოთ“, „დისკუსიები“, „დებატები“, ხოლო წერით მეტყველებას – „ოსტატობის სკოლა“ და „ფანტაზიის გაკვეთილები“).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, სტანდარტის თითოეულ მიმართულებას სახელმძღვანელოში ერთი რუბრიკა ეთმობა, ამიტომაა, რომ თითოეული პარაგრაფი სტანდარტის ყველა შედეგზე გადის.

Don't copy

კონსტრუქტივისტული მიდგომა ყველაზე კარგად ჩანს რუბრიკაში – „ლიტერატურული ძიებანი“. აქ წარმოდგენილი შეკითხვები, სავარჯიშოები და რჩევები მოსწავლეს ამზადებს წერითი დავალებებისათვის, რომლებშიც მას ეძლევა საკუთარი გამოცდილების, შემოქმედებითობის, წარმოსახვითი პოტენციალის რეალიზებისა და არჩევანის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მოცემულია ილუსტრაციები, რომლებსაც მხოლოდ სამოტივაციო დანიშნულება კი არა აქვს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ისინი დავალების ნაწილია და წაკითხულის უკეთ გააზრებაში, წარმოსახვის უნარის განვითარებაში ეხმარება მოსწავლეს.

კომპლექსური დავალებები ჯერ კიდევ სიახლედ ითვლება. ამიტომაც შევეცადეთ, მასწავლებლის წიგნში მრავალფეროვნად და ინვარიანტული შესაძლებლობებით წარმოგვედგინა ეს ბლოკი.

ჩვენ მოვამზადეთ დავალებათა სპექტრი, რომლებიც განლაგებულია ე. წ. „საფეხურეობრივი“ პრინციპით – მარტივიდან რთულისაკენ. მაგ., პირველ თემას ახლავს შედარებით მარტივი კომპლექსური დავალება – „გამოხმაურება“ მოსწავლის მიერ შერჩეულ ფოლკლორულ ტექსტზე. ამდენად, მასწავლებლებს მზა სახით ეძლევათ ფართო არჩევანი, რომელშიც ყველა დონისა და ყოველგვარი სირთულის შესაბამისი დავალებებია მოცემული.

4. 2. კონსტრუქტივიზმის უმთავრესი მოთხოვნები და ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოს თავისებურებანი

- კონსტრუქტივისტული სწავლების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ცოდნის კონსტრუირება, აგება, აღმოჩენა. ამა თუ იმ ცნებებისა თუ კანონზომიერებების **„აღმოჩენებამდე“** მოსწავლეებმა უნდა გაიარონ „დაკვირვება“ და „კვლევა“, რასაც სათანადო მეთოდური აპარატი სჭირდება „მიმანიშნებელი“ კითხვებით, შესადარებელი სქემებით, თვალსაჩინოებებით, ცოდნის ასაგები რესურსებით, სასწავლო მასალის „აღმოჩენებით“, სწავლების შესაბამისი მეთოდური აპარატით, რაც სახელმძღვანელოს მეთოდურ ნაწილს მნიშვნელოვნად ზრდის.
- გარდა კლასში განსახორციელებელი დავალებებისა, სახელმძღვანელოში შედის სავარჯიშოები ინდივიდუალური დაკვირვებისათვის, **დამოუკიდებელი კვლევისათვის;**
- **ვარიანტულობა და გადაწყვეტების სიმრავლე.** ვარიანტულ მრავალფეროვნებას ასარჩევი გზების, ანუ პრობლემის გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების, სიმრავლე მოსდევს. მრავალპლანიანობა არა მარტო დავალებებს, არამედ მათი შესრულების საშუალებებსაც შეეხება. ერთი და იგივე დავალება შეიძლება სხვადასხვა მოსწავლემ სულ სხვადასხვა გზით შეასრულოს. გამოსავლის გზების მრავალფეროვნება მოსწავლეებს აჩვევს პლურალიზმს, სხვისი აზრის პატივისცემას და ექსტრემალურ სიტუაციაში გამოსავლის ძიების უნარს გამოუმუშავებს.

Don't copy

- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა კიდევ ორ კომპონენტს გულისხმობს, ესაა: ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და სწავლის სწავლა.

გთავაზობთ ამონარიდს ეროვნული სასწავლო გეგმიდან:

- „სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.
  - დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?
  - პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?
  - პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?“

სახელმძღვანელო ხელს უწყობს და ავითარებს მოსწავლეებში ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესს, ხოლო ნაირგვარი სტრატეგიები, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების გარდა, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას („სწავლის სწავლა“).

- ამიტომაცაა განსხვავებული დავალებები „ოსტატობის სკოლაში“. ეს რუბრიკა იწყება შედარებით მარტივი (შინაარსობრივი) დავალებებით და სრულდება ანალიტიკური წერისა და პროექტის სირთულის წერითი დავალებებით.
  შენიშვნა: *არც ერთ ზემოაღწერილ ეტაპზე მოსწავლეები სრულად არ ასრულებენ ყველა დავალებას და არ პასუხობენ ყველა შეკითხვას*.
- თუ მოსწავლეებს მივცემთ დავალებებს მათი აქტუალური განვითარების ზონიდან, ეს გატკეპნილ გზაზე სიარულს ემსგავსება და მოსწავლეების შემდგომ განვითარებას ხელს ნაკლებად შეუწყობს, ხოლო თუ მათ დავავალებთ ძალიან რთულ, მათი განვითარების პერსპექტიულ ზონასთან მიახლოებულ დავალებებს, გარდა იმისა, რომ ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ ასეთი დავალებების შესრულებას, ეს გამოიწვევს მოტივაციის კლებას და დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

Don't copy

4. 3. რუბრიკა „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“, ანუ როგორ გამოვიყენოთ ინტერნეტი ქართულის სწავლება/სწავლის პროცესში

„რამდენიმე წუთი“ – პირობითი სათაურია, ამ რუბრიკის დავალებების შესრულებას, ხშირ შემთხვევაში, უფრო დიდი დრო სჭირდება, ვიდრე რამდენიმე წუთია. აღნიშნულ რუბრიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ფართო სპექტრით გამოიყენება.

1. ინეტრნეტში მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა. ფაქტისა და თვალსაზრისის გამიჯვნა;

ა) ყველაზე ხშირად ინტერნეტრესურსებს **ინფორმაციის მოძიების** მიზნით მივმართავთ, თუმცა აქ აუცილებელია სათანადო რეკომენდაციები მასალის **სანდოობის** თვალსაზრისით. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ აქ მოძიებული ყველა წყარო სანდო არაა, საეჭვო სანდოობის მასალასთან ერთად, აქ აშკარად დამახინჯებულ ფაქტებსაც შევხვდებით. ამიტომაც სახელმძღვანელოში ყველგან, სადაც მოსწავლეებს მასალის მოძიებას ვავალებთ, მითითებულია სათანადო სანდო ლინკები.

ბ) ასევე უნდა ვასწავლოთ **ფაქტისა და ვარაუდის** ურთიერთგამიჯვნა.

ფაქტი – მოსწავლეებს ვაცნობთ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფაქტებს შეიცავს და თავისუფალია სხვადასხვა ინტერპრეტაციისა თუ ვარაუდისაგან.

ვარაუდი – მეორე მასალა, რომელიც მკვლევართა **ვარაუდს, თვალსაზრისს** გამოხატავს და არ შეიძლება, განვიხილოთ, როგორც **ფაქტი,** გახლავთ სტატია. აღნიშნული მასალების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, გამიჯნონ ერთმანეთისგან რეალურად მომხდარი ამბავი და ამ ფაქტთან დაკავშირებული ვარაუდები, სხვადასხვა ადამიანის ვარაუდი – ინტერპრეტაცია. ეს მოსწავლეებს ინტერნეტსივრცეში სწორად მუშაობის უნარ-ჩვევას გამოუმუშავებს.

2. საშინაო დავალების ინვარიანტულობა (ალტერნატრიული ვარიანტი), დიფერენცირებული მიდგომა და ინდივიდუალური არჩევანი

რუბრიკაში „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ დავალება, ამა თუ იმ ტექსტის მიხედვით შექმნან ვიზუალური მასალა (საპრეზენტაციო მასალა, ვიდეოკლიპი და ა. შ.).

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ ტიპის დავალებები განიხილება, როგორც საწერი ან შესასწავლი დავალების ინვარიანტული სახესხვაობა, ანუ სრულდება სხვა ტიპის დავალების ნაცვლად. მაგ., მოსწავლე თავად ირჩევს, თხრობით მოამზადოს ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფია, თუ ინტერნეტში განთავსებული რესურსების მიხედვით შექმნას მწერლის ვიდეოპორტრეტი. ვიდეომასალა, ამ შემთხვევაში, უცილობლად გულისხმობს ფაქტებისა და მოვლენების ცოდნას. ფაქტობრივად, ეს ერთი და იგივე დავალებაა, თუმცა სხვადასხვა ფორმით, და მოსწავლის სურვილის მიხედვით შერჩეული.

დიფერენცირებული მიდგომის შესახებ გვინდა აღვნიშნოთ, რომ დავალებების სიმრავლე საშუალებას იძლევა, თითოეულ მოსწავლეს მათი მზაობის, სურვილისა და საჭიროებების გათვალისწინებით შევთავაზოთ დავალება. მაგ., ზოგიერთი მოსწავლე, ტრადიციულად, წერითი ფორმით შეასრულებს დავალებას, ზოგი ფოტომასალაზე მუშაობას არჩევს, ზოგმა კი, შესაძლოა, ვიდეორგოლი ან კლიპიც კი მოამზადოს.

Don't copy

ამრიგად, კომპიუტერთან შესასრულებელი სამუშაო უნდა შევთავაზოთ, როგორც წერითი ან ზეპირი დავალების ალტერნატიული ვარიანტი.

ბუნებრივია, ამ დროის გამოყოფა საგაკვეთილო პროცესიდან შეუძლებელია. მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, როგორ, რა ფორმით შესთავაზებს მოსწავლეებს ზოგიერთ აქტივობას. ბუნებრივია, საათნახევრიან ფილმს გაკვეთილზე ვერ ვაჩვენებთ. ეს რესურსი განკუთვნილია საპროექტო მუშაობისათვის. ბავშვებს, რომლებსაც განსაკუთრებით დაინტერესებთ თემა, საშუალება ეძლევათ, დამატებით მასალებს გაეცნონ, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხის შესწავლას, იმსჯელონ და შემოგვთავაზონ საკუთარი ვარაუდები. სტილიზაციის ეტაპზე კი – შექმნან ტექსტის საკუთარი ვერსია.

მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს, რომელ მასალას გამოიყენებს გაკვეთილზე და რომელს – მოტივაციის ამაღლების მიზნით, წინასწარ მისცემს სახლში გასაცნობად.

ცნობილია, რომ კინოფილმები და ვიზუალური მასალა გაცილებით ზრდის მოტივაციას, საკითხით დაინტერესებას, ამიტომაც რუბრიკა „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ გვხვდება როგორც ახალი მასალის გაცნობამდე (პროვოცირების მიზნით), ისე გაგება-გააზრების ფაზაში.

ინტერნეტრესურსები პროვოცირებისა და მოტივაციის ასამაღლებლად;

მასწავლებლები მოტივაციის ასამაღლებლად ხშირად მიმართავენ ინეტრნეტრესურსებს, დოკუმენტურ თუ მხატვრულ ფილმებს. ამის შესახებ საუბარია პროფესიული უნარების სახელმძღვანელოში, კერძოდ, მეორე ნაწილში („სწავლება და შეფასება“). მოტივაციის შესახებ საუბრისას მოტანილია ასეთი მაგალითი: მეათე კლასში მოსწავლეებს გაუჭირდათ ძველი ქართულით დაწერილი ტექსტის გაგება. როცა მასწავლებელმა შენიშნა, რომ მოსწავლეებს უძნელდებოდათ სასწავლო მასალაზე მუშაობა, მოტივაციის ასამაღლებლად აჩვენა დოკუმენტური ფილმი. ფილმმა იმხელა ინტერესი გამოიწვია, რომ მოსწავლეებმა შემდეგ გაკვეთილზე თავად სთხოვეს მასწავლებელს ტექსტის გაცნობა.

ცნობილია, რომ ინეტერნეტში განთავსებული ინვარიანტული სასწავლო მასალა ან მხატვრულად გადაწყვეტილი დოკუმენტური ფაქტები ხშირად მოტივაციის გაზრდას ემსახურება. ამიტომაც მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს, როდის ამუშაოს ბავშვები ამ რუბრიკაში მითითებულ მასალაზე.

ინტერნეტის გამოყენება საშინაო დავალებებსა და პროექტებზე ჯგუფური მუშაობისათვის;

მასწავლებელმა ინტერნეტი შესაძლებელია საშინაო დავალებებსა და პროექტებზე ჯგუფური მუშაობისთვისაც გამოიყენოს. აქ რამდენიმე მოსწავლეს ერთდროულად ეძლევა საშუალება, ჯგუფებში განიხილონ კონკრეტული საკითხები, ერთმანეთს გადაუგზავნონ საკუთარი ნამუშევარი და თვალსაზრისი. ამიტომაც მათ შეუძლიათ, ჯგუფური დავალება საკუთარ სახლში, სამუშაო მაგიდებთან შეასრულონ.

ინტერნეტი მეტაკოგნიციის გასააქტიურებლად (თვითშეფასება/ურთიერთშეფასება) ...

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ინტერნეტს იყენებს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური პროცესების შემდგომი გააქტიურების მიზნით. მაგ., მოსწავლეს შეუძლია, დავალების შესრულების შემდგომ, შეაფასოს საკუთარი თავი და შედეგი თანაკლასელს ან მასწავლებელს გადაუგზავნოს. მას მომდევნო გაკვეთილამდე შეუძლია მიიღოს შესაბამისი უკუკავშირი, გარკვეული რჩევები და რეკომენდაციები.

Don't copy

სკოლების ერთ ნაწილში წარმატებით მუშაობს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ტესტები და კითხვარები, რომელთა გამოყენების ძირითადი არეალი სწორედ ინტერნეტით განხორციელებული უკუკავშირია.

ა) ჯგუფებად დაყოფის საფუძველი:

ჯგუფებად დაყოფა სულ სხვადასხვაგვარად შეიძლება განვახორციელოთ. გთავაზობთ ჯგუფებად დაყოფის პრინციპების სარეკომენდაციო ჩამონათვალს:

- შემთხვევითი დაყოფის;
- საერთო ინტერესების;
- მსგავსი შეხედულებების;
- განსხვავებული/საპირისპირო შეხედულებების;
- დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ., კლასში 5-6 ბავშვი კარგად ხატავს. ბავშვები გადანაწილდებიან ისე, რომ ყველა ჯგუფს შეხვდეს თითო მხატვარი);
- ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ა. შ.

მასწავლებელმა გამუდმებით უნდა ცვალოს ჯგუფებად დაყოფის პრინციპები.

ბ) აქტივობის შეფასების კრიტერიუმების შედგენა:

მოსწავლეები და პედაგოგი ერთობლივად შეიმუშავებენ ჯგუფური პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს. კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს მოთხოვნები და შეფასების დონეები. გთავაზობთ სარეკომენდაციო ცხრილს, რომელშიც პირველ სვეტში ჯგუფური სამუშაოების შეფასების კრიტერიუმებია ასახული, ხოლო მომდევნო სვეტებში მიღწევის დონეებია[1] მოცემული.

კრიტერიუმები	სრულად 9-10	კარგად 7-8	ზოგადად 5-6	ნაწილობრივ 3-4	ვერ აკმაყოფილებს 1-2
პასუხობს თემას					
საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული (მოჰყავს ორი არგუმენტი მაინც)					
პრეზენტაცია ორიგინალური, კრეატიული და საინტერესოა;					
მსჯელობა თანამიმდევრულია და ლოგიკური;					
მეტყველება მკაფიო, გამოკვეთილი და დახვეწილია;					
მონაწილეები პრეზენტაციის მომზადებისას ითვალისწინებენ შეფასების კრიტერიუმებს;					
მონაწილეებს აქვთ თვითშეფასების უნარ-ჩვევები, შეუძლიათ, გაზომონ აქტივობაში მონაწილეობის ხარისხი;					
მონაწილეებს აქვთ ურთიერთშეფასების უნარ-ჩვევები, შეუძლიათ, გაზომონ აქტივობაში თანატოლთა მონაწილეობის ხარისხი;					
პრეზენტაცია სათანადოდაა გაფორმებული (დიზაინი, ვიზუალური მხარე, მასალის მიწოდების ფორმა).					

[1] მიღწევის დონეები – არის გაზომვადი სეგმენტი, რომელიც სრულ წარმოდგენას გვაძლევს სწავლა/სწავლების ხარისხზე.

Don't copy

შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ შეფასების კრიტერიუმების აღნიშნული ცხრილი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. სასურველია, საკლასო საჭიროებებს მოერგოს შეფასების კრიტერიუმებიც და მიღწევის დონეებიც.

გ) პრეზენტაციების მომზადება ჯგუფებში;

მოსწავლეები როლურ თამაშში აცოცხლებენ სიუჟეტურ ამბებს.

დ) პრეზენტაციები;

ე) პრეზენტაციების შეჯამება/ შეფასება

შენიშვნა: აქტივობები, რომლებიც ჯგუფებში პრეზენტაციას გულისხმობს, ზემოთ მოცემული ჩარჩო-შაბლონის მიხედვით უნდა წარიმართოს. სხვა შემთხვევაში ასე დაწვრილებით აღარ მოგაწვდით აქტივობის მსვლელობის საფეხურებს.

აღნიშნული ჩარჩო-შაბლონი უნდა გამოიყენოთ ყველა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, ცვალოს შეფასების სქემის კრიტერიუმები.

ამდენად, მატრიცებში მოწოდებული მასალა მხოლოდ ამ გაკვეთილზე გამოსაყენებელი ერთჯერადი რესურსი არაა. ეს უფრო მრავალჯერადი გამოყენების ჩარჩო-მოდელებია, რომლებსაც ნაირგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს და, შესაბამისად, გამოყენებისას მრავალფეროვან მოდიფიცირებას ექვემდებარება.

ა) საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.

მასწავლებელი ბავშვებთან ერთად გადახედავს საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს კორექტივი შეფასების კრიტერიუმებში, კერძოდ, ის წარუდგენს მოსწავლეებს სავარაუდო ვარიანტს და ეკითხება, ხომ არ სურთ რაიმეს შეცვლა. სანიმუშოდ შეიძლება გამოიყენოთ მცირედ მოდიფიცირებული ჯგუფური აქტივობების შეფასების კრიტერიუმები.

წერითი დავალების შეფასების სავარაუდო კრიტერიუმები:

კრიტერიუმები	სრულად 9-10	კარგად 7-8	ზოგადად 5-6	ნაწილობრივ 3-4	ვერ აკმაყოფილებს 1-2
უპასუხებს თემას					
საკითხი გააზრებულია და არგუმენტირებული (მოჰყავს ორი არგუმენტი მაინც)					
ნაშრომი ორიგინალური, საინტერესო და კრეატიულია					
მსჯელობა თანამიმდევრულია და ლოგიკური					
მონაწილეები ნაშრომის მომზადებისას ითვალისწინებენ შეფასების კრიტერიუმებს					
ნაშრომი სწორადაა გამოყენებული ენობრივ-გრამატიკული ფორმები					

Do not copy

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს განმსაზღვრელი ნიშნის რაობას. განუმარტავს, როგორ უნდა გამოიყენონ შეფასების რუბრიკები თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დროს. ავალებს, საშინაო დავალების შესრულების შემდეგ შეავსონ ასეთი ცხრილი (ესაა შეფასების ცხრილი, რომელსაც პედაგოგი შემდგომშიც პერიოდულად მიმართავს):

თვითშეფასება	**ურთიერთშეფასება**	**მასწავლებლის შეფასება**
საბოლოო ქულა – კომენტარი –	საბოლოო ქულა – კომენტარი –	საბოლოო ქულა – კომენტარი –

პედაგოგი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ კომენტარში უნდა ჩაწერონ, დავალების რა ნაწილზე მუშაობა იყო უფრო საინტერესო, რომელი ნაწილი გაუჭირდათ და რატომ.

ურთიერთშეფასებისას კომენტარში ერთმანეთს რჩევები უნდა მისცენ.

ბ) დავალების მიცემა

დავალება ასარჩევია. მოსწავლეს შეუძლია, შეარჩიოს მისთვის საინტერესო ეპიზოდი და გადმოსცეს იგი განსხვავებული თვალთახედვით.

ამბავში იცვლება მთხრობელი და ხედვის კუთხე.

- ეს დავალება აჯამებს წინ შესწავლილ მასალას, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ტექსტს გაეცნენ, და აღნიშნული დავალებით ტექსტის შინაარსზე გავდივართ;
- ამავე დროს, ამზადებს ახალ მასალას, რადგან მომდევნო გაკვეთილზე უნდა ვისაუბროთ ავტორის, მთხრობლისა და აუდიტორიის როლზე. ამ დავალების შესრულებისას ნათელი გახდება, რა იცვლება თითოეული ამ კომპონენტის შეცვლით.

გ) დიფერენცირებული დავალება

მოსწავლეთა ერთ ნაწილს მასწავლებელმა შეიძლება მისცეს დიფერენცირებული დავალება, მათი მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ, კი არ დაწერონ, არამედ დახატონ შერჩეული ეპიზოდი ანდა წარმოადგინონ კომიქსი ან სლაიდშოუ.

შენიშვნა:

1. დიფერენცირებული დავალებები პირობითია, რადგან თითოეული ამგვარი დავალება უნდა დაიგეგმოს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2. გაკვეთილის სცენარებში მოცემულია მრავალფეროვანი აქტივობები. აუცილებელი არაა და, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიცაა, მასწავლებელმა ყველა აქტივობა გაკვეთილზე შეასრულოს. ზოგჯერ აქ ერთი აქტივობის ორი ვარიანტი გეძლევათ, რაც ნიშნავს, რომ ა და ბ ვარიანტებიდან თქვენ უნდა ამოირჩიოთ, რომლის გამოყენებაც გსურთ.

Don't copy

5. მოსწავლის შეფასების პრინციპები

5. 1. მოსწავლის შეფასების სახეები – როგორ და რა თანამიმდევრობით გამოვიყენოთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება?

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ქართულის სტანდარტი რეკომენდაციას გვაძლევს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან

ცხრილში კარგად ჩანს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ურთიერთმიმართება.

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა. შ. **მოსწავლეები:** თვითშეფასება; ურთიერთშეფასება.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

Draft copy

როგორც ვხედავთ, ამ სქემაში გამოკვეთილია განმავითარებელი შეფასების დანიშნულება. ესაა მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. ამიტომაც, სანამ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევებსა და შედეგებს დავადგენდეთ, ჯერ ხანგრძლივი და სწორი გზაა გასავლელი, ამ გზაზე კი განმავითარებელი შეფასება თითქმის ერთადერთი საშუალებაა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მონიტორინგისა და მიმდინარე პროცესების შეფასებისათვის.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენებას თავისი ლოგიკური თანამიმდევრობა და არეალი აქვს. დავაკვირდეთ მათი გამოყენების მონაცვლეობას ვრცელი თემატური ერთეულის მაგალითზე.

5. 2 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენების თავისებურებანი – თანამიმდევრობა (გრადაცია), პერიოდულობა, ხანგრძლივობა

სახელმძღვანელოს ავტორები თვლიან, რომ თავდაპირველად, როცა მოსწავლე ის-ისაა იწყებს კონკრეტული ვრცელი თემის შესწავლას, არაა რეკომენდებული, პირველ ან მეორე გაკვეთილზე განმსაზღვრელი შეფასება გამოვიყენოთ. მოსწავლე ჯერ უნდა შეეჩვიოს კონკრეტული ავტორის ენობრივ თავისებურებებს, ტექსტის სოციოკულტურულ გარემოს, მაგ., თუ მოსწავლისათვის რთულია, ვთქვათ, იაკობ ხუცესის, ან მემატიანის ენობრივ გარემოში ადაპტირება, პირველსავე გაკვეთილზე მიღებული დაბალი განმსაზღვრელი შეფასება მას მოტივაციას დაუკარგავს და შეიძლება, სისტემატურად გამეორებულმა ამგვარმა მიდგომამ დაბალი თვითშეფასება განუვითაროს.

თემაში შესვლა რეკომენდებულია განვითარებაზე ორიენტირებული მიმდინარე განმავითარებელი შეფასებით. თუმცა აქაც ბალანსის დაცვაა აუცილებელი. განმავითარებელი შეფასების ხანგრძლივად გამოყენება თავისთავად ასუსტებს განმსაზღვრელი შეფასების მარგი ქმედების კოეფიციენტს, გარკვეული ასპექტით, „ადუნებს“ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის სტანდარტის შედეგებთან ურთიერთმიმართების შეფასების თვალსაზრისით. ამიტომაც განმსაზღვრელი შეფასება სწავლებისას მცირე პერიოდის გასვლის შემდეგ უკვე უნდა გამოვიყენოთ.

მიმდინარე განმსაზღვრელი შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რამდენად სწორად მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი, რა ხარვეზები და სირთულეები ხვდება მოსწავლეს. მიმდინარე განმსაზღვრელ შეფასებას უნდა მოსდევდეს ანალიზი და გარკვეული ინტერვენციები, რათა აღნიშნული პრობლემები აღმოიფხვრას.

მიმდინარე შეფასებაში, ჩვეულებრივ, უნდა მონაცვლეობდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. თუ მასწავლებელი რაიმე სირთულის მასალას ხსნის და შეატყო, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს ათვისება გაუჭირდა, იგი კვლავ განმავითარებელ შეფასებას მიმართავს და ასე განმავითარებლისა და განმსაზღვრელის ლოგიკური მონაცვლეობა გრძელდება თემის ბოლომდე, სანამ შემაჯამებელ დავალებებზე არ გადავალთ.

შემაჯამებელ ეტაპზე მთელი ყურადღება შემაჯამებელ-განმსაზღვრელ შეფასებაზე გადადის და ზოგჯერ ყურადღების მიღმა რჩება შემაჯამებელ-განმავითარებელი შეფასება, რაც ჩვენი აზრით, ასევე არასწორია.

Don't copy

თემატური ერთეულის ბოლოს, საბოლოო შეფასებამდე, მასწავლებელმა და მოსწავლემ კიდევ ერთხელ უნდა მოახდინონ თემატურ ერთეულზე მუშაობისას კონსტრუირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მონიტორინგი, მოუყარონ თავი მიღებულ გამოცდილებას, გაიაზრონ ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები და თემატური ერთეულის დასრულებამდე დასახონ მისი დროულად და ეფექტიანად გამოსწორების გზები. ამიტომ ამ ეტაპზე აუცილებელი კომპონენტია შემაჯამებელ-განმავითარებელი შეფასება, რომელიც კიდევ ერთხელ დააფიქსირებს ხარვეზებს, დაანახვებს მოსწავლეს, ჯერ კიდევ რა სირთულეების წინაშე დგას და რისი გამოსწორებაა შესაძლებელი შემაჯამებელ-განმსაზღვრელ შეფასებამდე.

ცოდნის შეფასების ბოლო და დასკვნითი ეტაპია **შემაჯამებელ-განმსაზღვრელი შეფასება,** რომელიც ასრულებს თემატურ ერთეულს და გამოკვეთს ახალი მასალისათვის მოსწავლის მზაობას.

ორიოდე სიტყვა განმავითარებელი შეფასების კომენტარზე

განმავითარებელი შეფასების დროს მოსწავლის ნაშრომს ვუკეთებთ კომენტარს (წერილობითს ან ზეპირს). კომენტარში უნდა ჩანდეს მოსწავლის ინდივიდუალური პრობლემები, რომელთა გაცნობიერება მას დაეხმარება ობიექტურ თვითშეფასებაში, სწავლის გასაუმჯობესებლად ეფექტური სტრატეგიების შემუშავებაში. კომენტარის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია, მოსწავლეს მივუთითოთ წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებზე:

„კარგია“, „უკეთესად შეიძლებოდა“, „ყოჩაღ“, „ცუდად წერ“ – ასეთი კომენტარები მას არაფერს ეუბნება. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რატომ იყო მისი ნამუშევარი კარგი ან ცუდი, რაზე გაამახვილოს ყურადღება და როგორ აღმოფხვრას ხარვეზები.

კომენტარის ნიმუშები:

- „საინტერესო მოსაზრებაა, მაგრამ, შესაბამისი არგუმენტებითა და ტექსტობრივი მასალით რომ გაგემყარებინა, მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა“.
- „გავიწყდება, რომ ჩართული წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა? გირჩევ, გაიმეორო განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“.
- „შეეცადე, უფრო გაბედული იყო საკუთარი აზრის გამოთქმაში. გახსოვდეს, ნებისმიერი აზრი მისაღებია, თუ ის არგუმენტირებულია“.

როგორც ვხედავთ, კომენტარი რჩევასაც გულისხმობს და იგი ისეთ ნიუანსებს შეიცავს, რომლებიც ქულებში ვერ აისახება.

5. 3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები

ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულის საგნობრივი მიმართულების სტანდარტი დაწვრილებით განიხილავს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმთა ნუსხას. ეს ვრცელი ჩამონათვალი მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად მოარგონ შეფასების სქემები მოსწავლეთა საჭიროებებს, ასევე, შესაძლებელია სქემათა მოდიფიცირება, რაც დიფერენცირებული მიდგომის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

Don't copy

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

მოსწავლე:

- ამოიცნობს ლოგიკურ მიმართებებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციებს შორის (მაგ., ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, პირობისეულობა);
- ახარისხებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნით;
- გამოყოფს საკვანძო სიტყვებს, ადგილებს/ეპიზოდებს და ხსნის, რითაა ისინი მნიშვნელოვანი;
- ტექსტში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაგულისხმევ ინფორმაციას;
- ამოიცნობს თემას/ქვეთემას, მთავარ იდეას, ძირითად პრობლემას/საკითხს;
- აანალიზებს პერსონაჟ (ებ)ის ქცევას, მსჯელობს პერსონაჟ (ებ)ის მოტივაციაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე;
- ახასიათებს პერსონაჟს/ამბის გმირს ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით (მაგ., გარეგნობის, მეტყველების, ქცევის, აზრების, ავტორისეული დახასიათების, საცხოვრებელი გარემოს მიხედვით);
- ერთმანეთს უდარებს პერსონაჟებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- აკვირდება, როგორ იცვლებიან მოვლენები/პერსონაჟები სიუჟეტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- ამოიცნობს კონცეპტუალურ ინფორმაციას (მაგ., მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს, არამხატვრულ ტექსტებში ამოიცნობს ძირითად თეზისებს/ დებულებებს), გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
- გაიაზრებს ტექსტის სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას;
- განასხვავებს ფაქტსა და მოსაზრებას/შეფასებას, თეზისსა და არგუმენტს, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- განასხვავებს მთავარ და არამთავარ ინფორმაციას, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- საუბრობს მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების დანიშნულებაზე (მაგ., პერსონაჟის სახასიათო თვისების წარმოჩენა, მოქმედების დროისა და ადგილის სპეციფიკის ჩვენება);
- განსაზღვრავს კონფლიქტს/ძირითად პრობლემას ტექსტში, საუბრობს მის გამომწვევ მიზეზებზე;
- მსჯელობს, როგორ იყენებს ავტორი თემისა და მთავარი იდეის წარმოსაჩენად კომპოზიციის ელემენტებს (მაგ., მოქმედების დროსა და ადგილს, პერსონაჟებს, სიუჟეტს);
- ამოიცნობს სპეციფიკურ დრო-სივრცულ მახასიათებლებს, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის კონტექსტში;
- გაიაზრებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე, ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციას ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- საუბრობს, რა დასკვნა გამოიტანა ტექსტის საფუძველზე (/რა ასწავლა ტექსტმა);
- პოულობს მსგავსება-განსხვავებას ტექსტში ასახულ რეალიებს, პერსონაჟებს/ამბის გმირებსა და რეალურ ცხოვრებას/რეალურ ადამიანებს შორის, გამოაქვს სათანადო დასკვნები;

Don't copy

- გაიაზრებს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცული ფაქტორების ცვლილებამ;
- ამოიცნობს და ხსნის სხვაობას ავტორის/მთხრობლის, პერსონაჟების ხედვის პერსპექტივებს შორის;
- ამოიცნობს ავტორის შეხედულებებს/დამოკიდებულებებს, საუბრობს, რა მიმართებაა ტექსტსა და ავტორის გამოცდილებას შორის;
- წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ფორმით (მაგ., ინსცენირებით, გამომსახველობითი კითხვით);
- ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ტექსტიდან შესაბამისი ადგილების მოხმობით;
- ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ/მიმზიდველ ადგილებს და ხსნის, რითია ისინი გამორჩეული;
- ამოიცნობს, რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთსა და იმავე თემაზე/პრობლემაზე შექმნილი ტექსტები ერთმანეთისგან (მაგ., მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების კუთხით), გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- ამოიცნობს, რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის/ჟანრის ტექსტებში ერთსა და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- აფასებს, რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებს ავტორი თვალსაზრისს/პოზიციას;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასებს ტექსტში ასახულ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წამოაყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტს;
- იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ფაქტობრივ, მიზეზ-შედეგობრივ, ანალოგიაზე დამყარებულ არგუმენტებს);
- ადგენს სტანდარტით განსაზღვრული ტიპის ტექსტებს ნაცნობ თემაზე/საკითხზე სხვადასხვა მიზნით (მაგ., ანალიზის შედეგების წარმოჩენის, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მოწოდების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, გამოცდილების გაზიარების);
- ადეკვატურად იყენებს გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნას სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის გაანალიზების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის);
- ადეკვატურად იყენებს ცალკეული ჟანრების ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ცოდნას;
- ამოიცნობს ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც ავტორი იყენებს განწყობის, ემოციური ფონის შესაქმნელად;
- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ., მეტაფორას, სხვ.) და ხსნის მათ დანიშნულებას;
- ამოიცნობს და ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებში ბგერწერითი ეფექტის შემქმნელ ელემენტებს (რითმას, რიტმს, ალიტერაციას);
- ამოიცნობს მიმართებებს ტექსტის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ელემენტებს შორის, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის ფარგლებში.

ამ კრიტერიუმთა მრავალფეროვნება, ცვალებადობა და შეფასების ინსტრუმენტებში მათი ასახვა მასწავლებელს მრავალმხრივი საქმიანობის შესაძლებლობას უხსნის.

Don't copy

5. 4. შეფასების ინსტრუმენტები გაკვეთილის ფაზების მიხედვით

სახელმძღვანელოს ავტორთა მიერ შემოთავაზებული შეფასების სისტემა, ესაა დაკვირვებისა და შეფასების უწყვეტი პროცესი თემატური ერთეულის დაწყებიდან შემაჯამებელ შეფასებამდე.

ყოველი თემატური ერთეულის შესავალში არის აქტივობები წაკითხვამდე, რომლებიც, ერთი მხრივ, აჯამებს ადრე შესწავლილს და, მეორე მხრივ, ამ ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

გადავხედოთ აქტივობებს წაკითხვამდე, ესაა:

- ივარაუდეთ;
- დააჯგუფეთ;
- თქვენ როგორ ფიქრობთ? დასმულ პრობლემაზე არგუმენტირებული მსჯელობა;
- დებატები;
- მინიდისკუსიები (საგანგებოდ ძველისა და ახალი მასალის დამაკავშირებელი კითხვარებით);
- სიტუაციური ამოცანები;
- ლიტერატურული კვლევები და თამაშები;
- დასაკავშირებელი მასალა და ა. შ.

ამ აქტივობათა შედეგებზე დაკვირვებას აწარმოებს როგორც მოსწავლე, ისე მასწავლებელი. გაგაცნობთ შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელიც რეკომენდებულია თემატური ერთეულის დასაწყისში განმავითარებელი შეფასებისათვის.

ორმხრივი ჩანაწერების დღიური, როგორც სასტარტო დიაგნოსტიკური შეფასების ერთ-ერთი ფორმა;

თემატური ერთეული თავი ისეა დაგეგმილი, რომ ყოველი თემატური ერთეულის შიგნით ჩართულია შიდა მონიტორინგის სისტემა, რომელშიც წარმმართველი როლი ენიჭება თემის შიგნით განმავითარებელ შეფასებას.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს თემატური ერთეულის სწავლება/სწავლის პროცესს მთლიანად, დასაწყისიდან შემაჯამებელ შეფასებამდე.

ა) ცოდნა მოწმდება ყველა დონესა და ეტაპზე (სასტარტო, შუალედური და დასკვნითი ეტაპების მონიტორინგი), ამიტომ ვიყენებთ მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების ყველა ნაირსახეობას;

ბ) მოწმდება ყველა ფორმით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და მასწავლებლის შეფასება);

გ) გამოიყენება შეფასების ყველა სახე – განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

თუმცა შეფასების ყველა ფორმასა და ინსტრუმენტს მკვეთრად განსაზღვრული და რეგლამენტირებული სამოქმედო არეალი აქვს, მაგ.:

- თემის დასაწყისში სასტარტო ცოდნის შემოწმებისას (ე. წ. დიაგნოსტირება) არ არის რეკომენდებული განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
- ასევე, არ არის რეკომენდებული საწყის სტადიაზე ურთიერთშეფასების მექანიზმის ჩართვა, რადგან ამ დროს მოსწავლის საერთო მზაობისა და წინარე ცოდნის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია **სასტარტო შეფასება.**

Don't copy

სასტარტო-დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები უნდა იცოდნენ და გააანალიზონ თავად მოსწავლემ და მასწავლებელმა.

ა) მოსწავლისათვის თემატური ერთეულის შესწავლისა და მიზნების დაგეგმვისას საინტერესოა:

- რა იცის ამ თემის ირგვლივ;
- რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- რის გამოსწორებას დაისახავს პირველი რიგის ამოცანად;
- რა შედეგებს გეგმავს მოსწავლე კონკრეტულად ამ თემატურ ერთეულში?

ბ) მასწავლებლისათვის სასტარტო შეფასებისას საინტერესოა:

- როგორია მოსწავლის სასტარტო მდგომარეობა, როგორია მისი მზაობა. ამ ყველაფრის დიაგნოსტირება კი ხდება სწორედ იმის გარკვევით, თუ რა იცის მოსწავლემ ამ თემის ირგვლივ, რა ცოდნას, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს ფლობს;
- რა არის მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები; შესაბამისად, რა შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა და რა შეიძლება რისკ-ფაქტორად მოევლინოს სასწავლო პროცესში. რა შეუშლის ხელს დასახული მიზნის მიღწევაში;
- რა არის მოსწავლისათვის პრიორიტეტული მიზანი, რის გამოსწორებას გეგმავენ მასწავლებელი და მოსწავლე პირველი რიგის ამოცანად;
- რა შედეგებს გეგმავენ კონკრეტულად ამ თემატურ ერთეულში? როგორი იქნება წინსვლის მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებელი?
- როგორც ვხედავთ, დიაგნოსტიკური (სასტარტო შეფასებისას) მასწავლებლისა და მოსწავლის დასახულ მიზნებს შორის გარკვეული შინაარსობრივი და ეტაპობრივი თანხვედრა არსებობს.

მომდევნო ეტაპი ორი პირის – მასწავლებლისა და მოსწავლის დასაგეგმია. აქედან გამომდინარე, სასტარტო ტესტირებისას (ან სხვა ტიპის წერისას) უნდა ჩაირთოს შეფასების ორი ტიპი – თვითშეფასება და მასწავლებლის შეფასება. ამ შემთხვევაში ურთიერთშეფასების გამოყენება სრულიად უადგილო და მეთოდურად გაუმართლებელია, რადგან ეს პროცესი მხოლოდ იმას დაანახვებს მოსწავლეებს, რომ ვიღაცას მეტი სასტარტო მზაობა აქვს და ვიღაცას – ნაკლები. ეს კი ვერც მოსწავლეს დაეხმარება მომავალი პროცესების დაგეგმვაში და ვერც – მასწავლებელს.

სასტარტო შეფასების შემდეგ, სასურველია, მასწავლებელმა მოამზადოს შეხვედრა-ინტერვიუ მოსწავლესთან იმ საკითხებზე, თუ რა ტიპის ამოცანები დასახონ ამ კონკრეტული თავის სწავლებისას, მაგრამ დიდ კლასში ამის სისტემატური შესრულება გაჭირდება, ამიტომაც, სასურველია, მასწავლებელმა აწარმოოს ორმხრივი ჩანაწერების დღიური, რომელშიც მოსწავლე და მასწავლებელი წერილობით აფიქსირებენ შეფასების შედეგებს, სამომავლო გეგმებს.

გთავაზობთ ორმხრივი ჩანაწერების დღიურის სარეკომენდაციო ფორმას, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ სასტარტო დიაგნოსტიკური შეფასებისას:

Do not copy

ორმხრივი ჩანაწერების დღიური (სასტარტო დიაგნოსტიკური შეფასების სქემა)

შეფასების სახე	სასტარტო დიაგ–ნოსტიკური შე–ფასების შედეგები	დაგეგმილი ღონისძიებები	შუალედური მონი–ტორინგის შედეგები (თემატური ერთეუ–ლის შუა ნაწილში)	მიღწეული შედეგები (თემატური ერთეულის შუა ნაწილში)
მოსწავლის თვითშეფასება (ავსებს მოსწავლე)				
მასწავლებლის უკუკავშირი (ავსებს მასწავლებელი)				

როგორც ვხედავთ, მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთობლივად დაგეგმეს მომავალი ინ–ტერვენციები. ეს დოკუმენტი, სასურველია, ინახებოდეს მოსწავლის პორტფოლიოში, როგორც მისი წარმატებისა და წინსვლის ამსახველი დღიური.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, როგორც ყოველდღიური მონიტორინგის მრავალ–ფუნქციური მექანიზმი ცოდნის კონსტრუირების ეტაპზე.

მასწავლებელი, ბუნებრივია, ყოველდღე ვერ მოახერხებს ყველა მოსწავლის ნამუშევრის შეფასებას. ყოველდღიური კონტროლისათვის მოქნილი და ოპტიმალურია თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემის ერთობლივი ამოქმედება.

თემატური ერთეულების შესწავლისას მასწავლებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შუა–ლედურ შეფასებებს, რადგან დასახული მიზნის მიღწევა და შემაჯამებელ–განმსაზღვრელი შე–ფასებების შედეგებიც სწორედ შუალედურ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული.

ხშირად მასწავლებლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ყოველდღე განახორციე–ლონ კლასის ყველა მოსწავლის ცოდნის მონიტორინგი და განახორციელონ შესაბამისი უკუ–კავშირი. ამისათვის ისინი იყენებენ ბლიცტესტებს, 5–წუთიან საკლასო წერებს და ა. შ. თუმ–ცა ყურადღების მიღმა გვრჩება ისეთი მძლავრი ინსტრუმენტი, როგორიცაა თვითშეფასება და ურთიერთშფასება, რომელიც, ყოველდღიური მონიტორინგის გარდა, მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის გაზომვას აჩვევს და მეტად საჭირო მეტაკოგნიტურ უნარებს უვითარებს.

ამიტომ მასწავლებლებს ვთავაზობთ, გამოიყენონ ყოველდღიური თვითშფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები და უკუკავშირის წინასწარ შემუშავებელი სისტემა. ამ სქემებში ორიენტირებას მოსწავლეებიც შეძლებენ.

გთავაზობთ ყოველდღიური განმავითარებელი თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემის ერთ–ერთ ვარიანტს:

Don't copy

შეფასების კრიტერიუმები (კრიტერიუმები პირობითია და შესაძლებელია მოსწავლეთა საჭიროებისამებრ ვცვალოთ. იხ. ზემოთ მოცემულ კრიტერიუმთა ჩამონათვალი)	თვითშფასება (კომენტარი/ან განმსაზღვრელი ქულა)	ურთიერთშეფასება (კომენტარი ან განმსაზღვრელი ქულა)	მასწავლებლის შეფასება (კომენტარი ან განმსაზღვრელი ქულა)
ტექსტის ცოდნა თავისუფალი და გამართული თხრობა;			
ტექსტის შემდგომი აქტივობებისა და მეთოდურ აპარატში განთავსებული მასწავლებლის მიერ მითითებული დავალებებისა და აქტივობების შესრულება, ცნებებისა და ტერმინების სწორად გაგება;			
ტექსტში დასმული და მასწავლებლის მიერ სადისკუსიოდ შერჩეული პრობლემის ანალიზი;			
კავშირი სხვა (ადრე შესწავლილ) მასალასთან;			
სტილიზაცია შესწავლილი ტექსტის ანალოგიური ტექსტის შექმნა.			

თვითშეფასება: ამ სქემის მიხედვით მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს, საუბრობს საკუთარი ცოდნის ხარისხზე ან წერს შესაბამის ქულას; იმისათვის, რომ არ მოხდეს შეფასების მიზანმიმართული დამახინჯება, მრავალი მექანიზმი არსებობს. მათ შორისაა (პერიოდულად და მოსწავლეებისათვის მოულოდნელად) თვითშეფასების მონიტორინგი კლასში ჩატარებული საკლასო სამუშაოებითა და ბლიცტესტებით; ასევე ძლიერი ინსტრუმენტია სწორად გამოყენებული ურთიერთშეფასება;

ურთიერთშეფასება: კლასში 2-3 წუთი გამოიყოფა მოსწავლეთა ურთიერთშეფასებისათვის. ურთიერთშეფასების მექანიზმი მრავალგვარია და ამის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ დამატებით მასალებს, თუმცა ტრადიციულად, ყველაზე გავრცელებულია ურთიერთშეფასების ორი ფორმა:

მასწავლებელი სვამს 5-6 ფრონტალურ კითხვას, რომლებსაც მოსწავლეები წერილობით პასუხობენ. შემდეგ მეწყვილეები ერთმანეთის ნამუშევრებს ასწორებენ და აფასებენ. შეფასების ორი გზა არსებობს – მათ შეუძლიათ, თავად დაწერონ სასურველი ტექსტი ან შეარჩიონ მასწავლებლის მიერ წინასწარ დამუშავებული და ტრაფარეტად მიცემული შაბლონებიდან ისე, რომ სიტყვიერად არც დასჭირდეთ კომენტარი, მხოლოდ ტრაფარეტის ნომერი მონიშნონ. მაგ.:

Don't copy

1. თქვენ კარგად გაგიგიათ ტექსტი. იცით ცალკეული მსხვილი ეპიზოდების ფუნქციური დანიშნულება, მაგრამ ჯერ კიდევ არასრულყოფილად ერკვევით დეტალებში, კერძოდ...

2.. თქვენ შეგიძლიათ ტექსტში განასხვაოთ მთავარი და არამთავარი ეპიზოდები, მაგრამ ჯერ კიდევ გერევათ თანამიმდევრობა, როგორც ჩანს, დამატებითი მუშაობა გჭირდებათ სიუჟეტის განვითარებაზე...

3. თქვენ იცით ტექსტი და სწორად გესმით ცალკეული დეტალებისა და ეპიზოდების მნიშვნელობა, თუმცა ჯერ კიდევ გიჭირთ „შეხვიდეთ" ტექსტში, სხვადასხვა პერსონაჟის თვალთახედვით შეხედოთ პრობლემებს და მათი „როლიდან" გაიაზროთ ცალკეული საკითხები.

4. თქვენ კარგად გაგიგიათ ტექსტის ზედაპირული ინფორმაცია, მაგრამ გჭირდებათ დამატებითი მუშაობა ტექსტში დაფარული ქვეტექსტური ინფორმაციის ამოსაცნობად. უნდა გაიაზროთ, რომელი დეტალი რას მიგვანიშნებს...

მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, უკუკავშირის ამგვარი ჩარჩო-ფორმები სასურველია, ყველა მასწავლებელს ჰქონდეს შემუშავებული. მოსწავლეები თვითშეფასების პროცესის შემდგომ გაიაზრებენ საკუთარ შესაძლებლობებს, მიღწევებსა და ხარვეზებს და თვითონ ირჩევენ შესაბამის უკუკავშირს. მაგ.:

– თვითშეფასებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს გავუწევდი №3 რეკომენდაციას. შესაძლებელია ორი ან მეტი უკუკავშირის გაერთიანებაც. ვთქვათ, ამგვარი;

– მესაჭიროება №3 და №4 რეკომენდაციებით გათვალისწინებული საქმიანობის გააქტიურება და ა. შ. თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების განხორციელების შემდეგ, მასწავლებელი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ირჩევს 6-7 ნაშრომს (თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ცხრილების გამოყენებით) და ასწორებს (არაა სავალდებულო, ეს მოხდეს საკლასო ოთახში) და საკუთარ უკუკავშირს წერს მასწავლებლის შეფასებაში. ამდენად, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დღიური ასე გამოიყურება:

მოსწავლის გვარი, სახელი	შესასწავლი მასალა	თვითშეფასება	ურთიერთშეფასება (შეფასება/კომენტარი, ან ქულა და შემფასებლის გვარი)	მასწავლებლის შეფასება

ამგვარი დღიურები მოსახერხებელია ყოველდღიური მიმდინარე პროცესების შეფასებისათვის. მიმდინარე-განმსაზღვრელი და მიმდინარე-განმავითარებელი შეფასებებისათვის გამოიყენება:

- საკლასო წერები;
- ზეპირი პრეზენტაციები;
- მინიდისკუსიები და დისკუსიები;
- დებატები;
- ბლიცტესტები;
- ტესტები და ა. შ.

Don't copy

მასწავლებელმა თითოეული აქტივობის შესაფასებლად უნდა შექმნას შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლეებისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი.

კარგი იქნება, თუ ამ რუბრიკების შედგენაში მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას, როგორც საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვით დაინტერესებული პირები.

ურთიერთშეფასების სქემის გამოყენება უფრო ეფექტურია მიმდინარე შეფასების დროს. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი ცოდნა და წინსვლა საერთო საკლასო კონტექსტში, დაგეგმოს, რისი გამოსწორება შეუძლია სასწავლო თემის დასრულებამდე. როგორია მისი ცოდნის მახასიათებლები.

ამასთან, ეძლევა საკუთარი ცოდნისა და უნარების რეალურად განჭვრეტის შესაძლებლობაც.

საკლასო სიტუაციაში ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლეებს არაადეკვატური თვითშეფასება აქვთ. აქ დარღვევა ორი კუთხით შეინიშნება. ესაა დაბალი თვითშეფასება და გადაჭარბებული თვითშეფასება.

ურთიერთშეფასების მექანიზმი კარგი საშუალებაა ამ პრობლემის გადასაჭრელად. მოსწავლე ხედავს და ზომავს საკუთარ შესაძლებლობებსა და მიღწევა/ხარვეზებს, სხვის მაგალითზე ეჩვევა ადეკვატურ შეფასებას, რაც საკუთარი პრობლემის დანახვის, გააზრებისა და აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებაა.

Don't copy

6. შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება დასკვნით ეტაპზე

მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ, ამიტომ სახელმძღვანელო ისეა აგებული, რომ შუალედური დავალებები და აქტივობები ამზადებს მოსწავლეებს შემაჯამებელი დავალებებისათვის.

შუალედურ დავალებებში ხშირად გვხვდება შემდეგი რუბრიკები და აქტივობები:

- გავიაზროთ წაკითხული და ვიმსჯელოთ;
- ლიტერატურული ძიებანი (ლიტერატურული კვლევები და თამაშები);
- ოსტატობის სკოლა;
- ფანტაზიის გაკვეთილები;
- მინიდისკუსია;
- დისკუსია;
- როლური თამაშები;
- სიტუაციური ამოცანები.

მათი დავალებები და შეფასების რუბრიკები ამზადებს თავის ბოლოს მოცემულ კომპლექსურ შემაჯამებელ აქტივობებსა და დავალებებს, როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე თვითმონიტორინგისა და საკუთარი ცოდნის გაზომვის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების კუთხით.

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ, ევალება შემაჯამებელი კომპლექსური დავალების წარმოდგენა.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამოწმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

შემაჯამებელი დავალებების სახით მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კომპლექსური სახის აქტივობები. კომპლექსურ დავალებებს მიეკუთვნება:

- დისკუსია;
- დებატები;
- ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული სალონი;
- პრეზენტაცია, ზეპირი მოხსენება/ზეპირი გამოსვლა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;

Don't copy

- ნაწარმოების ინსცენირება;
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება);
- თხრობითი ტექსტის შედგენა (რეალურ ან/და წარმოსახვით გამოცდილებაზე);
- დამარწმუნებელი ტექსტების შედგენა (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);
- ახსნა-განმარტებითი/საინფორმაციო ტექსტის შედგენა;
- პროექტი/კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/ საკითხზე);
- წერილობითი რეზიუმეს შედგენა (ნაცნობი ტექსტის);
- ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ (ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წინარე ისტორიის აღდგენა, ტექსტის გადაწერა სხვა ჟანრში;
- წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;
- წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან;
- ანოტაციის, რეკომენდაციის შედგენა (მაგ., წიგნის, ფილმის);
- წერილობითი ტექსტების შედგენა თვითგამოხატვის მიზნით (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირადი გამოხმაურება/შთაბეჭდილება);
- ალტერნატიული ფორმის ტექსტების შედგენა თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკიდებულების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე) და მისთ.

აღნიშნული ჩამონათვალი სარეკომენდაციოა და, ბუნებრივია, უნდა გადანაწილდეს, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლის შეხედულების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს დამახასიათებელი სიახლეა შემაჯამებელი დავალებების არჩევითობა და თავისუფალი და სავალდებულო დავალებების შემოტანა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას გამოიყენება: თემის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტები (იხ. ცხრილი);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

ნიმუში. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში. დავალების პირობა:

გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც

ა) წარმოადგენთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;

ბ) მოიყვანთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;

გ) გამოიტანთ დასკვნას/დასკვნებს.

ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური დროა 5 წუთი.

Don't copy

	ქულა	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 – 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 – 1 – 2	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 – 1– 2	
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 – 1– 2	
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 – 1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა. შ.)	0-1	
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა. შ.)	0 – 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 – 1	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)		

არჩევითი, თავისუფალი და სავალდებულო შემაჯამებელი დავალებები

სახელმძღვანელოს დამახასიათებელი სიახლეა შემაჯამებელი დავალებების არჩევითობა.

კონკრეტული თემის შესწავლისას შუალედური შემაჯამებელი მასალა ისეა განაწილებული, რომ ეტაპობრივად ამზადებს თავის ბოლოს მოცემულ შემაჯამებელ დავალებებს.

მაგ. სასწავლო თავის შესავალში მოცემული მინიდისკუსიები საწყისი ეტაპია თემის ბოლოს მოცემული დისკუსიების მოსამზადებლად.

თავის დასაწყისში მოცემული როლური წერა ასევე მოსამზადებელი აქტივობაა პარაგრაფის ბოლოს რუბრიკაში – „ოსტატობის სკოლა“ მოცემული წერითი დავალებებისათვის. საბოლოოდ კი, ყოველივე ეს ამზადებს თავის შემაჯამებელ დავალებებს.

გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომ შემაჯამებელი დავალებები პირდაპირ განმსაზღვრელი ქულით ფასდება, რაც, ბუნებრივია, არასწორია.

შემაჯამებელ სამუშაოს წინ უნდა უძღოდეს პრეტესტის ტიპის შემაჯამებელ-განმავითარებელი აქტივობა, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს, კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი საკუთარ ცოდნასა და უნარებს. განსაზღვროს საკუთარი საჭიროებანი (მეტაკოგნიცია).

მოსწავლეს შემაჯამებელ დავალებათა ფართო სპექტრიდან საშუალება აქვს, თავად აირჩიოს დავალება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შინაგან მოტივაციას და, ამასთან, თუ კლასში სხვადასხვა მოსწავლე განსხვავებული ტიპის დავალებას შეარჩევს, ეს მოსწავლეებს წარმოუდგენს დავალებების შესრულების გზების მრავალფეროვან შესაძლებლობებს.

სახელმძღვანელოს ზოგიერთ თავში გვაქვს სავალდებულო და თავისუფალი შემაჯამებელი დავალებები.

Don't copy

არჩევითი თავისუფალი დავალების შემთხვევაში მოსწავლეები ირჩევენ იმ დავალებებს, რომლებიც მათი წარმოდგენით უფრო დაძლიეს, „უფრო გამოუვიდათ“, ამიტომ ამ ნაწილში ისინი წარმოაჩენენ ძლიერ მხარეებს. ამ ტიპის დავალებებზე დაკვირვება გამოგვადგება მოსწავლეთა მიღწევების, ძლიერი მხარეებისა და წარმატებების გასაანალიზებლად; ხოლო სავალდებულო დავალებებს ისინი საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით ირჩევენ. სახელმძღვანელოში საგანგებოდაა მითითებული: „გაიაზრეთ, რომელი უნარების განვითარება გჭირდებათ, რომელ პრობლემას თვლით უფრო პრიორიტეტულად“, ამდენად სავალდებულო დავალებები ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რა ესახებათ მათ პრობლემატურად და როგორ უნდა დავსახოთ შემდგომი ინტერვენციები.

შეფასების ფორმები

შეფასების პროცესი შეფასების სხვადასხვა ფორმას ემყარება. ეს შეიძლება იყოს:

- პრეზენტაცია;
- წერითი სამუშაო;
- დისკუსიები;
- პროექტი;
- ჩათვლა ან გამოცდა;
- საქაღალდე, ანუ ე. წ. „პორტფოლიო“;
- თვითშეფასება და ურთიერთშეფასება (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) და სხვა.

პრეზენტაცია არის მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების ფორმა, რომელიც ამოწმებს ცოდნას და თხრობის, მსჯელობის, აუდიტორიასთან კონტაქტისა და კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემის უნარს.

წერითი სამუშაო არის მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების ფორმა, რომელიც ამოწმებს ცოდნას, აზროვნებით და წერით უნარ-ჩვევებს საკონტროლოების, დამოუკიდებელი საკლასო სამუშაოების, წერითი საშინაო დავალებების საფუძველზე. წერით სამუშაოს მიეკუთვნება ტესტებიც, თუმცა შეიძლება აქ არაერთგვაროვანი სურათი გვქონდეს. არის **ტესტები,** რომლებიც ერთ სწორ პასუხს ითხოვს (თუნდაც რამდენიმე სავარაუდოდან ერთის შემოხაზვას). ასეთი ტესტები ძირითადად ინფორმაციული ცოდნის შეფასების საშუალებას იძლევა.

დისკუსიების დროს მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩაბმას ისეთი საკითხის განხილვაში, რომელზეც შეიძლება ალტერნატიული თვალსაზრისები იყოს. ეს ქმნის მოსწავლეთა ცოდნისა და როგორც აზროვნებითი, ისე საკომუნიკაციო უნარების შეფასების საშუალებას.

პროექტი არის რომელიმე პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური (შეიძლება წყვილებში) გადაჭრა, რომლითაც ფასდება მოსწავლეების არა მარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები, შემოქმედებითობა და ცხოვრებისეული გამოცდილება.

პროექტის დაგეგმვის დროს უნდა განისაზღვროს პრობლემა (გათვალისწინებული იყოს პრობლემის აქტუალობა), განისაზღვროს მკაფიო და მიღწევადი მიზანი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული, კონკრეტული ამოცანები – ამ მიზნის განხორციელების გზები, თითოეული ამოცანის შესატყვისი კონკრეტული საქმიანობები, გაწერილი დროში (სამუშაო გეგმა) პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით, მოსალოდნელი შედეგები და რესურსები, რომლებიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად.

Don't copy

პროექტი შეიძლება შესრულდეს ერთი საგნის ფარგლებში და ინტეგრირებულად (რამდენიმე საგნის ფარგლებში). პროექტი შეიძლება იყოს კვლევითი, გამოყენებითი და შემოქმედებითი.

საქაღალდე ანუ ე. წ. „პორტფოლიო“ – შეფასების უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი ფორმაა. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს შეფასების მიზანს. მასწავლებელი და მოსწავლე წინასწარ თანხმდებიან იმ მასალებზე, რომლებიც დაადასტურებს, რომ მოსწავლემ დააკმაყოფილა მოთხოვნები და მიაღწია სასწავლო შედეგს. მოსწავლე ხსნის საკუთარ საქაღალდეს, რომელშიც იდება შეფასებისას გამოსაყენებელი ნამუშევრები. შეფასების პერიოდის დასრულებისათვის მოსწავლე წერს ესეს, რომელშიც აღწერს, თუ რა ისწავლა შეფასების პროცესში და რატომ შეარჩია საქაღალდისათვის მაინცდამაინც წარმოდგენილი მასალა. საქაღალდით მოსწავლის შეფასება საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ მის ინდივიდუალურ პროგრესს, შევადაროთ სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს, ვნახოთ, როგორ გაითვალისწინა მან ჩვენი კომენტარები და რჩევები, რომლებსაც დროდადრო ვაძლევდით.

თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ გაკვეთილის საწყის ეტაპზე, თუმცა დამატებით შევეხებით დეტალებსა და ნიუანსობრივ მოდიფიკაციებს, რომლებსაც მასწავლებლები გაკვეთილის დასკვნით ეტაპზე იყენებენ.

თვითშფასების სტრატეგიებიდან შემაჯამებელ ეტაპზე გავრცელებულია:

სწორ პასუხებთან მოსწავლეების პასუხების შედარება. მოსწავლეები ამ შედარების გზით თავად აღმოაჩენენ საკუთარ ხარვეზებს და შემდეგ აანალიზებენ, რატომ დაუშვეს ეს შეცდომები, რის ცოდნა დააკლდათ, რა ვერ გაითვალისწინეს, იქნებ კონცენტრაცია ვერ მოახერხეს საკითხთან დაკავშირებით, ან მართებული გზა არ აირჩიეს და სხვა. თვითშეფასების პროცესში მნიშვნელოვანი სწორედ საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის პროცესია. ეს აღმოაჩენინებს მოსწავლეს თავის სუსტ მხარეებს, რომელთა დასაძლევადაც უნდა მიმართოს ძალისხმევა.

- შედეგიანია თვითშეფასების ისეთი ხერხი, როცა მოსწავლე წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით აფასებს ნაშრომს...
- ურთიერთშეფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, თუ მოსწავლეებს აქვთ წინასწარ შემუშავებული შეფასების მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.
- თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის თვითშეფასების უნარს და მის ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

შეფასების სამი ტიპი

იმის მიხედვით, რას ადარებენ შესაფასებელ საგანს/ობიექტს, განასხვავებენ შეფასების სამ ტიპს:

- ნორმაზე ორიენტირებულს;
- კრიტერიუმზე ორიენტირებულს;
- პიროვნებაზე ორიენტირებულს.

თუ ხდება ცალკეული მოსწავლეების მოსწრების შედარება, ან მოსწავლის მოსწრებისა დადგენილ ნორმასთან (ნორმა განისაზღვრება რომელიმე ჯგუფის მოსწრებით), მაშინ ეს არის **ნორმაზე ორიენტირებული შეფასება**. მაგალითად, დათო წელს მეხუთეა მოსწრებით კლასში; დალის 120 ქულიდან აქვს 62 ქულა.

Don't copy

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ ეს **კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასებაა**, რომელიც ადგენს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ კრიტერიუმებით განსაზღვრულ დონეს ან რამდენმა მოსწავლემ მიაღწია ამას კლასში. მაგალითად, კლასში ყველას შეუძლია წაკითხული ტექსტის ანალიზი და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ მის წარსულ მოსწრებას, ეს არის **პიროვნებაზე ორიენტირებული** შეფასება. ამ შეფასებით ადვილად დგინდება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი. მაგალითად, ქეთის მეორე სემესტრში წერითი დავალებების კომპონენტში ორი ქულით მეტი აქვს, წინა სემესტრთან შედარებით; წერით დავალებებში გიორგი აღარ უშვებს უხეშ სინტაქსურ შეცდომებს.

ცხადია, ისმება კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელი გამოვიყენოთ? პასუხი ყველასათვის ნათელია, პედაგოგიურ პრაქტიკაში სამივე გამოიყენება. თითოეულის გამოყენებას განსაზღვრავს შეფასების მიზანი.

მოსწავლეების მიღწევების წარმოჩენა ხდება მიღწევებისთვის ქულების მინიჭების სქემის გამოყენებით. ქულების გამოანგარიშების გზამკვლევს, რომელიც გამოიყენება შეფასებისას, ეწოდება რუბრიკა.

საზოგადოდ, თითოეული რუბრიკა მოიცავს კრიტერიუმების ნაკრებს, მათში მითითებული მოქმედებების შესრულების დონეებს და ამ დონეებთან ასოცირებულ ქულებს ან ნიშნებს. ამდენად, კლასიფიცირების სკალაზე მიღწევების სხვადასხვა დონის აღწერის მეშვეობით რუბრიკები გვეხმარება, განვსაზღვროთ მოსწავლეთა ოსტატობა და იგი შესაბამისი ქულის საშუალებით წარმოვადგინოთ.

მიუხედავად იმისა, რუბრიკა განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენება თუ განმსაზღვრელისთვის, იგი აგებული უნდა იყოს ისე, რომ მოსწავლემ ამ რუბრიკით იხელმძღვანელოს და გაარკვიოს, რას მოითხოვენ მისგან და რას ნიშნავს დავალების შესრულება ამა თუ იმ დონეზე. ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად, რუბრიკა შემაჯამებელი დავალების შესრულების დაწყებამდე მოსწავლეს წინასწარ უნდა წარედგინოს. ამასთანავე, მოსწავლეებისთვის წარსადგენი რუბრიკის ვერსია არ უნდა კარნახობდეს მოსწავლეს დავალების შესრულების გზებსა თუ სავარაუდო პასუხებს.

რუბრიკა აგებული უნდა იყოს ისე, რომ მასწავლებელმა:

- გაარკვიოს, როგორია მოსწავლის მიღწევები სტანდარტებთან მიმართებაში;
- გამოიყენოს იგი უკუკავშირის ფორმულირებისთვის, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში – ნიშნის დაწერისთვისაც;
- შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონეების მკაფიოდ გამიჯვნისთვის რუბრიკაში საჭიროა ზედმიწევნით დეტალიზებული ფორმულირებები.

შესაძლებელია, საჭირო გახდეს რუბრიკის ორი ვერსიის დამზადება:

- მასწავლებლის სამუშაო ვერსია, რომელშიც დეტალურად გაიწერება, მოსწავლის ნამუშევარში რომელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ოსტატობის (ან შესაბამისად, ქულების) რა დონე მიენიჭება მას. რუბრიკის ეს ვერსია არ იქნება საჯარო;
- მოსწავლეებისთვის წარსადგენი ვერსია იქნება, შესაფერისად, შეკვეცილი სახით, თუმცა მოსწავლეთა დასაკვალიანებლად მათი კომპეტენციებისადმი წაყენებული მოთხოვნების თვალსაზრისით – საკმაოდ ინფორმაციული.

Don't copy

ანგარიშგასაწევია რამდენიმე რეკომენდაცია:

- თუ მოსწავლეებისთვის ქულების მინიჭებას ვაპირებთ, უმჯობესია, ქულები ყოველი კრიტერიუმის თითოეულ დონეს ცალ-ცალკე მივუწეროთ – ეს გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას ქულების მინიჭებასთან დაკავშირებით.
- შესაძლებელია, სხვადასხვა კრიტერიუმს სხვადასხვა წონა მივანიჭოთ – ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ კრიტერიუმის მნიშვნელობაზე შესასრულებელ დავალებასთან მიმართებით.

რუბრიკის ვარგისიანობის შეფასება მოიცავს ობიექტური პასუხების გაცემას შემდეგ შეკითხვებზე:

- რამდენად ზუსტად და სრულად აფასებს რუბრიკა დავალების შესრულების შედეგად მოსწავლეთა მიერ გამოვლენილ კომპეტენციებს?
- შესაძლებელია თუ არა მოცემული რუბრიკის საშუალებით მოსწავლეებისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება?
- არის თუ არა რუბრიკა ადვილი გამოსაყენებელი?
- არის თუ არა რუბრიკა მომხმარებლისთვის ადვილად აღქმადი?
- არის თუ არა რუბრიკა საკმარისად ლაკონური, ცხადი და მოსწავლეებისთვის ასაკობრივად შესაფერისი?
- გვეხმარება თუ არა რუბრიკა დასახული მიზნების მიღწევაში?

რუბრიკების მიმართ მოთხოვნები ასეთია:

1. რუბრიკაში კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს მიზნებსა და დავალებას;
2. კრიტერიუმები ფორმულირებული უნდა იყოს მოსწავლის დაკვირვებადი ქცევის ან მის მიერ შექმნილი პროდუქტის მახასიათებლების ენაზე;
3. რუბრიკები დაწერილი უნდა იყოს მარტივ, მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზე;
4. რუბრიკის მიხედვით მისანიჭებელი ქულები გონივრულად უნდა იყოს შერჩეული;
5. სხვადასხვა ქულების მინიჭების წესი სრულიად ცალსახა და ცხადი უნდა იყოს;
6. ორმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა რუბრიკის გამოყენების შედეგად ერთი მოსწავლის ნამუშევრისთვის ერთისა და იმავე ქულების მინიჭება უნდა შეძლოს;
7. ერთმა და იმავე შემფასებელმა სხვადასხვა დროს რუბრიკის გამოყენების შედეგად ერთი და იგივე ქულების მინიჭება უნდა შეძლოს;
8. ქულების მინიჭებაში დახმარების მიზნით შემფასებელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს შესრულებული დავალების ნიმუშზე;
9. შეფასების შედეგები ადვილად გამოყენებადი უნდა იყოს სწავლებისა და შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

მოსწავლის ჩართულობა შეფასების პროცესში. – რეფლექსია, თვითშეფასება და მეტაკოგნიცია.

რეფლექსია

1. გულისხმობს, რომ ის, ვინც ასრულებს რეფლექსიის აქტს (ანუ რეფლექსიის სუბიექტი), რაღაცას უბრუნდება, ესე იგი, უბრუნდება უკვე გარკვეული სახით აღქმულ (ან იქნებ განცდილ) ფენომენს იმისთვის, რომ მოახდინოს მასზე ყურადღების კონცენტრაცია და, შესაბამისად, აქციოს ის რეფლექსიის ობიექტად (ანუ იმად, რაზედაც ან რასთან დაკავშირებითაც ხორციელდება რეფლექსიის აქტი). (ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, რედ. მ. ღაღანიძე)
2. ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება.

Don't copy

წყარო: სადამრიგებლო საათის პროგრამა მოსწავლეთათვის (დამრიგებლის წიგნი): საუბრები მოსწავლეებთან პიროვნების მორალურ განვითარებაზე, გარემოსდაცვით კულტურასა და ცხოვრების ჯანსაღ წესზე, მოქალაქეობრივ, პატრიოტულ ცნობიერებასა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ ღირებულებებზე / ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი [ნინო ლაბარტყავა, ნინო ლორთქიფანიძე; პ/მგ რედ. ნინო ლაბარტყავა]. – თბ., 2010.

„რეფლექსია" („რეფლექსირება") ნიშნავს საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზს. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი განახორციელებს რეფლექსიას: ის ხელს უწყობს მოსწავლეებს, თავიდან გაიაზრონ და შეაფასონ გაკვეთილზე გავლილი გზა. მოდით, თავიდან გავიაზროთ ყველაფერი, რაც დღეს გავაკეთეთ. რით დავიწყეთ ჩვენი დღევანდელი მეცადინეობა?

ამის შემდეგ მასწავლებელი სათითაოდ განიხილავს გაკვეთილის ეტაპებს და ხელს უწყობს მოსწავლეებს თვითრეფლექსიის განხორციელებაში.

მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია სწავლის სწავლისთვის, რადგან მასში იგულისხმება ადამიანის მიერ საკუთარი აზროვნების **დაგეგმვა, შეფასება და მუდმივი მონიტორინგი** და „აზროვნების შესახებ აზროვნება თვითრეგულაციის განვითარების მიზნით" (Flavel, 1979). [2]

ეს ჰგავს საკუთარი აზროვნების შესწავლას, მიუხედავად იმისა, რომ მეტაკოგნიცია ხშირად აღიარებულია, როგორც „მაღალი დონის აზროვნება", მეტაკოგნიციური უნარ-ჩვევების განვითარების მცდელობა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს როგორც უფროსკლასელებთან, ისე უმცროსკლასელებთანაც.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში?

შესაფერისი ხერხები და მეთოდები აღწერილია ნაშრომში „აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ" (http://mastsavlebeli. ge/?p=2237):

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომა მოიცავს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას თავიანთი სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში. მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა იმაზე, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მისი წარმატების საწინდარია.

6. 5 თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები. მეტაკოგნიციის ბიძგის მიმცემი აქტივობები

როგორც ვხედავთ, სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მეტაკოგნიცია. მოსწავლე უკეთესად სწავლობს, როდესაც თავად ღებულობს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და და საკუთარი აკადემიური შედეგების მონიტორინგში.

თვითრეგულაცია ნიშნავს, რომ მოსწავლეს შეუძლია, სათანადო ინსტრუმენტების მეშვეობიოთ (თვითშეფასების სქემები) განსაზღვროს მიღწეული შედეგები და, აქედან გამომდინარე, მასწავლებელთან ერთად ან დამოუკიდებლად დაგეგმოს სამომავლო სასწავლო მიზნები.

თვითშეფასება – მოსწავლეები განსაზღვრავენ, მიღწეულ დონეებს, ასევე, გაიაზრებენ სწავლის სტრატეგიების ეფექტურობას.

[2] როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო).

Don't copy

სასწავლო პროცესის ანალიზის დროს, სასურველია, ხშირად გამოვიყენოთ მეტაკოგნიციის ბიძგის მიმცემი კითხვები:

მეტაკოგნიციის ბიძგის მიმცემი კითხვები

1. რამდენად ხართ ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, რა გადაწყვიტილებები მიიღეთ პირველი მეტაკოგნიტური პაუზის დროს (ანუ სწავლის სტრატეგიების გააზრება);
2. რა იყო სწავლის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორები, რა დაგეხმარათ სირთულის დაძლევაში და რამდენად ეფექტურად შეგიძლიათ, დაძლიოთ ანალოგიური პრობლემები სამომავლოდ;
3. რა იყო ხელისშემწყობი ფაქტორები და როგორ უნდა გააძლიეროთ ისინი სამომავლოდ;
4. რას შეცვლიდით სწავლის პროცესში, იმავე სამუშაოს თავიდან რომ გეგმავდეთ;
5. სამი მთავარი რჩევა სწავლის პროცესზე, რომლებიც შეგიძლიათ საკუთარ თავსა და თანატოლებს მისცეთ;
6. რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ სწავლის პროცესში? როგორ უნდა შეზღუდოთ უარყოფითი და გააძლიეროთ დადებითი ფაქტორები? როგორ აქციოთ სწავლა საინტერესო და სასიამოვნო პროცესად?

ხშირად გამეორებული ამგვარი კითხვები მოსწავლეს განაწყობს, იგივე კითხვები დაუსვას საკუთარ თავს, რაც მეტაკოგნიციის პროცესს უწყობს ხელს.

შესაძლოა, ამ კითხვებისგან ერთგვარი თვითშეფასების კითხვარიც კი შევქმნათ. ამისათვის, მხოლოდ ზმნების პირველ პირში გადაყვანა დაგვჭირდება.

მეტაკოგნიციის ბიძგის მიმცემი კითხვები (თვითშეფასების კითხავარი)

1. რამდენად ვიყავი ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, რა გადაწყვიტილებები მივიღე პირველი მეტაკოგნიტური პაუზის დროს (ანუ სწავლის სტრატეგიების გააზრება)?
2. რა იყო სწავლის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორები, რა დამეხმარა სირთულის დაძლევაში და რამდენად ეფექტურად შემიძლია დავძლიო ანალოგიური პრობლემები სამომავლოდ?
3. რა იყო ხელისშემწყობი ფაქტორები და როგორ გავაძლიერო ისინი სამომავლოდ?
4. რას შევცვლიდი სწავლის პროცესში, იმავე სამუშაოს თავიდან რომ ვგეგმავდე?
5. სამი მთავარი რჩევა სწავლის პროცესზე, რომლებიც შემიძლია საკუთარ თავსა და თანატოლებს მივცე?
6. რა მომწონს და რა არ მომწონს სწავლის პროცესში; როგორ შევზღუდო უარყოფითი და გავაძლიერო დადებითი ფაქტორები; როგორ ვაქციო სწავლა საინტერესო და სასიამოვნო პროცესად?

კარგია, თუ მოსწავლეებს შევაჩვევთ თვითრეფლექსიასა და თვითრეგულაციას, ამაში კი ხელს შეგვიწყობს თვითშეფასების სქემების სისტემატიური გამოყენება.

გთავაზობთ თვითშეფასების კითხვარის რამდენიმე ვარიანტს, რომლებიც სხვადასხვა მიზნით გამოიყენება:

Don't copy

სქემა 1

თვითშეფასების სქემა – დაკვირვება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე

დაკვირვება სწავლის პროცესზე	**ყოველთვის**	**უმეტესად**	**ზოგადად**	**იშვიათად**	**არასდროს**
მასწავლებელთან ერთად ვმონაწილეობ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში;					
სწავლის პროცესის დაწყებამდე ვიყენებ „მეტაკოგნიტურ პაუზას“, რომლის დროსაც გავიაზრებ სასწავლი მასალის მოცულობას, ვგეგმავ – როგორ ვისწავლო, რომელი სტრატეგიები გამოვიყენო სასწავლო პროცესში;					
სწავლების გარკვეულ ეტაპზე ვამოწმებ სწავლის პროცესს, ვაკვირდები საწყის შედეგს, რამდენად ვართმევ თავს დასახულ მიზნებს, რამდენად ეფექტურად ვიყენებ სწავლების სტრატეგიებს, რამდენად გავდივარ შედეგზე;					
საჭიროების შემთხვევაში, ვცვლი გეგმას, ვიღებ პედაგოგისა და მეგობრების რჩევებს;					
ვადარებ დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს, ვაფასებ ჩემს მიღწევებს, გავიაზრებ ხარვეზებს;					
ვგეგმავ, როგორ გავაძლიერო მიღწეევები და როგორ აღმოვფხვრა ხარვეზები, ხელახლა ვიწყებ სწავლის მომდევნო ეტაპის დაგეგმვას.					

ამ პროცესში მასწავლებელი, სასურველია, მოსწავლეს მხარს უჭერდეს მეტაკოგნიციისთვის ბიძგის მიმცემი შემდეგი შეკითხვებით:

- რა დაგეგმე თავიდან?
- რას აკეთებ ახლა და რაში დაგეხმარება ეს?
- რაიმეს ხომ არ შეცვლიდი?
- როგორ გაიადვილებ მოცემული მიზნის მიღწევას. უფრო მარტივი გზა ხომ არ არსებობს კონკრეტული მიზნისკენ?
- დავალების შესრულების დროს მიღებული უნარ-ჩვევებიდან რომელი გამოგადგება სამომავლოდ?
- რას ურჩევდი სხვებს იმავე დავალებას თავიდან რომ გეგმავდნენ?

Don't copy

შესაძლოა გარკვეული მეტაკოგნიტური ექსპერიმენტებიც, მაგ. ერთ დავალებას სხვადასხვა მოსწავლე, ან მოსწავლეთა ჯგუფი სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით გეგმავს და ახორციელებს. პარალელურად მოსწავლეები აკვირდებიან სწავლის პროცესს და აწარმოებენ სწავლის პროცესზე თვითდაკვირვების დღიურს.

მაგალითად ასეთს:

თავდაპირველად მეტაკოგნიტური პაუზის დროს დაიგეგმა	**I ეტაპი (მეტაკოგნიტური პაუზა)**	**II (მეტაკოგნიტური პაუზა)**	**III (საბოლოო შედეგები)**	**დასკვნა**
დაიგეგმა... (პირველი გეგმა ემყარება სწავლების ერთ სტრატეგიას)	1. წარმატებები გვაქვს... 2. სირთულეებია... 3. ვგეგმავთ...	1. წარმატებები გვაქვს... 2. სირთულეებია... 3. ვგეგმავთ...	1. დაიგეგმა... 2. მივაღწიეთ... 3. ვგეგმავთ...	
დაიგეგმა... (მეორე გეგმა ემყარება სწავლების მეორე სტრატეგიას)	1. წარმატებები გვაქვს... 2. სირთულეებია... 3. ვგეგმავთ...	1. წარმატებები გვაქვს... 2. სირთულეებია... 3. ვგეგმავთ...	1. დაიგეგმა 2. მივაღწიეთ... 3. შესასრულებელი დარჩა	

გარკვეული თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეები კლასში ადარებენ სწავლების ამ ორ სტრატეგიას. მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ გამოყენებული სტრატეგიების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

მაგალითისათვის განვიხილოთ ორი შემთხვევა:

ა) დიდი მოცულობის მასალას ერთი ჯგუფი შედარებით მომცრო მონაკვეთებად ყოფს და ეტაპობრივად ამუშავებს,

ბ) მეორე ჯგუფი კი, ამ მასალის საფუძველზე, ჯერ ერთ პრობლემას /საკითხს ამუშავებს, შემდეგ – მეორეს, მესამეს და ა. შ. მაგ., „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით:

- პერსონაჟების დახასიათება;
- რეალური, ისტორიული ამბები ტექსტში;
- ცალკეული თემები, მაგ.: სიყვარული, მეგობრობა, მამაშვილობა მოცემული მონაკვეთის მიხედვით;
- ეპიზოდის ენობრივი თავისებურებანი;
- ეპიზოდის მთავარი სათქმელი

და ა. შ.

ამგვარად მოსწავლე:

ა) I სტრატეგიის მიხედვით, დიდ ტექსტს მცირე ულუფებად ყოფს და დაისწავლის;

ბ) II სტრატეგიის თანახმად, ერთ ტექსტს მოსწავლე 5-ჯერ უბრუნდება ხუთი სხვადასხვა სასწავლო მიზნით. ტექსტსაც უფრო დაწვრილებით ეცნობა და მრავალფეროვანი ხედვაც უვითარდება.

ბოლოს, მოსწავლე ადარებს ამ ორ სტრატეგიას და გამოკვეთს, რომელი მათგანის გამოყენება როგორ სიტუაციაშია უფრო ოპტიმალური.

Don't copy

დამატებით გთავაზობთ თვითშეფასების ორიოდ სქემას წერითი და ზეპირი დავალებებისათვის

თვითშეფასების სქემა N1 წერითი დავალებებისათვის

კრიტერიუმი	**სისტემატურად 10-9**	**ხშირად 8-7**	**ზომიერად 6-5**	**იშვიათად 4-3**	**ძალიან იშვიათად 2-1**
შემიძლია წერითი დავალებების პირობის სწორად გაგება. ვფლობ და ვიყენებ წერის მრავალფეროვან სტრატეგიებს.					
შემიძლია წერითი დავალების ტექსტის ფორმატისა და ჟანრის ამოცნობა, მსგავსი ფორმატის ტექსტების ანალოგიით ნაშრომის გეგმის შედგენა და დამოუკიდებლად ამ ჟანრის ტექსტის შექმნა;					
შემიძლია ტექსტობრივი მასალის სწორად გაანალიზება და, მოთხოვნის შესაბამისად, დამოუკიდებლად ტექსტის შექმნა; ასევე, მოცემულ პრობლემასთან კლასგარეშე საკითხავი მასალის დაკავშირება და გააზრება;					
ნაშრომის მიხედვით შემიძლია პირველადი თვითრეფლექსია (თავდაპირველი შეფასება), ჩემი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა, შემდგომი სრულყოფა, რედაქტირება;					
წერის დროს ენობრივ-გრამატიკული ნორმებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ადეკვატური გამოყენება.					

Don't copy

თვითშფასების სქემა N2 ზეპირი დავალებებისათვის

კრიტერიუმი	**სისტემატურად 10-9**	**ხშირად 8-7**	**ზომიერად 6-5**	**იშვიათად 4-3**	**ძალიან იშვიათად 2-1**
შემიძლია ზეპირი დავალებების პირობის ადეკვატურად გაგება. ვიყენებ ზეპირმეტყველების სტრატეგიებს.					
ვფლობ და ადეკვატურად ვიყენებ ზეპირმეტყველების სტრატეგიებს					
შემიძლია ტექსტობრივი მასალის სწორად გაანალიზება და, მოთხოვნის შესაბამისად, ზეპირი გამოსვლის ტექსტის შექმნა; ასევე, მოცემულ პრობლემასთან კლასგარეშე საკითხავი მასალის დაკავშირება და დამოწმება;					
შემიძლია ზეპირმეტყველების გაკვეთილისათის ზეპირი გამოსვლის ტექსტების დაგეგმვა-გაზიარება, თანაკ-ლასელებთან ერთად მუშაობა ტექსტის სრულყოფაზე და საბოლოო სახით წარმოდგენა; ასევე შემიძლია პირველადი თვითრეფლექსია (თავდაპირ-ველი შეფასება), ჩემი ნამუ-შევრის ძლიერი და სუსტი მხა-რეების ამოცნობა, შემდგომი სრულყოფა, რედაქტირება;					
ზეპირი გამოსვლის დროს ვიცავ ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს, ადეკვატურად ვიყენებ მხატვრულ-გამომსახველობიი საშუალებებს.					

Don't copy

თვითშეფასების კითხვარების ეფექტური გამოყენებისას მოსწავლე ეჩვევა თვითრეფ-ლექსიას, რაც თვითრეგულაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კერძოდ, მოსწავლეები აკვირდებიან: რა სირთულეები დაძლიეს წარმატებით, რა აქვთ ხელახლა დასამუშავებელი, რომელი უნარები განუვითარდათ და რას უნდა მიაქციონ ყურად-ღება. თვითშეფასება საშუალებას აძლევს მათ, თვალი ადევნონ საკუთარ განვითარებასა და

პროგრესს. საკუთარი აზროვნების გაცნობიერებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასებაც.

როგორც ვიცით, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ მოსწავლეს გადაჭარბებული, ანდა პირიქით, დაბალი თვითშეფასება აქვს, ამიტომაც პერიოდულად თვითშეფასების სქემები უნდა გადაკეთდეს და ჩანაცვლდეს ურთიერთშეფასების სქემებით.

გთავაზობთ ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება თვითშფასების სქემა მარტივად ვაქციოთ ურთიერთშეფასების სქემად. ამისათვის ზმნის I პირის ფორმა უნდა გადაკეთდეს III პირის ფორმებად, მაგ. ასე:

ურთიერთშეფასების სქემა N1 წერითი დავალებებისათვის

კრიტერიუმი	**სისტემატურად 10-9**	**ხშირად 8-7**	**ზომიერად 6-5**	**იშვიათად 4-3**	**ძალიან იშვიათად 2-1**
შეუძლია წერითი დავალებების პირობის სწორად გაგება. ფლობს და იყენებს წერის სტრატეგიებს (ნაშრომის გეგმის შედგენა, შავი ვარიანტის შექმნა, რედაქტირება, საბოლოო ვარიანტის შექმნა)					
შეუძლია წერითი დავალების ტექსტის ფორმატისა და ჟანრის ამოცნობა, მსგავსი ფორმატის ტექსტების ანალოგიით ნაშრომის გეგმის შედგენა და დამოუკიდებლად ამ ჟანრის ტექსტის შექმნა;					
შეუძლია ტექსტობრივი მასალის სწორად გაანალიზება და, მოთხოვნის შესაბამისად, დამოუკიდებლად ტექსტის შექმნა; ასევე, მოცემულ პრობლემასთან კლასგარეშე საკითხავი მასალის დაკავშირება და გააზრება;					
ნაშრომის მიხედვით შეუძლია პირველადი თვითრეფლექსია (თავდაპირველი შეფასება), საკუთარი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა, ტექსტის შემდგომი სრულყოფა, რედაქტირება;					
წერის დროს იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს. ადეკვატურად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს.					

Don't copy

ამ მაგალითის ანალოგიით შესაძლებელია თვითშეფასების N2 (ზეპირმეტყველების) სქემის ურთიერთშეფასების სქემად გადაკეთება.

სასწავლო პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლისა და მოსწავლის დიალოგს. მასწავლებელმა და მოსწავლეებმა, ცოდნის შემოწმებისა და სააზროვნო პროცესების მართვის მიზნით, საკუთარ თავს და ერთმანეთს დაუსვან შემდეგი სახის შეკითხვები: რა იციან განსახილველი ან/და შესასწავლი საკითხის შესახებ? რა შეიძლება, რომ არ იცოდნენ? რა აინტერესებთ? რა უნდათ, რომ იცოდნენ? რა ისწავლეს? რა ვერ გაიგეს? რაში დასჭირდებათ დახმარება? და ა. შ.

ამისათვის მრავალგვარი სტრატეგიის გამოყენება შეიძლება, მაგალითისათვის დავასახელებთ სქემას:

რა ვიცოდი?	**რა გავიგე?**	**რის გაგება მსურს?**

ანდა, სტრატეგია 3; 2; 1

ამ სტრატეგიას თვითშეფასების სქემებში ხშირად ნაირგვარი ინტერპრეტაციით იყენებენ. მაგ.:

- 3 რამ, რაც ყველაზე უკეთ გავიგე, 2 რამ, რის შესახებაც მეტი ინფორმაციის მიღება მსურს; 1 რამ, რაც ჩემთვის მაინც ბუნდოვანი დარჩა...
- 3 რამ, რაც ამ საკითხის ირგვლივ ვიცოდი; 2 რამ, რაც დღევანდელ გაკვეთილზე შევიტყვე; 1 რამ, რასაც სხვაგვარად ავხსნიდი;
- 3 რამ, რაზეც საუბარი თავისუფლად შემიძლია, 2 რამ, რის შესახებაც დამატებით კითხვებს დავსვამდი; 1 რამ, რაც ბოლომდე გაუგებარი დარჩა...

როგორც ვხედავთ, სტრატეგია 3, 2, 1 ნაირგვარი მოდიფიცირების საშუალებას იძლევა და შესაძლოა, ფართოდ გამოვიყენოთ თვითშეფასების დროს.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა ზემოთ მოცემული რეკომენდაციებისა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეთა ემოციური მხადაჭერა. რაც გულისხმობს საკლასო სივრცეში თავისუფალი ფსიქოემოციური გარემოს, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნას, თვითრწმენის განმტკიცებას და ა. შ. ეს ყველაფერი კი მთლიანობაში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას იმისათვის, რომ უფრო ხალისით ჩაერთონ საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში.

6. 6. რა არის სოლოტაქსონომია?

ზოგადად ტაქსონომია აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ.

ტაქსონომიით ცოდნის დონის გაზომვა ჯერ კიდევ ბენჯამენ ბლუმმა სცადა, მოგვიანებით კი ბევრი ისეთი ტაქსონომია შეიქმნა, რომლებიც სხვადასხვა კუთხით მიღწევების გაზომვასა და მონიტორინგს ისახავდა მიზნად.

„ბლუმის ტაქსონომია“ სასარგებლოა იმ მხრივ, რომ მან გააფართოვა სწავლის მნიშვნელობა უბრალო დამახსოვრებიდან მოვლენის ანალიზამდე და შეფასებამდე. ეს ექვსსაფეხურიანი პირამიდა წარმატებით გამოიყენება დღემდე გაკვეთილების დაგეგმვის დროს, შეკითხვების დასმის პროცესში. სოლოტაქსონომია მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებაში.

Don't copy

7. სოლოტაქსონომია

სოლოტაქსონომია მოიცავს ხუთ დონეს:

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს.

ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე. წ. *სოლოტაქსონომია* (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია – ინგლ. შეადრ. SOLO (Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. *სოლოტაქსონომია* ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

SOLO-1: პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/ და საერთოდ აცდენილია საკითხს.
SOLO-2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.
SOLO-3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.
SOLO-4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია, გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/ შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზ-შედეგობრიობის კუთხით.
SOLO-5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება, მოცემულის/შეთავაზებულის გარდა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოითხოვს სამიზნე ცნებებით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამოწმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

სოლოტაქსონომიის რეალური უპირატესობები

- ეს უპირატესობები ეხება არა მხოლოდ საგნების სწავლებასა და ქულას, არამედ მოიცავს შეფასების პროცესის თავისებურებებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ ასწავლიან მასწავლებლები, რათა მოსწავლეებს დაეხმარონ უფრო რთული კოგნიტური განვითარების პროცესში;

Don't copy

- როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეები ხშირად გადადიან უფრო ღრმა კონსტრუქციებზე და ეს ხდება სოლოტაქსონომიის დონეზე;
- დონეების ინტერპრეტაცია შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის შესაბამისად. ექვსი წლის მოსწავლესაც კი შეიძლება ვასწავლოთ ზოგადი პრინციპები და ჰიპოთეზების წამოყენება, თუმცა განსხვავებული აბსტრაქციისა და დეტალების განსხვავებულ დონეზე. სოლო მეთოდის გამოყენებით ამგვარი აბსტრაქციების შესაფასებლად გაცილებით მარტივია შეფასების კრიტერიუმების შექმნა.
- ბლუმის ტაქსონომიასთან დაკავშირებული ზოგიერთი გამოცდილებისგან განსხვავებით, სოლო დონის იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია შედარებით ადვილია.

სოლოტაქსონომიის მახასიათებლები, უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ მას ბლუმის ტაქსონომიასთან მიმართებაში განვიხილავთ.

ბლუმისა და სოლოტაქსონომიის შედარება

გთავაზობთ ამონარიდებს თინათინ ზარდიაშვილის სტატიიდან „ბლუმის ტაქსონომიიდან სოლოტაქსონომიამდე“, რაც უფრო გასაგებს გახდის სოლოტაქსონომიის თავისებურებებს.

ბლუმის ტაქსონომია	**სოლოტაქსონომია**
დასმული კითხვა და პასუხი ერთი დონის შესაბამისია;	კითხვა და პასუხი შესაძლებელია სხვადასხვა დონეს შეესაბამებოდეს;
ცოდნა გამიჯნულია ინტელექტუალური პროცესისგან;	სოლო ტაქსონომია დაფუძნებულია გაგების პროცესზე;
მოსწავლე თანდათან მიიწევს პირამიდის მწვერვალისკენ;	მოსწავლე შესაძლებელია სხვა საფეხურზე გადავიდეს ქვედა საფეხურების გამოტოვებით;
ეს არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა მარტივიდან რთულისკენ, მათი ემოციური, ფსიქომოტორული და შემეცნებითი მიმართულებით.	ეს არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა სწავლის პროცესში მარტივიდან რთულისკენ.



Don't copy

თუ ბლუმის ტაქსონომიის ცოდნის დონეებსა და სოლოტაქსონომიის აღქმის დონეებს შორის შესაბამისობის მოძებნას შევეცდებით, მივიღებთ ქვემოთ მოცემულ სქემას.



<u>თუ სოლოტაქსონომიას დავაკავშირებთ შეფასებასთან, დონეები ასე გამოიყურება:</u>

პრესტრუქტურული დონე – „არადამაკმაყოფილებელი“;

უნისტრუქტურული დონე – „მცირედ“ დამაკმაყოფილებელი;

მულტისტრუქტურული დონე – „ზომიერად“ დამაკმაყოფილებელი;

მიმართებითი დონე – „ძალიან“ დამაკმაყოფილებელი;

გაფართოებული აბსტრაქტული დონე – ყველაზე სასურველი.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

ქვემოთ მოცემული შეფასების რუბრიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც მოსწავლის მიღწევების აღსაწერად, სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ისე განმავითარებელი კომენტარისთვის.

ეს არის მასწავლებლის სამუშაო ფურცელი, რომლის საფუძველზეც ის ჩამოაყალიბებს კომენტარს სამიზნე ცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების ფარგლებში. ეს კომენტარები მასწავლებელმა სხვადასხვა სამიზნე ცნებასთან მიმართებით სწავლა-სწავლების პროცესში პერმანენტულად უნდა აკეთოს, თვის ბოლოს კი ეს კომენტარები უდნა ასახოს ექსელის ცხრილში.

<u>განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აღწერილობა:</u>

ცხრილის პირველ ჰორიზონტალურ, სატიტულო უჯრაში მოცემული ინფორმაცია ხაზს უსვამს იმას, რომ:

- ამ ფორმით ფასდება **ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად;**
- მოსწავლეები ფასდებიან **გრძელვადიან მიზნებთან,** ანუ **საგნობრივ სამიზნე ცნებებთან** მიმართებით;
- საგნობრივ ცნებაზე მუშაობა ხდება **კონკრეტულ (და არა ზოგად) საგნობრივ საკითხზე** დაყრდნობით;
- საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლის ცოდნის შემოწმება ხდება **კომპლექსური დავალების საშუალებით.**

ნაცრისფერ ჰორიზონტალურ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნებები (აქ მოიაზრება იმდენი ვერტიკალური სვეტი, რამდენი სამიზნე ცნებაცაა კონკრეტულ საგანში), ხოლო ნაცრისფერ ვერტიკალურ სვეტში მოცემულია ამ სამიზნე ცნებების გააზრების დონეები (სოლოტაქსონომიის მიხედვით). ნაცრისფერ სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა, ხოლო ცნებისა და დონის კვეთაზე ეს აღწერილობები დაკონკრეტდება ქვემოთ მოცემული მაგალითების შესაბამისად.

Don't copy

მოსწავლის სახელი, გვარი _____

საგანი და სამიზნე ცნება _____

საკითხი _____

სამიზნე ცნება /კრიტერიუმი	**სამიზნე ცნება** 1		**სამიზნე ცნება** 2		**სამიზნე ცნება** 3	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების / სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	აღწერილობა/კომენტარი					
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია / წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია / წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი

Don't copy

როგორ უნდა გაკეთდეს კომენტარი განმავითარებელი შეფასებისთვის?

გთავაზობთ განსხვავებული დონეებით შეფასების რამდენიმე სქემას, რომლებიც, შესაძლოა, შესაბამის ნაშრომებს მოვარგოთ, და ამდენად, ამ კომენტარების მეშვეობით, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, თუ რა ტიპის კომენტარი შეიძლება დაგვჭირდეს სხვადასხვა სიტუაციაში, როცა მოსწავლეთა ნაშრომები სოლოტაქსონომიის სხვადასხვა დონეს შეესაბამება.

შეფასების სქემის ხუთი ნიმუშიდან პირველი პრესტრუქტურულ დონეს მიემართება, მეორე – უნისტრუქტურულს, მესამე – მულტისტრუქტურულს, მეოთხე – მიმართებითს, მეხუთე – აბსტრაქტულს. თითოეული მოსწავლის შემთხვევაში შევსებულია ორი გრაფა: ერთი ასახავს, რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე მე ამის საფუძველზე (აღწერილობა) და მეორე ასახავს, თუ რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (კომენტარი).

პირველი მოსწავლის ნაშრომი – პრესტრუქტურული დონე

მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები, შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი პრესტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „ჟანრის“ სვეტში.

სამიზნე ცნება	**ჟანრი**	
კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ არ შეასრულა დავალება, ვერ მიხვდა დავალების პირობას (გადმოსცა მხოლოდ ეპიზოდის შინაარსი).	გადახედე ტექსტს, ასევე, გაიაზრე, რით განსხვავდება ერთმანეთისგან შინაარსი და შენი დავალება – მონოლოგი. დაფიქრდი, როგორ და რომელ პირში უნდა მიმდინარეობდეს თხრობა, რომელ მნიშვნელოვან ეპიზოდებზე უნდა გაგემახვილებინა ყურადღება, რა ენობრივ-გამომსაველობითი საშუალებები უნდა გამოგეყენებინა ემოციის გასამძაფრებლად და პერსონაჟის განცდების გადმოსაცემად. აქციე შენი ნაშრომი თავად მოქმედი გმირის ფიქრებად. დაფიქრდი, რატომ გულისხმობს დავალების შესრულება ჟანრის ცვლილებას და არა შინაარსის პირდაპირ გადმოცემას. დაუკავშირე ეს ტექსტის ჟანრულ თავისებურებებს. შეეცადე, დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო.

Don't copy

მეორე მოსწავლის ნაშრომი – უნისტრუქტურული დონე

მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს, შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი უნისტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „ჟანრის“ სვეტში.

სამიზნე ცნება	**ჟანრი**	
კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორ–მაცია.	მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა ერთაბზაციანი ტექსტი – თუმცა ეს ტექსტი ჟანრს მხოლოდ ზედაპირულად ეხება, მაგ. სათაურშია ნახსენები, რომ ეს არის მონოლოგი. ნაშრომი სერიოზულად იხრება შინაარსის გადმოცემისკენ. ჩანს, რომ მოსწავლეს ვერ გაუთავისებია ცოდნა ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლის მიხედვით.	შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, რაც სათაურშივე გამოგიტანია – „პერსონაჟის მონოლოგი სამსჯავროს წინ“, მაგრამ ჩანს, რომ ბოლომდე არ გაქვს გათავისებული ჟანრის სპეციფიკა და მაინც შინაარსს გადმოსცემ. გთხოვ, ყურადღებით გადაამუშაო ეპიზოდის შინაარსი და სხვა ფორმატის ტექსტად აქციო. შეეცადე, ასახო ეს ყველაფერი იმ ჟანრის ტექსტში, რაც შეარჩიე – მონოლოგის ფორმატში.

მესამე მოსწავლის ნაშრომი – მულტისტრუქტურული დონე

მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/ მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი მულტისტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „ჟანრის“ სვეტში.

Don't copy

სამიზნე ცნება	**ჟანრი**	
კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას ტექსტში წარმოდგენილი მასალა (კერძოდ, შექმნა „პერსონაჟის მონოლოგი სამსჯავროს წინ“, თუმცა დავალების ფორმა დასახვეწია, მოსწავლე არათანმიმდევრულად გადმოსცემს მოვლენებს და ცვლის მთხრობელს, პირველი პირიდან ზოგჯერ თხრობა გადაჰყავს მესამე პირში. წინა პლანზე არაა წამოწეული გმირის განცდები და ემოციები. ნაშრომის ნაწილი კვლავ თანმიმდევრული თხრობისკენ იხრება და პერსონაჟის განცდებსაც ასახავს.	შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. სახელმძღვანელოში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა გთხოვ, დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო, რომ ჟანრულად მონოლოგს ქმნი, ამ შემთხვევაში აუცილებელია, თხრობა მიმდინარეობდეს მხოლოდ პირველ პირში, ხოლო გმირის ემოციები, დამოკიდებულებები და განცდები წინა პლანზე უნდა გადავიდეს.

Don't copy

მეოთხე მოსწავლის ნაშრომი – მიმართებითი დონე

მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი მიმართებითი დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „ჟანრის“ სვეტში.

სამიზნე ცნება	**ჟანრი**	
კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
მიმართებითი დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე საინტერესოდ და შემოქმედებითად გადმოსცემს მონოლოგის ფორმატის ტექსტში პერსონაჟის ხედვის პერსპექტივას, საუბრობს მისი პირით და წარმოაჩენს მის განცდებსა და დამოკიდებულებებს. მის მონოლოგში გამოკვეთილია ფაქტორები, რომლებიც ჟანრის თავისებურებებს წარმოაჩენს. თუმცა დავალებაში დაშვებულია შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს ბოლომდე კარგად არ აქვს გააზრებული ჟანრი (მაგალითად, ემოციუ- რი ზემოქმედება რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტში სუსტია და შინაგანი პროცესები არაა ეფექტურად გამოკვე- თილი, აფასებს ზოგიერთ მოვლენას).	შენ ძალიან კარგად გაარ- თვი თავი დავალებას. შენს ნაშრომში გამოკვეთი- ლია დავალების მოთხოვ- ნები ჟანრული თავი- სებურებების შესახებ ეს ნამდვილად პერონაჟის მონოლოგია თავისი საინტე- რესო გადმოცემით, თუმცა სასურველია, განსაკუთრეული ყურადღება მიაქციო ემოციისა და გრძნობების ბუნებ- რიობას, ასევე, პერსონაჟის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესების უფრო შთამბეჭდავად გამოხატვას. იქნებ გეცადა, გადმოგეცა მხოლოდ ფაქტები, როგორც ეს მონოლოგში უნდა იყოს.

მეხუთე მოსწავლის ნაშრომი – აბსტრაქტული დონე

მოსწავლე, კომპლექსური დავალების საშუალებით, გამოკვეთილ მაგალითებზე დაყ-რდნობით, ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამ-დენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკ-ვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი აბსტრაქტული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „ჟანრის“ სვეტში.

Don't copy

სამიზნე ცნება	**ჟანრი**	
კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა პერსონაჟის მონოლოგი, რომელშიც ძალზე შთამბეჭდავად წარმოაჩინა პერსონაჟის სულიერი სამყარო, მასში მიმდინარე პროცესები, ეფექტურად გადმოსცა მისი განცდები და ემოციები, განავითარა მონოლოგის ფორმატი ლოგიკური თანმიმდევრობით და წარმოგვიდგინა საინტერესოდ შესრულებული დავალება. თხზულებიდან ჩანს, რომ მოსწავ-ლე ფლობს მასალას ჟანრებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, იმ ეპიზოდში, როდესაც იგი სხვა-დასხვა ქვეყნის მატიანის „ისტორიულ წყაროებს იმოწმებს და მსჯელობს, რა არის აქედან სასარგებლო მისი ხალხისთვის“), გააზრებული აქვს სამიზნე ცნებისა და ჟანრის ურთიერ-თმიმართება სხვა ცნებებთან, გან-საკუთრებით თვალშისაცემია კავშირი ცნება კონტექსტთან.	შენ შესანიშნავად გაართვი თავი დავალებას. შენი ნაშრომიდან ჩანს, რომ სიღრმისეულად გაიაზრე: • ჟანრი და მისი მახასიათებლები; • ნაწარმოების მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობა; • ეპოქის კონტექსტი; • ნაშრომის შინაარსს შეესა-ბამება ენობრივი გარემო, ასრულებ ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, რაც ენობრივ გარემოსთან დაკავ-შირებით იყო მოცემული.
		შენი ნაშრომი ძალიან საინტერესო და შემოქმედებითია, თუმცა სასურველია დეტალებზე მეტი ყურადღების გამახვილება და მათი კიდევ უფრო ეფექტურად გამოყენება ინტერპრეტირების დროს.

Don't copy

ანალოგიურად შეიძლება შეფასება დანარჩენი სამიზნე ცნებების შემთხვევებში. მხედველობაში გვაქვს, როგორც ცალკე აღებული სამიზნე ცნება, ისე რამდენიმე ცნება ერთად.

წარმოგიდგენთ შესაბამის სქემას:

სამიზნე ცნებები: ჟანრი, კომპოზიცია, *ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები.* **ქვეცნებები/საკითხები:** **ჟანრი** – თხრობითი ტექსტის ჟანრული მახასიათებლები; დეტალი; თხრობისა და აღწერის მონაცვლეობა. **კომპოზიცია** – თემა, იდეა, მთხრობელი, პერსონაჟი: შინაგანი სამყარო (ფიქრები, მოტივაცია), ქმედებები, მეტყველება, დამოკიდებულებები/მიმართებები სხვა პერსონაჟთან; პერსონაჟის ხედვის კუთხე; მოქმედების დრო და ადგილი; *ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები* – სხვადასხვა ტიპის წინადადებები, წარმოვიდგინოთ, რომ ვაფასებთ კონკრეტული მოსწავლის კომპლექსურ დავალებას.	
საგნობრივი ცნებების ფლობის დონე სოლო ტაქსონომიის მიხედვით	**სოლო ტაქსონომიის დონეები**
ჟანრი – მოსწავლე ვერ იგებს დავალებას ან მოჰყავს არარელევანტური ინფორმაცია. **კომპოზიცია** – მოსწავლე ვერ იგებს დავალებას ან მოჰყავს არარელევანტური ინფორმაცია. ***ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები.*** – მოსწავლე ვერ იგებს დავალებას ან მოჰყავს არარელევანტური ინფორმაცია.	**<u>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</u>** მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.
ჟანრი – მოთხრობა ტექსტზე დაკვირვებით, მოსწავლე წარმოაჩენს კონკრეტული ჟანრის ერთ მახასიათებელს (შესაძლებელია, არაარსებითს); წერს რამდენიმე თემატურად დაკავშირებულ წინადადებას, მაგრამ ვერ ახერხებს აზრობრივი მიმართებების დაცვას, ვერ აყალიბებს სათქმელს, ვერ განავითარებს იდეებს ნარატივის შესაქმნელად; ვერ იყენებს ენობრივ საშუალებებს სათქმელის გადმოსაცემად, თხრობის გასაშლელად; ნაწერი სქემატურია. **კომპოზიცია** – მოსწავლე ამოიცნობს/იყენებს კომპოზიციის ერთ-ორ ელემენტს (მაგ., პერსონაჟს), მაგრამ წარმოაჩენს მათ ძალზე სქემატურად; ან/და შეინიშნება ლოგიკური შეუსაბამობები წაკითხულ ტექსტსა და ნამუშევარს შორის, ან/და ნამუშევრის ცალკეულ ადგილებს შორის; ***ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები.*** – არ იცავს აბზაცებს, იყენებს ერთი ტიპის – მარტივ წინადადებებს, შეინიშნება სერიოზული ხარვეზები ენობრივი ნორმების დაცვის კუთხით, არ არის დაცული პუნქტუაციის წესები.	**<u>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</u>** მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება.

Don't copy

ჟანრი – მოთხრობა – კონკრეტულ ტექსტზე დაკვირ-ვებით, მოსწავლე იყენებს ცალკეულ ჟანრობრივ მახასიათებლებს, მაგრამ ვერ წარმოაჩენს მათ ურთიერთდაკავშირებულად და მთლიანობითად, ვერ ახერხებს შინაარსის, ენისა და თხრობითი ტექსტის სტრუქტურის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებასა და გამთლიანებას; ვერ შეარჩევს სათა-ნადო ლექსიკასა და სტილს სათქმელის გასაშლელად, ამბის გასავითარებლად, დეტალების წარმოსაჩენად; *ან*: ვერ წარმოაჩენს ნარატივის სამნაწილიანობას (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული), მის ნარატივს აკლია ერთ-ერთი ნაწილი, *ან*: ერთი ნაწილი წარმოდგენილია ძალზე სქემატურად; შეზღუდულია ენობრივი საშუალებები (მაგ., მწირია ლექსიკა, ნაკლებადაა/ ხარვეზებითაა გამოყენებული ენობრივი კონსტრუქციები, წინადადებათა ბმული თანამიმდევრობა), რის გამოც მოსწავლე ვერ ახერხებს იდეების გაშლა-განვითარებას, სათქმელის დაზუსტება/გამოკვეთას ნარატივის შესაქმნელად; *ან/და*: გვხვდება აზრობრივი შეუსაბამობები; ერთიანი ნარატივის ფარგლებში, ერთმანეთს ვერ უნაცვლებს აღწერასა და თხრობას. **კომპოზიცია** – იყენებს კომპოზიციის ცალკეულ ელემენტებს, მაგრამ ვერ წარმოაჩენს მათ ურთიერთკავშირს; *ან/და* სუსტია კავშირი წაკითხულ ტექსტთან – იყენებს ტექსტში მოცემულ ცალკეულ პირდაპირ მინიშნებებს, მაგრამ ვერ ამთლიანებს მათ ერთიან ნარატივში. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – იცავს აბზაცებს; იყენებს, სულ მცირე, ორი ტიპის წინადადებებს; წარმოაჩენს ზოგიერთი ენობრივ-გრამატიკული ნორმის, მართლწერის წესების ცოდნას; პუნქტუაცია არ წარმოადგენს ნაწერის ორგანულ ნაწილს.	**სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება და სხვ. იყენებს ცოდნის ცალკეულ კომპონენტებს, მაგრამ ფოკუსირებული არ არის ერთ თემაზე; *ან/და*: გვხვდება აზრობრივი შეუსაბამობები, *ან/და*: ნაწერი სქემატურია/ სწორხაზოვანი.
ჟანრი – მოთხრობა – მოსწავლე გამოაცალკევებს/ გამოყოფს არსობრივ ჟანრობრივ მახასიათებლებს და გაიაზრებს მათ, როგორც ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობას; მთლიანობითად და ურთიერთდაკავშირებულად იყენებს ნარატიული ტექსტის სხვადასხვა ასპექტის – შინაარსის, ენისა და სტრუქტურის – ცოდნას; წარმოაჩენს ნარატიული ტექსტის სამნაწილიან სტრუქტურას; მიზნობრივად ანაცვლებს თხრობასა და აღწერას; თემის/იდეის წარმოსაჩენად, სათქმელის გამოსაკვეთად და დასაზუსტებლად, დეტალის/დეტალების გამოსაკვეთად შეარჩევს სათანადო ენობრივ საშუალებებს, იცავს სათანადო სტილს; იყენებს მრავალფეროვან სიტყვებსა და წინადადებებს, რომლებიც თანამიმდევრულად ებმის ერთმანეთს; ფოკუსირებულია კონკრეტულ თემაზე.	**სოლო 4: მიმართებითი დონე** მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე, როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით.

Draft copy

კომპოზიცია ურთიერთდაკავშირებულად იყენებს კომპოზიციის სხვადასხვა ელემენტის ცოდნას (მაგ., წარმოაჩენს მიმართებას იდეასა და პერსონაჟს შორის); ეყრდნობა წაკითხული ტექსტის სხვადასხვა სახის (პირდაპირ და არაპირდაპირ) მინიშნებებს და ამთლიანებს კომპოზიციის სხვადასხვა ელემენტს ერთიან ნარატივში. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – იყენებს სხვადასხვა (სამივე) ტიპის წინადადებებს, იცავს აბზაცებს; წარმოაჩენს ენობრივ-გრამატიკული ნორმებს ცოდნას; პუნქტუაცია წარმოადგენს ნამუშევრის ორგანულ ნაწილს, ცალკეული ხარვეზები ხელს არ უშლის ნაწერიდან აზრის გამოტანას.	
ჟანრი – მოთხრობა – მოსწავლე განაზოგადებს ჟანრობრივ მახასიათებლებს და იყენებს მათ სხვა კონტექსტის შესაქმნელად; სათქმელის გასაშლელად, ნიუანსების გამოსახატავად იყენებს მრავალფეროვან ენობრივ საშუალებებს (მდიდარ, იშვიათად ხმარებულ ლექსიკურ ერთეულებს, ადეკვატურ სტილს), ავლენს ენის შემოქმედებითად გამოყენების უნარს. **კომპოზიცია** – მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად წარმოაჩენს კომპოზიციის სხვადასხვა ელემენტს ახალ კონტექსტში; მიზნობრივად შეარჩევს ამოსავალ ტექსტში მოცემულ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მინიშნებებს ახალი იდეების გასავითარებლად – პერსონაჟის სახის სიღრმისეულად წარმოსაჩენად, თემის, იდეის გასაშლელად; *ან:* ამოსავალი ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით, ამდიდრებს ტექსტს ახალი ნიუანსებით, წარმოაჩენს სახასიათო დეტალებს, რისთვისაც მიზნობრივად უნაცვლებს ერთმანეთს თხრობასა და აღწერას. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** მიზნობრივად შეარჩევს და იყენებს სამივე ტიპის წინადადებებს; იცავს აბზაცებს, წარმოაჩენს ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნას; პუნქტუაცია წარმოადგენს ნამუშევრის ორგანულ ნაწილს, ცალკეული ხარვეზები ხელს არ უშლის ნაწერიდან აზრის გამოტანას.	**<u>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</u>** – მოსწავლეს შეუძლია, მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.

Don't copy

გთვაზობთ ცარიელ სქემას, რომელიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ მუშაობის პროცესში.

მოსწავლის სახელი, გვარი_____ (სახელი და გვარი პირობითია)
საგანი და სამიზნე ცნება _____
ტექსტის ტიპი და ჟანრი, კონტექსტი, გრამატიკა _____

საკითხი _____

სამიზნე ცნება კრიტერიუმი	**ჟანრი**		**კონტექსტი**		**გრამატიკა**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	**აღწერილობა** მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე; უკავშირებს კომპლექსური დავალებების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობასა და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.					
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი	აღწერილობა	კომენტარი

Don't copy

წარმატებას გისურვებთ!

დანართები

შესასვლელი ბილეთი

სახელი და გვარი:	გაკვეთილის მიზანი
რა არის ჩემთვის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით?	რა არის ჩემი მიზანი ამ გაკვეთილზე?
ერთი კითხვა, რომელსაც მინდა, რომ პასუხი გაეცეს:	ძირითადი ტერმინები:
რამდენად დარწმუნებული ვარ ჩემს ცოდნაში ამ საკითხთან დაკავშირებით	

გასასვლელი ბილეთი

დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო:
3 ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილიდან დამამახსოვრდა:
1. _____
2. _____
3. _____

ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში დამეხმარება:...
4. _____

ესეს შეფასების „ჩექლისტი“
_____ შედგება 500 სიტყვისგან
_____ წარმოდგენილია შესავალი
_____ წარმოდგენილია ძირითადი ნაწილი
_____ წარმოდგენილია დასკვნა
_____ მოყვანილია მოსაზრებების დამადასტურებელი არგუმენტები
_____ არსებობს ლოგიკური კავშირი შესავალს, ძირითად ნაწილსა და დასკვნას შორის
_____ დაწერილია აკადემიური ენით
_____ მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე
ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

ორმაგი ჩანაწერების დღიური

ფაქტი /ტერმინი /განმარტება / ნაწყვეტი	ჩემი დამოკიდებულება /შეხედულება/ მოსაზრება/კითხვა

Don't copy

მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა

გაგების დონე	დამწყები	განვითარებადი	ექსპერტი	რეფლექსია: 1. რა ვისწავლე ამ კვირაში 2. კიდევ რა დამრჩა შესასწავლი
პირველი კვირა				
მეორე კვირა				
მესამე კვირა				
მეოთხე კვირა				

ზოგადი ანალიტიკური რუბრიკა – პრეზენტაცია

კრიტერიუმი	**დამწყები**	**განვითარებადი**	**კვალიფიციური**	**ექსპერტი**
შინაარსის შესაბამისობა საპრეზენტაციო თემასთან	პრეზენტაციის შინაარსი არ შეესა–ბამება თემას	პრეზენტაციის შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება თემას	პრეზენტაციის შინაარსი მეტწილად შეესა–ბამება თემას	პრეზენტაციის შინაარსი სრულიად შეესაბამება თემას
საკითხის ცოდნა / გააზრება	მოსწავლის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ბუნდოვანია. მოსაზრებები არ არის გამყარებული ფაქტებით. მოსწავლეს უჭირს სათქმელის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.	მოსწავლის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ნაწილობრივ გასაგებია. ზოგიერთი მოსაზრება გამყარებულია ფაქტებით. მოსწავლე ახერხებს სათქმელის ნაწილის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას და ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემას.	მოსწავლის მიერ გადმოცემული ინფორმაცია უმეტესწილად გასაგებია. მოსაზრებების უმეტესობა გამყა-რებულია ფაქტე-ბით. მოსწავლე ახერხებს სათქმე-ლის ძირითადი ნაწილის საკუთარი სიტყვებით გადმო-ცემას და დასმული კითხვების უმეტე-სობაზე პასუხის გაცემას.	მოსწავლის მიერ გადმოცემული ინფორმაცია სრულიად გასაგე–ბია. ყველა მოსაზრება გამყარებულია ფაქტებით. მოსწავლე კარგად ახერხებს სათქმელის საკუთარი სიტყვე–ბით გადმოცემას და სწორად პასუხობს ყველა დასმულ კითხვას.
ინფორმაციის ორგანიზე-ბულობა / ლოგიკური კავშირი საკითხებს შორის	წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის გამოკვეთილი შესავალი და/ან დასკვნითი ნაწილი. არ ჩანს ლოგიკური კავშირი საკითხებს შორის.	წარმოდგენილ ინფორმაციაში ნაწილობრივ გამოკვეთილია შესავალი და/ან დასკვნითი ნაწილი. ნაწილობრივ ლოგიკურია კავშირი საკითხებს შორის.	წარმოდგენილ ინფორმაციაში გამოკვეთილია შესავალი და/ან დასკვნითი ნაწილი. ძირითადად, ლოგიკურია კავშირი საკითხებს შორის.	წარმოდგენილ ინფორმაციაში მკაფიოდ გამოკვეთილია შესავალი და/ ან დასკვნითი ნაწილი. სრულიად ლოგიკურია კავშირი საკითხებს შორის.

Don't copy

კონტაქტი აუდი–ტორიასთან და საუბრის მანერა	მოსწავლე კითხუ–ლობს მთლიან ტექსტს სლაიდებიდან და არ ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან. საუბრისას ხშირად აკეთებს ხანგრძლივ პაუზებს ან ხშირად იყენებს საუბრისას შემავსებელ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ისა“, „რა ჰქვია...“.	მოსწავლე ხშირად კითხულობს ტექსტს სლაიდებიდან და ზოგჯერ ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან. საუბრისას ზოგჯერ აკეთებს ხანგრძლივ პაუზებს და იყენებს საუბრისას შემავსებელ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ისა“, „რა ჰქვია...“.	მოსწავლე იშვიათად კითხულობს ტექსტს სლაიდებიდან და უმეტესწილად ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან. საუბრისას იშვიათად აკეთებს ხანგრძლივ პაუზებს და იშვიათად იყენებს საუბრისას შემავსებელ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ისა“, „რა ჰქვია...“.	მოსწავლე მხოლოდ თვალს ავლებს ტექსტს სლაიდებიდან და მუდმივად ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან. საუბრისას არ აკეთებს ხანგრძლივ პაუზებს და არ იყენებს საუბრისას სემავსებელ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ისა“, „რა ჰქვია...“.

№	სახელწოდება	მოსამზადებელი დრო			სასწავლო პროცესში გამოყენება		
		მცირე	საშუალო	ბევრი	მცირე	საშუალო	ბევრი
1.	სასწავლო მენიუ		V	V		V	V
2.	სასწავლო გაჩე–რებები			V		V	V
3.	შეარჩიე საკითხავი მასალა		V		V	V	
4.	აირჩიე პროექტი		V		V	V	V
5.	კითხვები ინტერე–სის მიხედვით	V	V	V			
6.	„რაფთ“ წერითი დავალება	V	V		V	V	

ზოგადი ჰოლისტური რუბრიკა – გასასვლელი ბილეთები

დამწყები გასასვლელი ბილეთი ცარიელია. მოსწავლეს არ უპასუხია არცერთ კითხვაზე, ან წერს, რომ არა აქვს პასუხი კითხვებზე. მოს–წავლე ვერ ავლენს ცოდნას საკითხთან დაკავშირებით.	**განვითარებადი** გასასვლელი ბილეთი ნაწილობრივ შევსებუ–ლია, პასუხი გაცემულია მინიმუმ, ერთ კითხვაზე, თუმცა, რთულია მოსწავ–ლის ნაწერიდან აზრის გამოტანა. ჩანს, რომ მას არა აქვს საკმარისი ცოდნა საკითხთან დაკავშირებით / კარგად არ ესმის საკითხი.	**კვალიფიციური** გასასვლელი ბილეთი მეტწილად შევსებულია, პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, ან არ არის გაცემული მხოლოდ ერთ კითხვაზე. ძირითადად, შესაძლებელია მოსწავლის ნაწერიდან აზრის გამოტანა. ჩანს, რომ მას აქვს საკმარისი ცოდნა საკითხთან დაკავშირებით / კარგად ესმის საკითხი.	**ექსპერტი** გასასვლელი ბილეთი სრულყოფილად არის შევსებული, პასუხი გაცე–მულია ყველა კითხვაზე. სრულიად შესაძლებელია მოსწავლის ნაწერიდან აზრის გამოტანა. ჩანს, რომ მას აქვს სრულყოფილი ცოდნა საკითხთან დაკავშირებით / სრულყოფილად ესმის საკითხი.

Don't copy

კონკრეტულ დავალებაზე მორგებული ანალიტიკური რუბრიკა
+ – ანალიტიკური ესე

კრიტერიუმი	**დამწყები**	**განვითარებადი**	**კვალიფიციური**	**ექსპერტი**
საკითხის გაგება-გააზრება	წარმოდგენილი ნამუშევარი არ შეესაბამება განსახილველ საკითხს და/ ან არ პასუხობს დავალების მოთხოვნებს	განხილულია გენმოდიფიცირებული ჯიშების მიღების დადებითი და/ ან უარყოფითი მნიშვნელობა, თუმცა, წარმოდგენილი არგუმენტი/არგუმენ–ტები შეუსაბამო, ან არადამაჯერებელია	განხილულია გენმოდიფიცირებული ჯიშების მიღების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა. მყარი არგუმენტები წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მიმართულებით.	განხილულია გენმოდიფიცირებული ჯიშების მიღების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა, მყარიარგუმენტები წარმოდგენილია ორივე მიმართულებით.
მსჯელობა	მსჯელობა მოკლებულია ლოგიკურობას, აზრი ბუნდოვანია. მსჯელობა მოიცავს მრავლობით, შინაარსობრივად და ენობრივად უხეშ შეცდომებს.	მსჯელობა მეტ-ნაკლებად ლოგიკურია, თუმცა აზრი იკითხება. მსჯელობისას დაშვებულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი შინაარსობრივი/ ენობრივი შეცდომა	მსჯელობა ლოგიკურია, აზრი თავისუფლად იკითხება, დაშვებულია უმნიშვნელო შინაარსობრივი / ენობრივი შეცდომები.	მსჯელობა ლოგიკურია, აზრი თავისუფლად იკითხება, გამოთქმული მოსაზრებები გამოირჩევა საკითხთან დაკავშირებული მდიდარი ლექსიკით/ ტერმინოლოგიით. არ არის დაშვებული შინაარსობრივი/ ანობრივი შეცდომები.
წყაროების სანდოობა	გამოყენებული წყაროების უმეტესობა არასანდოა და ბუნდოვანია მათი კავშირი ესეში წარმოდგენილ არგუმენტაციასთან.	გამოყენებული წყაროების ნაწილი სანდოა და ნაწილობრივ შეესაბამება ესეში წარმოდგენილ არგუმენტაციას.	გამოყენებული წყაროების უმეტესობა სანდოა და შეესაბამება ესეში წარმოდგენილ არგუმენტაციას.	გამოყენებული წყაროები სანდოა და სრულად შეესაბამება ესეში წარმოდგენილ არგუმენტაციას.

Don't copy

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2008.
2. სწავლება და შეფასება; თბილისი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო; თბილისი, 2008.
4. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა; shorturl. at/ckIvU
5. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; 2007.
6. ტექსტური დავალებების შექმნის ხელოვნება; 2009.
7. როგორ ვასწავლოთ აზროვნება; 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 2008.
9. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ, ეფექტური სწავლება სკოლაში, 2009.
10. მასწავლებლის წიგნი – ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, – მაია ფირჩხაძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბერაშვილი, რუსუდან თევდორაძე, სოფიკო ლობჟანიძე, 2017.
11. კითხვის ეფექტური მეთოდები 2 (სასწავლო მეთოდური ფილმი და მისი გზამკვლევი), 2015.
12. მასწავლებლის წიგნი – შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი, შიდა სასკოლო, გიორგი ნოზაძე, თამთა კობახიძე, მაია ინასარიძე, მანანა ბოჭორიშვილი, 2017.
13. მასწავლებლის წიგნი – გამჭოლი კომპეტენციები, თამარ მოსიაშვილი, მაია ბლიაძე, მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, ნატო ინგოროყვა, ცირა ბარბაქაძე, 2017.
14. საზრისები – ფიქრი ქართულ ლიტერატურაზე თბილისი 2018.

Don't copy